გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 თებერვალი, 2006 წელი.

№№ 30-31 (5368-5369)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## ქართული გალობა — პატრიარქის ლოცვა-კურთხევით



**საქართველოს საპატრიარქოში გუშინ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ჯგუფისა და საპატრიარქოს ინიციატივით, ქართული გალობისა და სიმღერის ფონდი შეიქმნა.**

როგორც საპატრიარქოში გამართულ პრეზენტაციაზე უწმიდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, ქართული საგალობლებისა და პოეზიის შთამომავლობისთვის შენახვა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან, საყოველთაო გლობალიზაციის ფონზე, საქართველოში უცხოური სიმღერების მოჭარბება შეინიშნება.

იხ. მე-2 გვ.

## ეს თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოს არ ეკადრება

იხ. მე-2 გვ.

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრის განცხადება**

## როგორ აპირებდნენ რუსის ჯარზე შურისძიებას ლევან მალაზონია და მისი მეგობრები

იხ. მე-6 გვ.

## სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მითი არ არის

იხ. მე-16 გვ.

## სისხლის ხუნაგი



იხ. მე-10 გვ.

## ტყვიავში ტყვია გავარდა, ტყვე ავიყვანეთ „ურალი“...

იხ. მე-2-3 გვ.



## „ენერგეტიკული ნატო“, თუ შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ

იხ. მე-8 გვ.



იხ. მე-12 გვ.

## ნუ განვუცხადებთ ადამის მოდგმას აპოკალიფსს...

◎ ინფორმაცია

## ქართული გალობა — პატრიარქის ლოცვა-კურთხევით

(პირველი გვერდიდან)

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ვანო ჩხარტიშვილის განცხადებით, ფონდს ცნობილი ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი უხელმძღვანელებს.

საქართველოს საპატრიარქო მიუღებლად მიიჩნევს 14 თებერვალს საქართველოში „ვალენტინობის“ დღესასწაულის აღნიშვნას და აცხადებს, რომ „ვალენტინობა“ არაქრისტიანული დღესასწაულია.

„14 თებერვლის სიყვარულის დღესასწაულს შეცდომით უკავშირებენ კათოლიკური ეკლესიის წმინდანის ვალენტინის სახელს: ეკლესიის ისტორია რამდენიმე ვალენტინს იცნობს, რომელთაგან არც ერთის ცხოვრება არ უკავშირდება სასიყვარულო ურთიერთობებს. ფიქრობენ, რომ 14 თებერვლის ვალენტინის დღესასწაულს წარმართული ფესვები აქვს. ამ დღეს, ძველ რომში ქალღმერთ იუნონას დღესასწაულს აღნიშნავენ, რომელსაც რომაელები ქალებისა და ოჯახების მფარველად მიიჩნევენ“, — აცხადებენ საპატრიარქოში.

მათი აზრით, მართლმადიდებლური ეკლესიისათვის უცხოა ეს დღესასწაული. იგი არც კათოლიკური ეკლესიის მიერ აღინიშნება, რასაც საქართველოში ვატიკანის საელჩო ადასტურებს.

ინტერპრესნიუსი

◎ მიმართვა

# [illegible]

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

**ჩვენ, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ყურადღებით ვადევნებთ თვალს ევროპულ პრესაში გამოქვეყნებულ რელიგიურ კარიკატურებთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს, გამოვთქვამთ შეშფოთებასა და გულისტკივილს მომხდარის გამო და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოსთვის შეუფერებელია ურთიერთობის ამგვარი ფორმები. პრესის თავისუფლებაცა და აღმსარებლობის თავისუფლებაც დემოკრატიის მონაპოვარია. არ შეიძლება ამ ორი ღირებულების სასწორის სხვადასხვა მხარეს დადება და ერთის სასარგებლოდ მეორის იგნორირება.**

იმას, რომ დაუშვებელია ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, თითქმის ყველა ტრადიციული სარწმუნოება ქადაგებს. ამიტომაც, დარწმუნებულნი ვართ, რომ აღნიშნული კარიკატურების გამავრცელებელნი არ არიან მორწმუნე ადამიანები და ისინი, ალბათ, ასევე თავისუფლად შეურაცხყოფდნენ ნებისმიერი რელიგიის სიწმინდეთ. თუმცა, მედიის წარმომადგენელთა ცალკეული გაუაზრებელი ქმედებები არ შეიძლება გაიგივებული იქნას სახელმწიფოს პოზიციასთან, მაგრამ სახელმწიფომაც ასეთ სიტუაციაში თავისი შეხედულება მკვეთრად უნდა დააფიქსიროს.

გვინდა მივმართოთ მედიის წარმომადგენლებს, რათა მეტი კორექტულობა გამოიჩინონ რელიგიურ თემებთან დაკავშირებით და პრესის თავისუფლებაზე აპელირებით არ გადალახონ პროფესიული ეთიკისა და ადამიანური ზნეობის საზღვრები.

ასევე მივმართავთ მუსლიმ მორწმუნეებს, რათა მათ თავიანთი სამართლიანი პროტესტისათვის არა ძალადობა (რაც ასევე არის ღვთის საწინააღმდეგო ქმედება), არამედ მშვიდობიანი გზები და ფორმები გამოიყენონ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ეყოფა ძალისხმევა, რომ ეს მეტად სამწუხარო ფაქტი არ იქცეს ქვეყნებსა და რელიგებს შორის დაპირისპირების მიზეზად.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე თეოდორე (ჭუაძე); კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ახუნდი ალი ალიევი; სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მეთაური ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი; საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი აბი-მელექ ალექსანდრე როზენბლატი; საქართველოში რომის კათოლიკური ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო; საქართველოში ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი; საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მეთაური, ეპისკოპოსი ანდრიას შტოკი.

◎ ინფორმაცია

## თურქი თურქია, მესხი კი — მესხი!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ტერმინ „თურქი-მესხის“ შეცვლისა და მეცნიერების მიერ შესაბამისი განმარტების გაკეთების ინიციატივით გამოდის.

როგორც ილია მეორემ საპატრიარქოში გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, ტერმინი „თურქი-მესხი“ არასწორია - „თურქი თურქია და მესხი კი — მესხი“, — აღნიშნა პატრიარქმა.

„ჩვენმა მეცნიერებმა ძალიან მარტივ ენაზე უნდა შექმნან სახელმძღვანელო და განუმარტონ საზოგადოებას, ვინ არიან მესხები და ვინ არიან თურქები“, — განაცხადა ილია მეორემ.

პატრიარქმა გუშინ დაფუძნებული ფონდის „ქართული გალობა და სიმღერის“ მესვეურებს მოუწოდა, სპეციალურად მესხებისთვის ჩაიწერონ და მათ გაეგზავნონ ქართული ხალხური ფოლკლორის ნიმუშები „შავლეგო“ და „მზე შინა და მზე გარეთა“.

## ქალაქთმშენებლობა კრიზისშია?

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ინიციატივით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართა კონფერენცია თემაზე „არქიტექტურული ქალაქმშენებლობის კრიზისი — მიზეზები და დაძლევის სტრატეგია“.

კონფერენციის რეგლამენტის თანახმად, შეხვედრის პირველი ნაწილი მომხსენებლებს დაეთ-



მო. სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე, ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ლადო ვარდოსანიძე, არქიტექტურის ინსტიტუტის დოცენტი ნესტან რაზმაძე, ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგე ვახტანგ დავითაია, არქიტექტორთა კავშირის წევრები თემურ ბოჭორიშვილი და ირაკლი მასხარაშვილი.

დავით აბულაძემ კონფერენციის სტუმრებს მოკლედ გააცნო მოხსენება, რომელიც კავშირმა ჯერ კიდევ 2005 წლის გაზაფხულზე შეადგინა და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირს წარუდგინა. მასში განხილულია არსებული კრიზისის გამომწვევი მიზეზები.

## რაო, საპარლამენტო მოდელზე გადავალთ?

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „სახალხო ფორუმი“ პოლიტიკურ პარტიებს ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის ფორმის შეცვლას და საპარლამენტო მოდელზე გადასვლას სთავაზობს.

როგორც გუშინ სასტუმრო „თორში“ მიმდინარე კონფერენციაზე „სახალხო ფორუმის“ ლიდერებმა განაცხადეს, აღნიშნული საკითხი მომავალ არჩევნებამდე უნდა გადაწყდეს და საამისოდ ოპოზიციურმა პარტიებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ.

„სახალხო ფორუმის“ ლიდერები არ გამორიცხავენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ გარკვეული ოპოზიციური კოალიცია ჩამოყალიბდეს.

ინტერპრესნიუსი

◎ კვირის თვალსაწიერი

# ტყვიაში ტყვია გავარდა, ტყვედ ავიყვანეთ „ურალი“...

**დღეს სიმართლის უშიშრად თქმა ძნელია.**

**თუმცა, ეს ახალი ამბავი არ არის. ჯერ კიდევ როდისაა ნათქვამი, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო...**

არის მომენტი (ასეთი მომენტი კი ამ ბოლო დროს ხშირად დგება), როცა იმის თქმა, რაზეც გარკვეულ ემოციურ ტალღაზე ყველას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, შეიძლება სამშობლოს ღალატადაც კი ჩაგითვალონ და სიცოცხლე გაგიმწარონ, თუმცა საზოგადოებამ გულისგულში მშვენივრად იცოდეს, რომ ეს ნათქვამი სწორი და სამართლიანია.

მაგრამ კაცმა, თუ „აქ დგას და სხვაგვარად არ ძალუძს“, მაინც უნდა თქვა, რაგინდ ქვა და გუნდა მოგაყარონ.

რუსეთთან ურთიერთობაზე მოგახსენებთ, სამართებლის პირზე მდგომზე, მახინჯსა და საშიშზე.

დღეს რუსეთის წინააღმდეგ მუშტების ტყეა აღმართული, ზოგისთვის ეს „პატრიოტიზმის თერმომეტრიც“ კია.

რა თქმა უნდა, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

რა თქმა უნდა, რუსეთის ხელმძღვანელობამ (მნიშვნელობა არა აქვს, რომელმა: სამოქალაქომ თუ სამხედრომ, უმაღლესმა თუ საშუალომ, აღმასრულებელმა თუ საკანონმდებლომ) დაიმსახურა მისდამი უნდობლობა და სიძულვილი. არაერთხელ გაგვაცურა და გაგვაცუცურაკა, როგორც იტყვიან, პირში ხვლიკის კუდი გამოგვავლო.

ოღონდ ამან ისეც არ უნდა აგვიბას თვალი, რომ კარგიც ველარაფერი დავუნახოთ იმ ქვეყანას წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც ნუ დავივიწყებთ, სწორედ რუსეთმა, ობიექტურად, უნდოდა ეს თუ მისდაუნებურად გამოუვიდა, საუკუნეების შემდეგ, კვლავ შეგვკრა ერთ ხალხად, უფრო სწორად, პირობები შეგვიქმნა სრულიად საქართველოდ და სრულიად ქართველობად შესაკვრელად (ისე, ჩვენი ბრიყვული, ყოვლად აუტანელი კუთხურობის შემხედვარეს, შეიძლება ეჭვიც კი დაგებადოს, დასრულებული კია ეს პროცესი?ძ.

ეს ისე, სიტყვისთვის.

უბედურება ის არის, რომ რუსეთმა ვერა და ვერ შეიცვალა მტაცებლური ბუნება. იმპერიული სული რიგით რუს მუჟიკსაც კი აყელყელავებს (თუმცა, ამასთან ერთად, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, ამ მუჟიკს ბევრი დადებითი თვისებაც აქვსძ, მუდამ შეახსენებს ისტორიის სახელმძღვანელოებში ამოკითხულს, ივანე მრისხანიდან



დაწყებული სტალინით დამთავრებული როგორ დაიპყრო მისმა ქვეყანამ ყაზან-ასტრახან-ყირიმი, ციმბირი, კავკასია, შუა აზია, ბალტიისპირეთი, მთელი აღმოსავლეთ ევროპა... ეს კია, ორთავიანმა არწივმა გადაყლაპული ვერ მოინელა და უკან ამოანთხია, ოღონდ ჩიჩახვში იმდენი კიდევ დარჩა, ათ სახელმწიფოს რომ ეყოფა. ეს მტაცებლური ბუნება აპოტინებინებს ხელს აფხაზეთ-სამაჩაბლოზე, თუმცა...

თუმცა იმ ბერწ მდგომარეობაში, დღეს რომ ვართ, იქნებ მხოლოდ რუსეთის მტაცებლური ბუნება არ იყოს დამნაშავე, იქნებ ჩვენ თვითონაც მიგვიძღვის ბრალი? მთელი ბოლო თხუთმეტი წელიწადი ხომ განუწყვეტელ შეცდომათა ჯაჭვია და ამ ჯაჭვს დღესაც ემატება რგოლები.

საქართველოს აწინდელი მდგომარეობა ერთ ეპიზოდს მაგონებს იოსელიანის კინოფილმ „გიორგობისთვიდან“: დაკუნთული ჯეელის წაქეზებით პატარა ბიჭი კაცებს აშინებს და სადარბაზოში არ უშვებს.

დაკუნთული ოკეანისგაღმელი მეგობრის ჩრდილქვეშ რუსეთს სწორედ იმ სხვის მოიმედე ბიჭივით ველაპარაკებით და ვექცევით.

ეს სიკეთეს არ მოგვიტანს.

ჩვენ ჩვენი ღირსება გვაქვს და რუსეთთან სწორედ ამ ღირსებით უნდა ვიურთიერთობოთ, არავითარი წაწოლა, მაგრამ არც — ყოყლოჩინობა და გამოწვევა!

ამას წინათ ტყვიავთან ტყვია გავარდა, ტყვედ ავიყვანეთ „ურალი“... ქართველებმა „მოუგეს“ რუს სამშვიდობოებს — უკან დააxევინეს. იყო სროლა, ზღლარძუნი. ერთი-ორი, ასეთი „მოგებაც“ და შეიძლება ისეთი კუდიანი მელა დავიჭიროთ, იმ დაკუნთულმა მფარველმაც (რომლის იმედითაც ვსულდგმულობთძ ვერაფერი გვიშველოს (ისე, გამოიდებს კი თავს ვითომ, განცხადებებსა და მემორანდუმებზე არ მოგახსენებთ, მუშტებს გაიქნ-გამოიქნევს?...ძ.

რატომ ვერ მივაღწიეთ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, პირიქით, რატომ სულ უფრო და უფრო უარესდება ეს ურთიერთობა, ხომ ყველა, მათ შორის ვაშინგტონიც, გვირჩევს საერთო გამოვნახოთ დიდ ჩრდილოელ მეზობელთან?

რუსეთს სხვა მრავალი მეზობელიც ჰყავს, მაგრამ მხოლოდ ჩვენ ვართ ძაღლი და კატასავით. რას დავაბრალოთ ეს, თუ არა იმას, რომ მოქნილობა, წინგამხედველობა, „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერის“ მოზომილობა გვაკლია.

ფინეთი ავილოთ. თავის დროზე ჩვენსავით ისიც რუსეთის კოლონია — მისი შემადგენელი ნაწილი იყო. ჩვენსავით 1917 წელს განთავისუფლდა, მაგრამ შემდეგ ეს თავისუფლება აღარ დაუკარგავს. 1939 წელს მძლავრი საბჭოთა კავშირი თავს დაესხა და უსასტიკეს ომში დიდი მსხვერპლის ფასად, ძლივს, რის ვაივაგლახით მოუგო, ტერიტორიაც ჩამოგლიჯა. ამდენად, რუსეთის სიძულვილი ფინელებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, მაგრამ... საშიშ მეზობელთან საუკეთესო ურთიერთობით გამოირჩევიან. ფხიზლად აყურადებენ მის კარდიოგრამას და ამის შესაბამისად რეალისტურად აფასებენ მოვლენებს. შედეგსაც იმკიან: მათთვის ღიაა რუსეთის უკიდეგანო ბაზარი, მათ არ ემუქრება რუსეთის აგრესია. ამისთვის რომ მიეღწიათ, ფინელებმა გონიერებას მოუხმეს: რუსეთის გაღიზიანებას მოერიდნენ და... უარი თქვეს ნატოში და ევროკავშირში შესვლაზე. სამაგიეროდ აყვავებული ქვეყანა აქვთ, სხვათა შორის, ამერიკასთანაც არ არიან ურიგოდ.

ჩვენ კი რა გვჭირს, სულ მუშტებზე რომ ვიყურებით?

ახლა ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე პარლამენტის მიერ ადრევე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედებაზე მიდგა საქმე. ამის განხილვა პარლამენტში ამ კვირიდან იმ კვირისთვის გადაიდო, ოღონდ ის ერთსულოვნება და რიხი თითქოს აღარ იგრძნობა, თავიდან რომ იყო — გინდა თუ არა, გავიყვანოთო. გადაწყვეტილების მიღება ძნელი არ არის: დააჭერ ხელს პულტს, დაადგენ და აღმასრულებელ ხელისუფლებას დაავალებ — გასვლა უზრუნველყავიო.

იხ. მე-3 გვ.

◎ აქტუალური თემა

# არ გვიბრაზდებიან, მაგრამ...

***მოგეხსენებათ, ოპოზიცია მოელოდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პასუხს მკაცრად მოსთხოვდნენ. ეს კი ასე არ მოხდა. ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, საქართველო მხოლოდ რბილად გააკრიტიკეს.***

**ლევან ბერძენიშვილი, „დემოკრატიული ფრონტი“**: „საქართველოს დელეგაციამ საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს ევროსაბჭოში დიდი წარმატება გვქონდა. მაგრამ ნამდვილი წარმატება, ჩვენი ქვეყნის მონიტორინგის მოხსნა, შესამოწმებელ სახელმწიფოთა სიიდან საქართველოს ამოშლა და მისი შემმოწმებელი სახელმწიფოების სიაში გადაყვანა იქნება. მე მეგონა, უფრო მკაცრ განცხადებებს გააკეთებდნენ რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო, მაგრამ „ყურების ახევის“ მოლოდინი არ გამართლდა. მათი განწყობილება ასეთი იყო: არ შეასრულეთ რეკომენდაციები? მერე რა მოხდა, მოდით, გავამხნევოთ საქართველოო! მაგრამ მონიტორინგს არ გვიხსნიან. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სანამ ევროსაბჭო მონიტორინგს არ მოგვიხსნის, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ევროსაბჭო ჩვენს მაგივრად პრობლემებს არ გადაწყვეტს. დასავლეთში გვეუბნებიან: გნებავთ, ასეთი ვითარება? კი, ბატონო, იყავით წლობით ევროსაბჭოში, ხან წინ წაიწევთ, ხან უკან დარჩებით, მეტზე კი არც იოცნებოთ“.

ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს: ვიდრე თურქეთს მონიტორინგი არ მოეხსნა, ევროკავშირმა მასთან მოლაპარაკებებიც არ და-



იწყო. რაც შეეხება შეუსრულებელ ვალდებულებებს, ჩვენი ქვეყანა არ არის მიერთებული ტრანსსასაზღვრო ხელშეკრულებასთან და ეროვნული უმცირესობის ენების დაცვის კონვენციასთან. ამ ხელშეკრულების რატიფიცირება პარლამენტს 2005 წელს უნდა მოეხდინა, მაგრამ ეს დღემდე შეუსრულებელი რჩება.

ასამბლეაზე მიიღეს დადგენილება, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მოუწოდებს აქტიურად ჩაერთონ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საქმეში. „ასამბლეა დარწმუნებულია, რომ საქართველოში სიტუაციის სრული ნორმალიზება შეუძლებელია კონფლიქტების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით მოგვარების გარეშე“, – ნათქვამია დადგენილებაში.

უნდა ითქვას, რომ 2005 წლის სექტემბერში გავიდა იმ ვალდებულებების შესრულების ვადა, რითაც ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა საკუთრების და მესაკუთრის უფლებების რესტიტუციის ან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების დროს დაკარგული ქონების კომპენსაციის მიზნით, შესაბამისი იურიდიული დოკუმენტი მიეღო. ევროსაბჭო კვლავაც მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ეს ფრიად საშური დოკუმენტი დაუყოვნებლივ მიიღოს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ მიმართებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია და კონფლიქტების დროს დაკარგული ქონების კომპენსაციისთვის აუცილებელი დოკუმენტი სულ მალე გვექნება.

**მზია გელენავა**

მაგთიკომი
MAGTICOM

**ძვირფასო აბონენტებო!**

2006 წლის 9 თებერვლის 18 საათიდან მაგთიკომის აბონენტთა ნებისმიერი ადგილობრივი ზარი აღირიცხება 1 წამის სიზუსტით.

**არავითარი დამრგვალება!**

**ილაპარაკეთ მეტი მაგთიკომთან ერთად!**

მაგთიკომი
MAGTICOM

◎ ინფორმაცია

## აქცია რუსეთის საელჩოსთან

**ინტელექტთანამეგობრობამ და მისმა მხარდამჭერებმა რუსეთის საელჩოსთან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით აქცია გამართეს.**

**აქციაში 11 ორგანიზაცია მონაწილეობდა.**



**აქციის მონაწილეებმა საპროტესტო მიმართვა გადასცეს საელჩოს წარმომადგენლებს. ანალოგიური საპროტესტო წერილი გუშინ აქციის მონაწილეებმა გადასცეს საქართველოში გაეროს სპეცწარმომადგენელს ჰაიდი ტალიავინსაც.**

## ცხინვალის რეგიონში დამატებითი ძალები არავის შეუყვანია

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი ქვედანაყოფების შეყვანის ფაქტს დეზინფორმაციას უწოდებს.**

**როგორც გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, ქართულ მხარეს ჯერჯერობით სამშვიდობო ძალებში საკუთარი კვოტაც კი სრულად არ აქვს გამოყენებული. მინისტრის თქმით, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ძალების მობილიზება, სწორედ დარჩენილი 250-კაციანი სამშვიდობო კონტინგენტის კვოტის ფარგლებში მოხდება. არსებული შეთანხმებების საფუძველზე, კონფლიქტის ზონაში მხარეებს 500-500-კაციანი სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანის უფლება გააჩნიათ.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ კვირის თვალსაწიერი

# ტყვიაში ტყვია გავარდა, ტყვედ ავიყვანეთ „ურალი“...

(მეორე გვერდიდან)

აი თვით ამ გადაწყვეტილების შესრულებაა ძნელი.

ცისფერჩაფხუტიანთა სარდალი კულახმეტოვი პირდაპირ აცხადებს, თქვენი გადაწყვეტილება ფეხებზე მკიდია, მე რუსულმა მხარემ – ჩემმა ხელმძღვანელობამ უნდა მიბრძანოს, მხოლოდ მაშინ გავალო. არადა, ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, რომ ის „მხარე“ სულაც არ აპირებს თავისი გენერლისთვის ბრძანების მიცემას, ბარგი ჩაალაგეთო. პირიქით, სამშვიდობო ძალები რალაც ახალი ძალებითა და ტექნიკით ივსება, სანგრები ითხრება... კოკოითი მოსკოვშია ჩამჯდარი და იმუქრება, მათ შორის ჩრდილოკავკასიელი ძმების მხარდაჭერით (მხოლოდ ჩრდილოელ ოსებს არ გულისხმობს, უფრო ფართოდძ...

აი ასეთი ვითარებაა 15 თებერვლის წინ, როცა ჩვენმა პარლამენტმა სამშვიდობოთა საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს. ისე რომ, ჩვენს მუშტებმოღერებულ პარლამენტარებს კარგად დაფიქრება მართებთ!..

სხვათა შორის, რუსეთელი „ქორები“ ამ სიტუაციაზე ფსონს ჩამოდიან. მათ ერთბაშად წინ წამოსწიეს ახალი „დამრტყმელი ძალა“ – იგორ გიორგაძე, კაცი, რომელიც 10 წელზე მეტია ლამის ბენ ლადენის თანაბრად ფიგურირებდა მსოფლიოს უსაშიშრეს ტერორისტთა რიცხვში, კაცი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმის ორგანიზება ბრალდება და რომლის შესახებაც იმ სახელმწიფოს მეთაურმავე ამას წინათ ბრძანა, არასოდეს მისთვის ტერორისტი არ მიწოდებიაო.

არის ტერორისტი თუ არ არის, საკითხის ერთი მხარეა, მეორე, და ამ შემთხვევაში არსებითი, კი ის, რომ სამშობლოდან გაქცეული და



ერთ-ერთ ქვეყანაში (ოღონდ, ჰმ, არა რუსეთში!ძ მიმალული ყოფილი უშიშროების მინისტრი, როგორც წინა ხელისუფლებისთვის იყო, ისე დღევანდელისთვისაც მიუღებელი პიროვნებაა. მაგრამ თუ გუშინ „კომანდორი“ და მისი პარტია „სამართლიანობა“ ქართულ პოლიტიკურ კაბადონზე ანგარიშგასაწევები არ იყვნენ, დღეს მდგომარეობა თანდათან იცვლება.

ამ მეტამორფოზას თავისი საფანელი აქვს. კერძოდ ის, რომ რუსეთის გარკვეული ძალები, როგორც ზემოთ ვთქვი, ფსონს ამ „თვისებრივ ცვლილებაზე“ ჩამოდიან. თვით იგორ გიორგაძე საქართველოში დაბრუნებას (გასაგებია, რომ აქ, უბრალოდ, ოჯახში დაბრუნებაზე არ არის ლაპარაკიძ წლეულსვე ვარაუდობს, თუმცა რას ეყრდნობა მისი ეს დაჯერებული რწმენა, არ განმარტავს. რუსი „ქორები“ კი ამ ვადას უფრო ფართო ამპლიტუდით – 3 თვიდან წელიწადნახევრამდე ანგარიშობენ.

აქ საინტერესო ის არის, რომ მინიმუმ 3 თვე იმ შემთხვევაზეა გაანგარიშებული, თუ ცხინვალთან ომი ატყდება და მას საქართველოს ხელისუფლება გადაჰყვება (შესაბამისად, გენერალ იგორ გიორგაძეს პრეზიდენტობისკენ გზა გაეხსნებაძ, მაქსიმუმად – წელიწადნახევრად კი დროის უკიდურესად შესაძლებელი მონაკვეთია ნაგულისხმევი.

დღევანდელი გავარვარებული სიტუაციიდან გამომდინარე, არ ვიცი, როგორ წარიმართება საქმე ხვალ ჩვენს პოლიტიკურ მორევში, მაგრამ ერთი რამ კი გამოიკვეთა: არის პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც სერიოზულ განაცხადს აკეთებს და იმის მიუხედავად, თუ რამდენად არის ის მისაღები საზოგადოებისთვის, ქართლოს ღარიბაშვილისა და როინ ლიპარტელიანისგან განსხვავებით, ანგარიშგასაწევი ძალაა.

თუმცა მანამდე დრო კიდევ არის.

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ ინფორმაცია

## რუსი ოფიცრები გაათავისუფლეს

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ორი დღის წინათ დაკავებული სამი რუსი ოფიცრის რუსული მხარისთვის გადაცემის პროცესი დასრულდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეუთოს მისიის პრესსამსახურში განუცხადეს, რუსი ოფიცრების გადაცემა დიდი ლიახვის ხეობაში, კეხვის საგუშაგოზე მოხდა. რუსმა სამხედროებმა სოფელი კეხვი ეუთოს დამკვირვებლების ავტომანქანით დატოვეს და ჩრდილოეთის მიმართულებით გაემგზავრნენ.**

**მოგვიანებით, ისინი შერეული სამშვიდობო ძალების ავტომანქანაში გადასვეს და ეუთოს დამკვირვებლებმა სოფელ დიდ გუმთამდე ჩააცილეს.**

**რუს სამხედროებს საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიის დასატოვებლად 24-საათიანი ვადა მისცა. საქმე აღძრულია საზღვრის უკანონო გადაკვეთის მუხლით და გამოძიება გაგრძელდება.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკი ვლადიმერ ივანოვი, პოდპოლკოვნიკი გენადი პეტროსიანი და სამხედრო ავტოინსპექციის თანამშრომელი ვალერი კროკი 8 თებერვალს სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით დააკავა.**

## თავად შემოიღეს და თავადვე აუქმებენ?

**რუსეთი მზად არის, საქართველოს მიერ რუსი სამშვიდობოების სავიზო მიმოსვლის დაწესების საკითხი შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში განიხილოს. ამის შესახებ გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხეილ კამინინმა განაცხადა.**

**„ქართულ მხარეს სრული უფლება აქვს, რუსი სამშვიდობოებისთვის ვიზების შემოღების საკითხი დასვას. ამასთან ერთად, ეს საკითხი რუსეთისთვის ახალია და მზად ვართ, იგი შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში განვიხილოთ“, – განაცხადა კამინინმა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ენერგეტიკა

# სოფელი შუქს ელირსება

**გეორგიკა, — ანუ მიწათმოქმედთა ქვეყანა, — ასე უწოდეს ჩვენს სამშობლოს. უწინ მარტო საკუთარი ხელით, ხარის ქედის ძალით მოჰყავდათ წინაპართ სარჩო.**

წავიდა ის დრო, დიდი ხანია. ახლა, ღვთის მადლით, მრავალი სხვა საშუალებაა. ამასთან, როცა ქვეყანა (ყოველმხრივ!ძ დამოუკიდებლობისთვის იღწვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის შრომით დასაქმებას — ამის საწინდარი კი (სხვა, უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებთან ერთადძ ენერგეტიკა გახლავთ.

იქნებ ამითაც ღირს სალაპარაკოდ თაოსნობა, რომელიც ორგანიზაცია „WINROCK“-მა არაერთ კომპანიონ-დამფინანსებელთან ერთად საქართველოში „ენერგეტიკის განვითარება სოფლად“ პროგრამა წამოიწყო.

თავად პროგრამის კონკრეტული შინაარსის შესახებ ამჟამად ლაპარაკი, ჩემი აზრით, ნაადრევია. თუმცა, ამთავითვე დავძენთ — შთამბეჭდავია მისი დაფინანსება — 13 მილიონი დოლარი. ასევე დიდად საგულისხმოა ის, რაც ორი დღის წინათ გამართულ პროგრამის პრეზენტაციაზე განაცხადეს ეკონომიკური განვითარების, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროთა მინისტრების მოადგილეებმა. კერძოდ, ითქვა, რომ საქართველოში აღნიშნული



პროგრამის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრავალ გარემოებათა გამო. სახელდობრ: სოფლად მცხოვრებთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების (რაც, დაგვეთანხმებით, უმნიშვნელოვანესიაძ, გარემოს დაცვაზე მეტად ზრუნვისა და მრავალ სხვა გარემოებათა გამო.

მასალის გამოქვეყნებამდე ანონსში ვიუწყებოდით, რომ შეკრებაზე დიდად ყურადსაღები აზრი გამოითქვა იმის თაობაზე, რომ პროექტს ძალა დიდად შეემატება, თუკი მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჯანდაცვის სისტემის მუშაკებიც.

სრულიად ვეთანხმებით წინადადების ავტორს.

ამასთან აღვნიშნავთ იმასაც, რომ მრავალმილიონიანი პროექტი, რომლის შესახებაც მოგახსენებთ, გარდა ზოგიერთი ხსენებული ასპექტისა, მრავალ საგულისხმო მომენტსაც შეიცავს.

ეს, გვერწმუნეთ, კიდევ მრავალი სხვა პუბლიკაციის თემაა. ახლა კი, დასტურად თემისა, გთავაზობთ მცირე ამონარიდს თავად „ვინროკის“ მიერ გავრცელებული მასალიდან. მასში კერძოდ, აღნიშნულია, რომ პროგრამა „ენერგეტიკის განვითარება სოფლად“ ამოქმედდება **„იმ თემებში, სადაც არსებობს ელექტროენერგიის წარმოების დიდი პოტენციალი“, დამოუკიდებელ ენერგომწარმოებელთა ქსელი, რომელშიც გაერთიანებული საწარმოები შეიქმნა, რათა განახორციელონ ახალი მცირე ენერგოსისტემების მშენებლობა, ან არსებული ობიექტების აღდგენა, აწარმოებენ 15 მეგავატ ელექტროენერგიას. ზოგი მათგანი მოახდენს ბუნებრივი გაზის სისტემის მშენებლობას.**

**დაახლოებით 200 ენერგოეფექტური პროექტი, რომელთა განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება ადგილობრივი განახლებადი ენერგიის წყარო, გამოიკვლევს ბიომასის (სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და გადამუშავების ნარჩენებიძ, ბიოგაზის (წარმოქმნილი მეცხოველეობის წარმოების შედეგადძ, მზის ენერგიის და სხვა ეკოლოგიურად სუფთა ენერგორესურსების გამოყენებას. ეს პროექტები ელექტროენერგიით უზრუნველყოფს სხვადასხვა ობიექტებს, მათ შორის სათემო ჯანდაცვის დაწესებულებებს, სკოლებს, მცირე ბიზნესებს და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს“.**

ოთარ ტურაბელიძე

◉ ინფორმაცია

## საჭე... მხოლოდ მარცხნივ

**საქართველოს პარლამენტი იმ ავტომობილებით სარგებლობას კრძალავს, რომელსაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვს დამონტაჟებული. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე მიიღებს და იგი ძალაში 2006 წლის პირველი ივლისიდან შევა.**

**ამ საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პარლამენტარი ნუგზარ შოშიაშვილი გამოვიდა. როგორც შოშიაშვილი აცხადებს, საჭის მარცხნივ გადმოტანა 1000-დან 1500 ლარამდე ჯდება.**

**პარლამენტარების განცხადებით, მათ ესმით, რომ აღნიშნული მძიმე ტვირთად დააწვებათ ავტომანქანების მფლობელებს, მაგრამ ამ კანონის შემოღება აუცილებელია, რადგანაც საქართველოს ავტოსაგზაო წესები მორგებულია მარცხენა საჭის მქონე ავტომობილებით მოძრაობაზე.**

**პირველი ივლისიდან მძღოლები, რომლებიც აღნიშნულ კანონს დაარღვევენ, 100 ლარით დაჯარიმდებიან, ხოლო განმეორების შემთხვევაში მათ ერთი წლით მართვის მოწმობა ჩამოერთმევათ.**

**გამონაკლისი კანონში მხოლოდ იმ უცხოელებისთვის დაიშვება, რომლებიც საქართველოში სამოგზაუროდ, ან გავლით არიან. მათ ავტომობილებს განსაკუთრებული ნიშნები ექნებათ მინებზე მიმაგრებული.**

## საავტომობილო გზებზე მოძრაობა შეზღუდულია

**ზვავსაშიშროების გამო, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.**

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ძლიერი ქარბუქის და ნამქერის გამო, ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია მარნეული-თეთრიწყარო-წალკის საავტომობილო გზის 81-88 კმ-ში, დმანისი-გომარეთი-ბედიანის საავტომობილო გზის 20-50 კმ-ში. ასევე აკრძალულია თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 38-44 კმ-ში.**

**დიდთოვლობის გამო, ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის საავტომობილო გზის 70-110კმ-ში და თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 60-110 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებითაა დაშვებული.**

ინტერპრესნიუსი

◉ მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

# საჯარიმო სანქციები შემცირდა, დარღვევები — გაიზარდა

**ახალს არაფერს ვიტყვი. მომხმარებელთა უფლებების დაცვაში გადამწყვეტი როლი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და მთავრობის მხარდამჭერ პოლიტიკას რომ ენიჭება, ყველასთვის ნათელია. მით უფრო, რომ ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების“ შესახებ, აგრეთვე საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და შესაბამისი სხვა ნორმატიული აქტები.**

ამ მხრივ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს გასული წლის შუა რიცხვებში მთავრობის მიერ საკანონმდებლო დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებები, რომელთა სავალალო შედეგები უკვე ნათელია და სამომავლოდ კიდევ უფრო უარესს უნდა ველოდეთ.

უპირველეს ყოვლისა, გაუმართლებლად მიგვაჩნია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანა, რომელმაც 2006 წლის 1 იანვრამდე შეაჩერა ამ კანონის 30-32-ე მუხლების მოქმედება, რაც პრაქტიკულად გულისხმობს მომხმარებელთა უფლებების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაცვაზე უარის თქმას, სამომხმარებლო საქონლის ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მეურნე სუბიექტების მონოპოლიური საქმიანობის აყვავებას, პროდუქციის უსაფრთხოების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, გარემოსა და ბუნების დაცვის ღონისძიებების მოშლას, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის გაუარესებას.

**დამწვარზე მდუღარე წყლის დასხმის ტოლფასია საქართველოს კანონებში „ვეტერინარიის შესახებ“ და „მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ“, სანიტარიულ კოდექსში შეტანილი ცვლილებები — სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციისა და ფიტოსანიტარული სამსახურების გაუქმება.**

ყოველივე ამან შარშან წლის მეორე ნახევარში მკვეთრად მოამრავლა მომხმარებელთა უფლებების დარღვევისა და მათი აბუჩად აგდების ფაქტები. **ჩვენი ასოციაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მოვაჭრე ობიექტების 92 პროცენტი მყიდველებთან ანგარიშსწორებას არ ახდენს საკასო-საკონტროლო აპარატის მეშვეობით, არ გასცემს ქვითარს ან სხვა რაიმე დოკუმენტს, ზომაწონაში ხომ ატყუებენ და ატყუებენ მომხმარებელს. ამასთან ობიექტების 95 პროცენტს არ აღმოაჩნდა მისი საქმიანობის პროფილის, საწარმოს სახელწოდების და მუშაობის რეჟიმზე ინფორმაციის შემცველი აბრა, პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიკატები.**

**რეალიზებული პროდუქციის 87 პროცენტს არ ჰქონდა გამოშვებისა და ვარგისიანობის ვადები, სწორად გაფორმებული ფასმაჩვენებლები, ინფორმაცია ხარისხისა და წონის, საკვები პროდუქტების შემადგენლობის, კალორიულობისა და დანამატების ნუსხა.**

**საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურე პერსონალის 85 პროცენტს არა აქვს სანიტარიული წიგნაკები, ისინი დროულად არ გადიან სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას. საგანგაშოა სანიტარიული მდგომარეობა, მთელ რიგ კვების ობიექტებს საპირფარეშოებიც კი არ გააჩნიათ, რომ აღარაფერი ვთქვათ ვაჭრობისთვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარებზე, გაუმართავ სასწორებზე. ბაზრებსა და მაღაზიებში მასობრივად იყიდებდა ლაბორატორიულად შეუმოწმებელი პროდუქტები, რესტორნები, სასადილოები, სახინკლეები მარაგდება ბაზარში შეძენილი ხორცით, ყველითა და სხვა პროდუქტებით, რომლებსაც არ გააჩნიათ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები.**

ზედმეტად ლიბერალურმა და სუსტმა კანონმდებლობამ ზოგიერთი მოვაჭრე ობიექტის ხელმძღვანელი იმდენად გააყოყოჩა, რომ ასოციაციის ექსპერტებს საშუალებას არ აძლევენ, მოიპოვონ კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის თაობაზე, პროდუქციის ხარისხზე, რაოდენობაზე, დამამზადებლებსა და სხვა საკითხებზე.

ასეთი და სხვა სახის დარღვევები მეტნაკლებად გამოვლინდა საზოგადოებრივი კვების ისეთ ობიექტებში, როგორებიცაა შპს „მაიკოს“ რესტორანი, **„მწვანე კონცხი“** (კაიროს ქუჩა № 1, ხელმძღვანელი გიორგი გოგოლაურიძ; შპს **„ოდოიას“** სასადილო (მოსკოვის გამზირი, № 1, ხელმძღვანელები რემიკო დოკვაძე და გიორგი ებანოიძეძ; შპს **„საპურმარილე დიოსკურია“** (სამგორის ქუჩა № 2, ხელმძღვანელი გია შამუგიაძ; სასადილო **„რიონი“** (ლილოს ბაზრობა, ინდმეწარმე გიორგი ოგანეზოვიძ; შპს **„სეტლი“** (ლილოს ბაზრობა, ხელმძღვანელი დავით ალიბეგაშვილიძ; ინდმეწარმე **„ომარ გრძელიშვილი“** (სამგორის ქუჩა, № 10ძ; შპს **„ზუკა“ „მეგრული ფაცხები“** (რიყის ტერიტორია, ხელმძღვანელი ნაირა კალანდიაძ; შპს **„მამუკა“** (მეველის ქუჩა № 3, ნავთლუღის ბაზრის ტერიტორია, ხელმძღვანელი რომან სარაჯიშვილიძ; შპს **„ნავთლუღი“** სასადილო-პავილიონი № 2 (მეველის ქუჩა № 3, ხელმძღვანელი ზაურ ალიბეგაშვილიძ; ინდმეწარმე **„ლალი ზაალიშვილი“** (ქეთევან წამებულის გამზირი, № 67ძ; ინდმეწარმე **„ლევან ხუჭუა“** (ქეთევან წამებულის გამზირი, 67ძ.



ანალოგიური სურათია სურსათით, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობაშიც.

**დღეს, როდესაც ფრინველის გრიპის ეპიდემიით მთელი მსოფლიო შეშფოთებულია, საზღვრების სანიტარიული ექიმების გარეშე დატოვება გაუმართლებლად მიგვაჩნია, მით უმეტეს, როცა ჩვენი „კეთილისმსურველი“ ჩრდილოელი მეზობელი მომენტს არ უშვებს ხელიდან და ამ ეპიდემიის გავრცელებაში საქართველოს ადანაშაულებს.**

საერთაშორისო ნორმებით საზღვარზე, საჰაერო იქნება იგი თუ საზღვაო, სარკინიგზო თუ საავტომობილო, ექიმები ვალდებული არიან, აკონტროლონ საკარანტინო ინფექციები, გრიპი იქნება ის თუ ქოლერა, ადამიანების თუ ცხოველების დაავადება, ხორცისა თუ მცენარეული პროდუქტების ვარგისიანობა. სავარაუდოა, ასეთმა „ღონისძიებამ“ საერთაშორისო სკანდალიც კი გამოიწვიოს.

**ჩვენს ქვეყანას, როგორც არასდროს, სწორედ ახლა სჭირდება სანიტარიული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული სამსახურების გაძლიერება, სურსათის უსაფრთხოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების გამკაცრება, პროდუქტისა და მომსახურების სერტიფიცირების გონივრული სისტემის შექმნა.** საქართველოში კი სწორედ ამ დროს ზემოთ დასახელებული ცვლილებების წყალობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების დიდი ნაწილი გაუქმდა, რამაც გაზარდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევისა და მათი აბუჩად აგდების ფაქტები. განა ეს გონივრულია?

**ლევან ბაღდავაძე,**
**საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი.**

◉ გვწერენ

## მადლობა მერიას

გულწრფელ მადლობას იმსახურებს თბილისის მერია ივანე ჯავახიშვილის მემორიალის აღდგენის გამო.

იმედია, ახლო მომავალში, თუნდაც ერთ მთლიან დაფაზე, ასევე აღდგება ამავე სახლში სხვადასხვა დროს მცხოვრებ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, კიტა აბაშიძისა და გურამ რჩეულიშვილის მემორიალები.

ალუმინის დაფაზე შესრულებული ოთხივე მემორიალი ამ ორი წლის წინათ ვიღაც გარეწარმა მოიპარა ჯართში ჩასაბარებლად.

რევაზ ტყემალაძე

**კომანდიტური საზოგადოება „ი. გორდულაძე და იურიდიული კომპანია ლეგალკონსალტის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კრედიტორებს ვთხოვთ, შესაძლო მოთხოვნების თაობაზე მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №27/9 ტელ: 93-28-39, 93-43-67, 93-41-65.**

**დირექტორი ირაკლი გორდულაძე**

მოქცევა

# „სტუმრები“ ქვესკნელიდან

**სექტემბრის ბოლო დღე იწურებოდა. თელეთის მამათა მონასტრის სატრაპეზოს წინ მსახურებს ცეცხლი გაეჩაღებინათ და ზედადგარზე მოთუხთუხე ქვაბიდან სოკოს საამო სურნელი იფრქვეოდა.**

**— ეყოფა უკვე, — თავისთვის ჩაილაპარაკა ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცმა და ქვაბი ზედადგარიდან გადმოდგა. ამასობაში ცეცხლს ისე მიუახლოვდა, რომ შარვლის ტოტები ერთიანად შეეტრუსა.**

**— ფრთხილად, იოანე, არ დაიწვა, — შეუძახა მონასტრის მნათემ ლაშა გელაშვილმა.**

**— აბა, როგორ?! აქედანვე უნდა შევეჩვიო ჯოჯოხეთის ცეცხლს, თორემ მერე გამიჭირდება...**

იხუმრა, მაგრამ ვაი ამ ხუმრობას. სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სხეული ერთიანად დაუმძიმდა. გონებაც აერია და ცივმა ოფლმა დაასხა. თითქოს უცხო, მყრალი არსება ჩაუსახლდა სხეულში და მისმა ამაზრზენმა სუნმა აზროვნება ერთიანად დაუზინდა. თვალებიც გაუფართოვდა და ასტკივდა. გული სიბნელეში უგზოუკვლოდ დაკარგული მგზავრივით აუფორიაქდა. ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. ამიტომ ლაშას ესღა უთხრა:

— წავალ, კახაბერს დავუძახებ, შენ კი მანამდე ბიჭები მოიხმარე და სუფრა გაშალე.

შინაგანი ქაოსი უფრო მოეძალა. გონება მთლიანად დაუბნელდა, გაუკაცრიელდა. მას კი სინათლე სწყუროდა. სინათლის გარეშე ვერ ისუნთქებდა და დაიხრჩობოდა. ნაცნობ შეგრძნებას ჰგავდა. დიდი ხნის წინათ განცდილს, მაგრამ როდინდელს?.. იქნებ მაშინდელს, შვილებს უცხოეთში რომ აცილებდა და არც იცოდა, ოდესმე კიდევ ნახავდა თუ არა? არა. მაშინ ემოციები სჭარბობდნენ და მდგომარეობიდან მალე გამოვიდა. ეგ იყო, დარდმა საბოლოოდ მოტეხა. მას შემდეგ არც არაფერი უხაროდა და არც არაფერი სტკიოდა. მთლად უგრძნობი გახდა. ამ ძიებისას გონებაში ბავშვობისდროინდელი აჩრდილები ამოტივტივდნენ. გაახსენდა მის მიერ მოშლილი ჩიტის ბუდე და მატლებდახვეული ბარტყები. მას შემდეგ ცოდვების მეტი რა ჩაუდენია, მაგრამ ეს მისი პირველი ცოდვა იყო. ამიტომ იმოქმედა ასე და ამდენი წლის შემდეგაც გულში ტკივილით დაატარებდა. სწორედ მაშინ დაემართა ამგვარი შეგრძნება, მაგრამ ვერ გაეგო, რა საერთო უნდა ჰქონოდა ამ ორ ერთმანეთისგან მეტად დაშორებულ ცხოვრებისეულ ეპიზოდს? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი არსებობს.

მაშინაც და ახლაც მისი სული და აზროვნება ძალიან შეიცვალა. თუ ბავშვობისდროინდელმა ცოდვის შეგრძნებამ მასში უმანკოების სიმშვიდე დაარღვია და ცოდვილი ცხოვრების დასაწყისი გახდა, ახლა, წლების მანძილზე დაგროვილი სიბინძურე და ჭუჭყი უნდა განეტვირთა საკუთარი თავიდან. შეძლებდა კი ამის გაკეთებას? ეყოფოდა ამისათვის სულიერი და ფიზიკური ძალა? მას ხომ ხუმრობაც ღვთის საწინააღმდეგოდ გამოსდის?..

მორჩილმა კახაბერ კუპრაშვილმა კარის ჭრიალის ხმაზე ლოცვა შეწყვიტა და ტაძრის შესასვლელისაკენ შეტრიალდა. იქ ერთიანად სახეგაფითრებული იოანე იდგა.

— რას გავხარ ბიჭო, რა დაგემართა, ცუდად ხომ არა ხარ?

— ისე, რა... ტრაპეზი უკვე მზად არის, — ძლივს ამოილუღლუღა იოანემ.

— ახლავე. ტაძარი დავკეტოთ და ერთად წავიდეთ, — მან ლოცვების წიგნი მედავითნის კარადაში შეინახა და მეგობარს ნელი ნაბიჯით უკან გაჰყვა. ეკლესიის ეზოდან მდუმარედ გამოვიდნენ. ის იყო, მარჯვნივ, კელიებისაკენ უნდა შეეხვიათ, რომ იოანეს მზერა რატომღაც წინ გაექცა და ერთ ადგილზე შედგა. თვალები უფრო გაუფართოვდა. გულისცემაც საგრძნობლად აუჩქარდა. მის წინ, ათიოდე მეტრის მანძილზე, ეკლიან ბუჩქთან ოთხი უცნობი მამაკაცი იდგა.

— კახაბერ, ნახე, მგონი სტუმრები გვეწვივნენ, — მიანიშნა ბუჩქებისაკენ.



ახლომხედველმა კახაბერმა სათვალეები გაისწორა და მითითებული ადგილი კარგად შეათვალიერა.

— რა სტუმრები, მოლანდებები ხომ არ დაგეწყო? წამოდი, თუ ძმა ხარ, რა დროს ხუმრობაა. იოანე სულაც არ იყო ხუმრობის ხასიათზე. მათთან მისვლა გადაწყვიტა. რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ რაღაც ძალამ ადგილზე გააქვავა. ეზოდან გამოტყორცნილ ლამპიონის შუქზე მათ სახეებს კარგად ხედავდა. „სტუმრების“ გაყინული, შიშისმგვრელი თვალებიდან უსაზღვრო ბოროტება და სასოწარკვეთა მოედინებოდა.

— ალბათ, „ბელაია“ დამეწყო, მაგრამ უკვე ერთი წელია სასმელი არ დამილევია და, თან ასეთი რამე არასოდეს მქონიაო, — ფიქრობდა და „უცნობებისაგან“ როგორმე თავის დაღწევას ლამობდა. უცებ ოთხივე ერთდროულად ალაპარაკდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი საუბარი. მათი აზრები უსიტყვოდ, პირდაპირ იოანეს გონებაში შეიჭრნენ.

— „ბელაია“ ექიმების ტერმინია. ეს ჩვენ ვართ და რეალობას ვერ გაექცევი. დღეიდან ჩვენს ბრძანებებს შეასრულებ, თუ არა და, უარესი დაგემართებაო.

არ ახსოვს, კელიაში ღვთისმშობლის ხატის წინ როგორ აღმოჩნდა. გონს რომ მოეგო, მონასტრის წევრები გარს შემოხვეოდნენ. რა მოხდა, რა მოგივიდაო, ყველა ეკითხებოდა.

— ისინი... ისინი ჩემში არიან. მიშველეთ! მამაოს დაუძახეთ! — ეხვეწებოდა მათ.

— მამაოს მოსვლამდე ჯობია ილოცო და მეტანიები გააკეთოო, — ურჩევდნენ აქეთ-იქიდან.

— ვერც ლოცვა გიშველის და ვერც მეტანიები. შენ უკვე ჩვენი ხარ. წელან შენი ნებით მოგვყიდე სული! — მას კვლავ მტკივნეულად ეწვეთებოდა „ოთხეულის“ საშინელი აზრები გონებაში.

ბიჭებმა ნახშირი გაალვივეს. ირგვლივ საკმევლის ღვთიური სურნელი დატრიალდა. იოანე განუწყვეტლივ ლოცულობდა. გრძნობდა, მის სხეულში ჩაბუდებული მტრები ახალი იერიშისათვის რომ ემზადებოდნენ. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს თვალს არ აცილებდა. ამიტომ კარგად დაინახა ღვთისმშობლის თვალთაგან მირონი როგორ გადმოდინდა. იქნებ, ესეც იმათი ხრიკებია და სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა?..

— მოდით... მოდით, შეხედეთ! — უკვე ყვიროდა იოანე.

ყველანი ხატთან მივიდნენ. მირონის ხილვა არც გაკვირვებიათ, რადგან ამ მონასტერში თითქმის ყველა ხატი მირონმდინარე იყო.

— ეს კარგის ნიშანია, — დაამშვიდა კახაბერმა, — უფალმა შეისმინა შენი ვედრება. აგერ, მამაოც მოდის. ლოცვებს წაგიკითხავს და მდგომარეობიდან გამოხვალ.

— კელიაში მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი (ჩომახაშვილი) შემოვიდა. ეს იყო სამოც წელს გადაცილებული ნათელი სახის ბერი. მან მომხდარის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა.

— ნუ გეშინია, შვილო. მთელი ცხოვრება მათი მსახური იყავი და ასე უცბად რას შეგელევიან. წინ კიდევ ბევრი ბრძოლა გელის. ღმერთს სურს შენი გამოფხიზლება, გამოწრთობა და სალმრთოდ მოქცევა. მიდი, წამოწექი. მალე ჩაგეძინება და შვებას იგრძნობ.

**იოანემ შეასრულა მოძღვრის კურთხევა. საწოლზე წამოწვა და თვალი მილულა. მამა ამბროსი დიდხანს უკითხავდა „კვეთებულის“ ლოცვებს. შედეგიც უკვე ნათელი იყო: ბოროტი ძალები უძლურნი აღმოჩნდნენ ბერის სიწმინდის წინაშე. გონება თანდათან დაეწმინდა, გულიც დაუმშვიდდა. ახლა უფრო მეტად შეიგრძნო საკუთარი ცოდვების სიმძიმე, რომელიც დღეიდან მარხვით, ლოცვითა და შრომით უნდა გამოესყიდა და სიკეთის კეთებით გაეკვლია გზა სასუფევლისკენ...**

**ელგუჯა გრიგალაშვილი**

მიწისძვრა ჩვენს სულებში

# საკითხავი მართლაც ეს არის...

**ბატონ აკაკი გონგლაძესთან ქალაქის მერიიდან გამაგზავნეს. ბატონი აკაკი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის თავმჯდომარეა. ეს ფონდი 2002 წლის 4 მაისს შეიქმნა — 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ. ადრე აქ სხვა შემადგენლობა იყო. ბატონი აკაკი ფონდს 2003 წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობს.**

***— ამჟამად რას საქმიანობს თქვენი ფონდი?***

— მე წინა ინტერვიუშიც განვაცხადე, რომ ფონდის სახელზე გამოყოფილი 4 მილიონიდან 2 მლნ 900 ათასი ლარი დაიხარჯა 346 ბინაზე (გარდა სხვა ხარჯებისა). ეს ბინები საგანგებოდ იქნა შეძენილი მიწისძვრით დაზარალებულთათვის. ეს მოხდა ძველი ფონდის დროს. ამჟამად ვახდენთ მათ გადაფორმებას.

***— მაინც, რამდენი ბინა გადაუფორმეთ უკვე?***

— 154 ბინა უკვე კერძო საკუთრებაში გადავეცით. გუშინწინ, მაგალითად, 14 ბინა გადავაფორმეთ. ფონდი არ დაიშლება მანამ, სანამ ეს 346 ბინა არ გადაეცემა მფლობელობაში. ეს საქმე რომ მოგვარდება, ფონდიც ავტომატურად გაუქმდება. ამჟამად ჩვენი ძირითადი მოვალეობა ეს არის — ბინების გაფორმება თავიანთ მფლობელებზე.



***— როგორ, ზოგიერთი მესაკუთრის ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის?***

— მესაკუთრე ყველა ბინას ჰყავს, ჩვენ მხოლოდ იურიდიულ მხარეს ვაგვარებთ.

***— წელს თუ არის გათვალისწინებული რაიმე სახის დახმარება მიწისძვრით დაზარალებული ოჯახების მისამართით?***

— ჩვენი ფონდის ანგარიშზე წელს 1 თეთრიც არ არის გადმორიცხული. ამ ადამიანებს ჩვენ ვერაფრით დავეხმარებით, უბრალო მიზეზის გამო — წელს დაფინანსება აღარ გვქონია.

***— იცით, არასამთავრობო ორგანიზაცია — „საქართველოს მოსახლეობის ერთიანობის და სოლიდარობის კავშირი“ ეჭვობს, რომ მიწისძვრით დაზარალებულთათვის განკუთვნილი თანხების ნაწილი არამიზნობრივად იხარჯებოდა.***

— ადრე რა იყო, ვერ გეტყვით. მე კი ჩემს საქმეს ვასრულებ. თუ მათ ამგვარი ეჭვი აქვთ, უნდა მიმართონ საგამოძიებო ორგანოებს და ყველაფერი ამ გზით გაარკვიონ.

***— წინა ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ 346 ბინიდან 20 თვითნებურად დაიკავეს ოჯახებმა, რომლებსაც განსაკუთრებით უჭირთ მატერიალურად.***

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ რამდენიმე მათ შორის იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობს, რომ მე პირადად, მათი გამოსახლება უზნეობად მიმაჩნია.

***— დავუბრუნდეთ ისევ მიწისძვრით დაზარალებულებს: იქნებ გამოჩენილიყო ინვესტორი, ვინც მათ პრობლემებს მოაგვარებდა?***

— ინვესტორს მოძებნა უნდა, ეს კი ჩვენი ფონდის კომპეტენციაში არ შედის. როგორც ვთქვი, ჩვენ წელს არ გვქონია დაფინანსება და ამჟამად მხოლოდ მათთვის ნაყიდი ბინების გადაფორმებით ვართ დაკავებულნი.

ა. გონგლაძესთან საუბრის შემდეგ მე მივაკითხე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასაც. იქაც იგივე მითხრეს: წელს ჩვენთვის არ გადმოურიცხავთ არანაირი თანხა მიწისძვრით დაზარალებულთათვისო.

***— „გამოდის, რომ ეს საკითხი არავის ეხება, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა ეხებოდეს, ვინმემ ხომ უნდა მიიტანოს გულთან ახლოს ჩვენი სატკივარი?“ — კითხულობენ ადამიანები, რომლებიც სტიქიისგან დაზზარულ სახლებში ცხოვრობენ. როგორც იტყვიან, საკითხავი მართლაც ეს არის!***

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ შაბათის სტუმარი

# როგორ ვაპირებდნენ რუსის ჭარზე შურისძიებას

# ლევან მალაზონია და მისი მეგობრები

**ლევან მალაზონია, საერთოდ, ცოტა ემოციური კაცია, კომუნისტების ხსენებაზე კი ნამეტანი მოსდის, ისე აგინებს და თათხავს იმ ეპოქას, ჩვენ რომ სამოცდაათი წელიწადი ვიცხოვრეთ, თავი თუ არ უკანტურე, შეიძლება გაგლახოს...**

**ბატონი ლევანი სამი ძმა მალაზონიას შუათანაა. უფროსი — ნოდარი ცნობილი გრაფიკოსი და კარიკატურისტია, წერს შესანიშნავ იუმორისტულ მოთხრობებსაც, დიდხანს მუშაობდა ჟურნალ „ნიანგში“, ამ ბოლო დროს კი ქართული ფულის დიზაინით დაინტერესდა და ლარის რამდენიმე კუპიურის მხატვრობაც მას ეკუთვნის.**

**უმცროსი ძმა — მამია სახელგანთქმული გრაფიკოსი და სცენოგრაფია, ხოლო ეს ჩვენი დღევანდელი სტუმარი — უკვე სამოცდაათს გადაცილებული შუათანა ლევანი — პროზაიკოსის ნიჭით დააჯილდოვა ბუნებამ და უახლოეს ქართულ ლიტერატურას შესანიშნავი მოთხრობებით, პიესებითა და სცენარებით (მარტო ფილმ „ლაზარეს“ გახსენება რად ღირს) ამდიდრებს.**

***— მე მგონი, მაინც, რაღაცნაირად, „ჩრდილში“ ხართ, ავანსცენაზე ყოფნა არ გიყვართ,*** — ვეუბნები სტუმარს.

— არა, ავანსცენა რა ჩემი საქმეა... ისე, ვაკეთებ იმას, რასაც მწერალი უნდა აკეთებდეს — ვწერ... და გული მტკივა ჩემი ქვეყნის გაუბედურებული მდგომარეობის გამო.

***— ისე, მართლაც საოცარია ბუნება: როგორი ნიჭიერება დაგაბერტყათ სამთავეს — მამათქვენის — ბატონი ვლადიმერ მალაზონიას შთამომავალთ...***

— მისი ჯიში მოგვდგამს... თვითონ იყო, მოგეხსენებათ, უნიჭიერესი მხატვარი — ჩვენი სამხატვრო აკადემიის პირველი გამოშვება, მოსე თოიძის შეგირდი. თბილისში ნინო ნაკაშიძის ოჯახში (მამაჩემის ახლობელი იყო) ცხოვრობდა, მაგრამ 24-ში, საქართველოში გამოსვლები რომ დაიწყო და მამაჩემს ქალბატონმა ნინომ რაღაც „საეჭვო“ ქცევა შეატყო, უთხრა, სასწრაფოდ წადი სახლში, ოზურგეთში, თორემ აქ რაღაცას მოიწევო, და ისიც წავიდა, დიდხანს მუშაობდა მხატვრად ოზურგეთის თეატრში... და ასე ჩარჩა პერიფერიაში... დღეს უკვე მისი სახელობის ქუჩაა ოზურგეთში...

***— ალბათ, მამის გავლენაც გქონდათ ყმაწვილებს...***

— დიახ... ძალიან განათლებული კაცი იყო, ათას რამეს გვიყვებოდა, ოღონდ, საგანგებოდ კი არ დაგვსვამდა, ისე, სასხვათაშორისოდ, საუბარში გაურევდა ხოლმე...

საერთოდ, გარემომაც იმოქმედა. მე, შეიძლება ითქვას, თეატრის კულისებში და რეპეტიციებზე გავიზარდე... რეპეტიციებზე ყოფნა მაინტერესებდა. მერე ვადარებდი, რა დარჩა სპექტაკლში რეპეტიციიდან. ესეც არ იყოს, ჩვენს ოჯახს სტუმრობდა ყველა, ვინც კი დედაქალაქიდან ჩამოდიოდა ოზურგეთში საგასტროლოდ. მარტო ვასო ყუშიტაშვილის მოსმენა რად ღირდა... რახან ძმები ხატვას ეტანებოდნენ, დაგვსვამდა მამაჩემი სამთავეს და მოგვცემდა თემას სახატავად, მერე კი ნიშანს გვიწერდა. ნოდარი და მამია სულ ოთხიანებსა და ხუთიანებს იღებდნენ. მე — ორიანს, ან საწყალ სამიანს... აღმოჩნდა, რომ მხატვრობა ჩემი საქმე არ იყო. რა მექნა? რეჟისორობა კი მიტაცებდა, მაგრამ მამა წინააღმდეგი წავიდა. უნივერსიტეტზე გიჟდებოდა. ჯერ უნივერსიტეტი დაამთავრე და მერე შედი თეატრალურზეო. მამის წინააღმდეგ ვინ წავიდოდა. შევედი უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის განხრით და უბედნიერესი კაცი ვიყავი — სავლე წერეთლის, კოტე ბაქრაძის, სერგი დანელიას, შალვა ნუცუბიძის და სხვა გიგანტების ლექციებს ვისმენდი, მაგრამ, თურმე, მხატვრული სიტყვაც მიტაცებდა... ჩემი კურსელები ხომ, ჩუმ-ჩუმად, ყველა წერდა, განსაკუთრებით პოლიტეკონომიის ლექციას „ვიყენებდით“. მერე გავბედეთ და ერთმანეთსაც წავუკითხეთ, უკვე ერთად ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით — ზურაბ კიკნაძე, ედიშერ გიორგაძე, ერლომ ახვლედიანი, დათო ჯავახიშვილი, ირაკლი რამიშვილი, ლევან თოლორდავა, შოთა ჩანტლაძე, ბესიკ ადეიშვილი... მოგვიანებით შემოგვიერთდნენ — გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე... აღმოჩნდა, რომ ერთი ჭკუისანი ვიყავით — „ანტენები“, კომუნისტური რეჟიმის და მისი სულისჩამდგმელის — სტალინის მოძულენი...

***— ეს რა დროა?***

— 56 წელია, პირველი, მეორე კურსის სტუდენტები ვართ და, აი, 9 მარტს დატრიალდა ცნობილი ტრაგიკული ამბები სტალინის გამო... აზვირთებულია თბილისი, ქვეყანა სტალინის მზეს ფიცულობს, ჩვენ კი, რამდენიმე კაცს, მისი სახელის გაგონებაც არ გვინდა, მისი „სიკვდილის ბანაკები“ და იქ მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა სახეები სულს გვიფორიაქებს... ჩუმად ვართ, ჩვენი აზრები რომ ვინმემ გაიგოს, შეიძლება ჩაგვქოლონ...

დააყენა სისხლის ტბა 9 მარტს რუსეთის ჯარმა და ამან კიდევ უფრო გაგვიძლიერა სიძულვილი „ძმური კავშირის“ მიმართ... რა ვქნათ, როგორ ვიძიოთ შური ამ სალდაფონებზე?.. ახალგაზრდული ემოცია რას არ გაფიქრებინებს: გადავწყვიტეთ იარაღის შეძენა, რომ დავესხათ არსენალს, გამოვიტანოთ იარაღი, დავურიგოთ აღელვებულ მოსახლეობას და შევუტიოთ ამიერკავკასიის სამხედრო შტაბს, მაგრამ, არსენალზე თავდასხმისთვის, იარაღი როგორღა შევიძინოთ?.. კარგად ვიცნობთ ძველ, არისტოკრატიულ ოჯახებს. მათგან მოვიპარავთ ანტიკვარულ ნივთებს, გავყიდით და შევიძენთ იარაღს... კიდევ კარგი, ემოცია რამდენიმე დღეში ჩაცხრა და მივხვდით, რომ სისულელეს და იდიოტობას ვაპირებდით... მას შემდეგ, ჩემო ძმაო, ზუსტად 50 წელი გავიდა, რუსი ისევ საქართველოშია



და მადლობა ვთქვათ, ახლა მაინც, უმტკივნეულოდ რომ გავიდეს ჩვენი მიწიდან.

***— ჭკუას უნდა მოუხმოს ხელისუფლებამ და გავლენ, აბა, რა იქნება...***

— მერედა, ვისა აქვს ჭკუა ხელისუფლებაში, პარლამენტს, მთავრობას თუ პრეზიდენტს? პარლამენტმა რომ ახლახან კანონი მიიღო პენსიების შესახებ, ეს დაცინვა არ არის?! ხალხის სულში ჩაფურთხების ტოლფასი არ არის?! ერთი პარლამენტარი შემხვდა, მეგობარია, ვეუბნები, რატომ აუწიე ხელი ამ კანონს, რატომ იჭუჭყიანებ ბიოგრაფიას-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? მე იქ ამინდს ვერ ვქმნიო. ერთი მაინც გებღავლა, გატრუნული რომ ზიხარ-მეთქი. კიდევ გამიმეორა, ამინდს ვერ ვქმნიო...

ახლა, რასაც გეტყვი, დაწერე და დაბეჭდე: დღევანდელი პარლამენტარების 95 პროცენტი არის უწიგნური და „ხიხო“, არა აქვთ არც ტკივილისა და არც სიხარულის შეგრძნება... ეს ის ხალხია, ერთი დუქნისთვის, დედას რომ აგინებენ ერთმანეთს... ასეა მთავრობაც... ხოლო ღირსეული პრეზიდენტები, ჩვენდა საუბედუროდ, არც გვყოლია და არც გვყავს. რაც დღეს „სამხრეთ ოსეთში“ ტრიალებს, გამსახურდიამ დაიწყო, მან დათესა „კუთხურობის“ სინდრომი, ვისაც საკუთარი აზრი ჰქონდა, კრემლის აგენტად გამოაცხადა, შევარდნაძემ კრემლის წისქვილზე ასხა წყალი, დანერგა უსაშველო კორუფცია, მექრთამეობა... ხოლო სააკაშვილმა, ჩემო ბატონო, დრო იშოვა, შევარდნაძის სიძულვილი გაუათმაგდა ხალხს, ჩვენც მივყევით (მეც მათ შორისძ და რაც მივიღეთ, უკვე ქვეყანა ხედავს!.. მე ვერ ვიტყვი, რომ იგი დაქირავებული იყოს, მაგრამ გაუაზრებლად, დაუფიქრებლად რომ მოქმედებს, რად უნდა ლაპარაკი... როგორ ექცევა მწერლობას, მეცნიერებას, პრესას... საერთოდ, კულტურას... არადა, ჩვენ დავსვით, ჩვენი ბრალია...

***— იქნებ, რაიმე გამოსავალს ხედავთ, ბატონო ლევან?***

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მაქვს „რეცეპტი“: როგორც საბერძნეთში აიღეს ხელში ძალაუფლება „შავმა პოლკოვნიკებმა“, დაამყარეს წესრიგი რამდენიმე წალიწადში და მერე სამოქალაქოებს გადასცეს ხელისუფლება, აი, ასეთი მოდელი თუ გვიშველის ჩვენც...

***— კარგით, ბატონო ლევან... მაინც შევტოპეთ პოლიტიკაში, არადა, რა კარგი სასაუბრო გვაქვს წინ — თქვენ ხომ ცნობილი პედაგოგისა და თამადის სიმონიკა სხირტლაძის სიძე ბრძანდებით...***

— საქართველოზე ფიქრში დალია სული. ერთხელ, ავდივარ მასთან გოგებაშვილის ქუჩაზე, გაგანია ზაფხულია, შევაღე კარი, შევედი და საძინებელი ოთახიდან ტირილი შემომესმა. გამიკვირდა, შემეშინდა, უბედურება მოხდა-მეთქი. შევედი საძინებელში და ვხედავ, პირაღმა წევს სიმონიკა და იცრემლება, ქვითინებს. ჩემს დანახვაზე წამოჯდა. რა მოხდა-მეთქი. რაღა უნდა მოხდეს, დაღუპულია საქართველო, შვილო, რა გამოასწორებს მის საქმესო...

იგი ჭეშმარიტი მოძღვარი იყო, დიდი წინაპრების სადარი მე-19 საუკუნის კაცი, განუმეორებელ თამადობასაც ტრიბუნად იყენებდა, სამშობლოს, წინაპრების სიყვარულს ქადაგებდა... იცით, ერთხელ, რა უპასუხა მეუღლეს, როდესაც იმან უსაყვედურა, ნუ სვამ ამდენსო? კარგი რა, თამარ, მე ქეიფით სიკვდილს ვიგერიებ და, ნუ დამიშლიო... წავიდა ამ ქვეყნიდან და შემთხვევით აი, მისი ეს ლექსი ვიპოვეთ (ჩუმ-ჩუმად წერდაძ, მეუღლისადმი მიძღვნილი, წინასწარმეტყველური:

**უკვე მესტუმრა, ვისაც ველოდი,**
**ჩემი მტერი და ჩემი ძმობილი,**
**მალე ის ბოძიც გამომეცლება,**
**რომელსაც ზურგით ვარ**
**მიყრდნობილი.**
**ვიცი ცრემლები აგივსებს**
**თვალებს,**
**დამენანება გზა გაწყვეტილი,**
**რომ ჩავიტანე ცივ სამარეში**
**გული დაჭრილი და**
**დაფლეთილი.**

სხვათა შორის, ეს ლექსი ჯერ არსად გამოქვეყნებულა.

**...ეეეე... ეგეთი ხალხი სადღაა, ბატონო ლევან... დიდი მადლობა საუბრისათვის, ღმერთმა უკეთეს დღეებს მოგვასწროს.**

— ამინ!..

◎ ინფორმაცია

## გაბეს ნარკორეალიზატორი

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ფაქტზე დედაქალაქში მოქმედი ცნობილი ნარკორეალიზატორი, 39 წლის ზურაბ სარიშვილი, მეტსახელად „ზუკო“ დააკავეს. სარიშვილი დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

**პოლიციის ინფორმაციით, სარიშვილმა საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მოქალაქე ზაზა ჭიღილაშვილს 120 ლარად ნახევარი აბი „სუბოტექსი“ მიჰყიდა. დაკავებისას სარიშვილისაგან 2 აბი და 5 ნატეხი სარეალიზაციოდ გამზადებული „სუბოტექსი“ ამოიღეს.**

**აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეს თბილისის შს სამმართველო იძიებს. კანონით, ნარკორეალიზაციის ბრალდება 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.**

## კონტრაბანდას რა დალევს?

**ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე ვიტალი შუღლიაშვილი დააკავა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, დაკავების ოპერაცია სოფელ ერგნეთის გასასვლელთან განხორციელდა. შუღლიაშვილს 5 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. ტვირთი ჩამორთმეულია და ფინანსურ პოლიციაშია გადატანილი.**

**აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით დაიწყო, რაც მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვას გულისხმობს.**

## დააკავეს „ლოტკინელთა დაჯგუფების“ ლიდერი

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენელი, „ლოტკინელთა დაჯგუფების“ ლიდერი, 31 წლის თემურ ასლამაზაშვილი. იგი დაკავების დროს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

**პოლიციის ინფორმაციით, ასლამაზაშვილი დედაქალაქში მოქმედი ავტოგამტაცებელთა ჯგუფის წევრია. ეჭვმიტანილისგან პირადი ჩხრეკისას 0,6 გრამი „ჰეროინი“ ამოიღეს.**

## ინკასატორმა მოსახლეობის თანხა მიითვისა

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ფულს ედავებიან „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ქარელის სერვისცენტრის ყოფილ ინკასატორ ჯაბაურ ქიშიშვილს.**

**გამოძიების ინფორმაციით, მან ქარელის რაიონის მოსახლეობისგან ელექტროენერგიის საფასური შეაგროვა და [illegible] მიითვისა. ფინანსური პოლიცია [illegible] ოდენობას ადგენს.**

◎ ცხელ-ცხელი წკიპურტები

## მეტი ფასი დაადეთ...

**ხელისუფლება... ჯერ ლაპარაკობს, მერე ფიქრობს (ფიქრობს კი?-ძ. რომ ფიქრობდეს და მერე ლაპარაკობდეს, ეგებ ეს ენერგოკრიზისი ასეთი გამოუვალი არ იყო!**

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ყველა უბედურება წინამორბედის ბრალი ყოფილა! სხვათა შორის, რაღაც არ მსმენია, რომ თუნდაც ჩვენთვის საგანგებოდ ამერიკაში პრეზიდენტებს თავიანთი წინამორბედები ელანძღოთ!

შე დალოცვილო, შენ შენსას ეცადე და, თუ უკეთესი ხარ, ხალხი თვითონ გაარკვევს.

მეტი ფასი დაადეთ თქვენს სიტყვებს და დაპირებებს, ჩვენო პრეზიდენტო, თორემ ხალხის ნდობის დაკარგვაზე ადვილი ამ ქვეყნად არაფერია...

## ბევრი რამ ხდება ამ ქვეყანაზე...

**ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახლდით. ფოიეში სრულიად მოულოდნელად ჯოკონდას [illegible] ღიმილიან (ოო, [illegible]) რექტორს შევეფეთე.**

სადღეისოდ რა ჰქონდა? — იკითხავთ. რა და, გამოსავალს მიაგნო: ორმოცდაათის გადაცილებულ ყველა ლექტორს „შესთავაზეს“, სამუშაოდან გათავისუფლებაზე განცხადება დაწერეთ და სამი წლის მანძილზე ხელფასის 80 პროცენტს შეგინარჩუნებთო...

არ ვიცი, ვინ წამოეგო ამ სატყუარას, თუმცა, სხვა რა გზა რჩებათ, ამ „თავაზიან“ წინადადებას რომ არ დაეთანხმნენ? მაგრამ ამ 3 წლის შემდეგ რა ქნან ჯერ კიდევ ჯან-ღონით და ჭკუა-გონებით სავსე ადამიანებმა? [illegible] გაზაფხულს, როცა „ირემა ამოვა?“

ისე, საინტერესო კია, თვითონ ქალბატონი რუსუდანი რამდენი წლისაა? თუ ეს შეზღუდვა მხოლოდ მეცნიერებს ეხება და არა ხელმძღვანელობაში მომუშავეებს?

[illegible]

ვილენ მარდალეიშვილი

## მაგრად დგახარ, დოქსოპულო?

**„ორმოცი წლისა თანამშრომელი კი არა, ეზოში ხეც არ მინდა“, — განაცხადა ეკონომიკის ერთ-ერთი მინისტრი (აწ ყოფილი).**

მისი გვარ-სახელი ისე უკვალოდ გაითქვიფა ისტორიის ლაბირინთებში, როგორც შარშანდელი თოვლი — ტალახში („დოქსოპულო, შენ დედა გყავს?“-ძ.

როგორ ივინება, ხომ მიუკაკუნებს ორმოცს ჩვენი ეგს-მინისტრი?

ჰოდა, საინტერესოა, ისევ „იქა დგას [illegible]“, თუ გადაუხვევია?

[illegible]

# სიმართლისათვის ყვირილს ყოველთვის

## ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭეს-



**ქართული უნივერსიტეტის რექტორის მოახლოებული არჩევნები ქვეყანაში ლამის ნომერ პირველ მოვლენად იქცა. გავიხსენოთ: თითქმის ყველა სატელევიზიო არხი ღია ეთერში გადაცემდა არჩევნების პროცესს. ცხადია, არცერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორის საკითხი არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი. მეტიც, ვთქვი ზევით: რექტორებს იჭერენ, უშვებენ და ცხოვრება ძველებურად გრძელდება. ქართულ უნივერსიტეტში კი ყოფილი რექტორი ამჟამინდელი რექტორის მრჩევლად რომ დაინიშნა, ქვეყანა შეიძრა... ყველაფერი ნათელია — პრობლემა ქართული უნივერსიტეტია!..**

გვიან მიხვდა სამინისტრო, რომ მხოლოდ სასურველი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა საუნივერსიტეტო პრობლემებს ვერ გადაწყვეტდა... ამიტომაც პირველი მოსმენით მიღებული იყო კანონპროექტი პარლამენტში, როდესაც ჩანაწერი გაჩნდა დეკანების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ; რექტორებთან ერთად კანონის ძალაში შესვლა დეკანებსაც შეუწყვეტდა უფლებამოსილებას. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნავდა დეკანის მოვალეობის შემსრულებელს... ამით საქმე „მოწესრიგდა": ადმინისტრაციული მართვა მთლიანად ერთ ხელში მოექცა. არ ვაჭარბებ, ვინც უნივერსიტეტის ვითარება იცის, დამეთანხმება: ფაქტობრივად, ადმინისტრაციული მართვა სამინისტროს კონტროლს დაექვემდებარა. დაწერა ამის თაობაზე პარლამენტარმა დ. ზურაბიშვილმა: უნივერსიტეტში დეკანის მოადგილეც კი არ ინიშნება ჩარევის გარეშეო. დაეჯერება პარლამენტარს: რეორგანიზაციის პერიოდში იგი განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და უმრავლესობის წევრი იყო, ამიტომ იცოდა სხვაზე მეტი... ყველა ადმინისტრაციული თანამდებობა თითქმის გარედან დაკომპლექტდა. არც პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას დაგიდევდნენ; მთავარი იყო, „მათი კაცი" ყოფილიყო თანამდებობაზე...

ასე რომ, კანონპროექტში „დეკანების საკითხის" შემოტანით ხელისუფლებამ მოიმზადა საკანონმდებლო ბაზა დიქტატისათვის.

პარლამენტი, რა თქმა უნდა, მხარს უჭერს სამინისტროს. კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გრიგალაშვილმა არაერთგზის თქვა და დაწერა, რომ „მიიღეს მშვენიერი კანონი". თავგამოდებით გვიმტკიცებდნენ, რომ ადრე არსებული კანონით უნივერსიტეტს ავტონომია არ ჰქონია: სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეული რექტორი პრეზიდენტს უნდა დაემტკიცებინაო. აი, ეს კანონი ანიჭებს უნივერსიტეტს სრულ ავტონომიასო... მოდით, ბოლოს ერთად დავასკვნათ, მოგვანიჭა თუ არა ამ კანონმა ავტონომია.

2004 წლის ნოემბერში უნივერსიტეტში იმართება საპროტესტო შეკრებები, განხილვები; ფაკულტეტებზე, ორჯერ სააქტო დარბაზში საუნივერსიტეტო განხილვა-აქცია ჩატარდა... პრესაში, ტელევიზიაში აქტიურობენ უნივერსიტეტის ბედით დაინტერესებული პიროვნებები. ხელისუფლება კრიტიკას ყურადღებას არ აქცევს. ცდილობს „თავისებურად" უპასუხოს ქართული უნივერსიტეტის აქტიურობას. სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ტაშითა და ზარზეიმით ხვდებიან მინისტრს, სამინისტროს მაღალჩინოსნებს...

უნივერსიტეტის პროფესორებმა წერილით მიმართეს მინისტრს, სთხოვეს უნივერსიტეტში მობრძანება და კანონპროექტის თაობაზე საუბარი. უარი მივიღეთ. სამინისტროში მოდითო, გვითხრეს. ათიოდე უნივერსიტეტელი ვეახლეთ სამინისტროში, შევხვდით მინისტრსა და მის გუნდს. კონკრეტული საუბარი ვერ შედგა. გვითხრეს, დაწერეთ თქვენი აზრი, მოგვაწოდეთ, განვიხილავთ და გადავწყვეტთ, გავითვალისწინოთ თუ არაო...

მინისტრი უნივერსიტეტში მაინც მოვიდა „კმარას" აქტივისტთა ორგანიზებულ სტუდენტებთან შეხვედრაზე. სამინისტროსათვის წარუმატებელი შეხვედრა იყო. მინისტრი ცდილობდა, დაერწმუნებინა სტუდენტები, რომ მათი მასწავლებლები წინააღმდეგნი იყვნენ რეფორმის; ისინი კორუმპირებულები არიან (როგორც წესი, მის საუბარში ჩვეული ლექსიკური ერთეულებიც გაიჟღერებდა — „უნამუსო", „უსირცხვილო", „უვიცი". გაუგიათ ლუის კეროლის ნათქვამი — „სიმართლე ისაა, რასაც ორჯერ გაიმეორებ" და იმეორებენ...ძ, რეფორმატორები ცდილობენ, გაათავისუფლონ უნივერსიტეტი ულირსი პროფესორ-მასწავლებლებისაგან და მისთანანი. მოკლედ, მოუწოდებდა, დაგმე შენი აღმზრდელი და ბედსა გწევო... ეს ბოლშევიკური მეთოდი იყო. გვახსოვს, ასე გააძევებინეს სტუდენტ-კომკავშირლებს უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილი. საბედნიეროდ, სტუდენტებმა არ მიიღეს შემოთავაზებული ტაქტიკა... მეორე დღეს მინისტრი მაღლივ კორპუსშიც უნდა შეხვედროდა სტუდენტებს. უარი შემოუთვალა: სტუდენტებში პროვოკატორები არიან და არ ღირს შეხვედრაო...

მოკლედ: უნივერსიტეტი პრობლემად რჩება ხელისუფლებისათვის.

როგორც ჩანს, გადაწყვიტეს კანონპროექტით უკმაყოფილო პროფესორ-მასწავლებელთა „დამშვიდება", მათი გულის მოგება; ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ უსმენენ და ანგარიშს უწევენ უნივერსიტეტელებს.

2004 წლის 17 ნოემბერს საკომიტეტო განხილვა იყო კანონპროექტისა. მიგვიწვიეს, გველაპარაკეს, მოგვისმინეს და „ქმნეს გულისა..."

იმავე დღეს, 17 ნოემბერს, ოცამდე უნივერსიტეტელი პრეზიდენტმა, ბატონმა მ. სააკაშვილმა, მიგვიღო. საუბარი ძირითადად კანონპროექტს შეეხებოდა. გულდასმით მოისმინა პრეზიდენტმა ჩვენი გულისტკივილი. ძირითადი თემა უნივერსიტეტის დაფინანსება იყო. კანონპროექტი უმაღლეს სასწავლებელთა საბაზო-საბიუჯეტო დაფინანსებას არ ითვალისწინებდა. იყო საუბარი, რომ ეს უმძიმესი შედეგების მომტანი იქნებოდა საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის. პრეზიდენტმა ძალიან კარგად გაიგო ჩვენი გულისტკივილი. თქვა, როგორ შეიძლება, ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დარჩეს სახელმწიფო დაფინანსების გარეშე. მან ახალციხისა და ზუგდიდის ფილიალებიც დაასახელა — პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეიძლება ეს სასწავლებლები არ დააფინანსოს სახელმწიფომ...

ბატონმა პრეზიდენტმა დაპირება მოგვცა, რომ პრობლემა მოიხსნებოდა, წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს შეუნარჩუნდებოდა საბიუჯეტო დაფინანსება. ასეთი დავალება მისცა განათლების მინისტრს ჩვენი თანდასწრებით. ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო იმის გაფიქრებაც კი, პრეზიდენტის სიტყვა შეიძლება არ შესრულებულიყო. მიზეზიც გვქონდა და გახარებულები წამოვედით კანცელარიიდან. ყოველივე ეს პრესითა და ტელევიზიითაც გახმაურდა; დიდ სამეცნიერო საბჭოსაც მოვახსენეთ ეს სასიამოვნო ფაქტი... თურმე ეს დამშვიდების ლონისძიება იყო და კიდევ გათვლა იმისა, რომ მოახლოებულ რექტორის არჩევნებში პრეზიდენტის რეკომენდაციისთვის ანგარიში გაეწია უნივერსიტეტს... მინისტრი თავს უქნევდა პრეზიდენტს, მაგრამ კანონპროექტში ცვლილება არ მომხდარა. მას შემდეგ, რაც კანონი მიიღეს, არაერთგზის დაისვა პრესასა თუ ტელევიზიაში ასეთი კითხვა: პრეზიდენტმა წაიღო თავისი სიტყვა უკან, თუ მინისტრმა არ შეასრულა პრეზიდენტის დავალება? ამ კითხვაზე პასუხი არავის გაუცია... კანონში ის ჩაიწერა, რაც სურდა სამინისტრ[illegible] იზეიმა გამარჯვება.

**[illegible]შვილი, პროფესორი, „საუნივერსიტეტო დარბაზის" ხელმძღვანელი**

**(გაგრძელება იქნება).**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 27-29.

ვითხოვ სიტყვას

# ულმობლად ნუ გავიმეტებთ იმას, ვისი მეგობრობაც ასე გვჭირდება

**მატარებელი მცხეთის რკინიგზის სადგურში გაჩერდა. ფეტრისქუდიანმა მამაკაცმა შავლაქებიანი სეტერი ვაგონიდან ბაქანზე გადმოიყვანა, გაატარ-გამოატარა, თავზე ხელი გადაუსვა; დაძრული მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტა და კარები მიკეტა. ძაღლი ადგილზე დატრიალდა, ჯერ იქვე გაჩერებულ ტურისტთა ჯგუფთან მივარდა, სათითაოდ ჩამოუარა და ყეფით მატარებელს გამოეკიდა, ოთხასიოდე მეტრის დაშორებით შლაგბაუმთან შეროვილმა ავტომანქანებმა შეაჩერეს.**

**ორი დღის შემდეგ უნივერსამის კარებთან შემომხვდა, ტალახში ამოსვრილი, ყურებჩამოყრილი, კისრიდან ღვედი ჰქონდა მოხსნილი, სანაგვესთან დაყრილ ობიან პურს დაჰყურებდა, მაგრამ არ ჭამდა, დავუძახე, გამომხედა. იმის შემდეგ აქა ტრიალებდა, სახლიდან ხორცის ნარჩენები და ძვლები გამოვუტანე, ხარბად დააცხრა, გაათავა და ამომხედა. იმ გამოხედვაში იმდენი მადლობა ამოვიკითხე, რომ გადავწყვიტე ეს წერილი დამეწერა და ამით გამოვხმაურებოდი იმ ფეტრისქუდიან მამაკაცს, რომელმაც მცხეთის სადგურში მიატოვა და დასაღუპად განირა თავისი ოჯახის ერთგული მეგობარი.**



ადამიანისა და ძაღლის მეგობრობას უხსოვარ წარსულში უდგას ფესვები. ძაღლი დაახლოებით 12000 წლის წინათ მოიშინაურა. ძველ მითებში და ლეგენდებში ძაღლი ადამიანის უახლოეს პირუტყვად მოიხსენიება. ამირანის მეგობარი იყო ყურშა, რომელიც კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ გმირთაგმირს ჯაჭვს ულოკავდა და საგანგებოდ ჩამოსხმულ ბორკილს ლოკვით აწვრილებდა. კართაგენელებს მებრძოლ სპილოებთან ერთად ძაღლებიც ჰყავდათ სპეციალურად გაწვრთნილი, ასევე ძველ სირიელებს, ბაბილონელებს, ალექსანდრე მაკედონელის მეომრებსაც გაწვრთნილი ძაღლები მიჰყავდათ მტერთან საბრძოლველად, რომის იმპერიაში დაგეშილი ძაღლები ყარაულობდნენ მონებსა და სამხედრო ტყვეებს. ძაღლების გამოსახულებებს ვნახულობთ ძველი ეგვიპტის ბარელიეფებზე, რომელთა ასაკს ექვსი ათასი წლით განსაზღვრავენ.

იცვლებოდა დრო და ადამიანი თანდათანობით ამრავლებდა ძაღლის სამსახურის გამოყენების სფეროს. XX საუკუნეში გაჩნდნენ ძაღლები-სანიტრები, ძაღლები-მზვერავები, ძაღლები-მესაზღვრეები. მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო მესაზღვრე კარაცუპა და მისი ძაღლი „ინდუსი", რომელთაც საზღვარზე 150-ზე მეტი დივერსანტი დაიჭირეს.

სამამულო ომის დროს ძაღლებს იყენებდნენ გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ. ძაღლები პოულობდნენ ნაღმებს. ძაღლმა „დინკამ" იპოვა 3000-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის ნაღმი. ძაღლები კარგად ასრულებდნენ მეკავშირის მოვალეობასაც. ძაღლმა „ჯეკმა" ფრონტის ხაზიდან გამოიტანა 2932 პაკეტი, იგი სამჯერ დაიჭრა და დემობილიზაციის შემდეგ სახელოვანი დაუბრუნდა თავის გამზრდელ სანაშენოს. ძაღლებს საომარი საჭურველი მიჰქონდათ იქ, სადაც შეუძლებელი იყო მისი ტრანსპორტით შეტანა.

არანაკლები სარგებლობა მოუტანეს ძაღლებმა ბრძოლებში დაჭრილ მებრძოლებს. მათ მრავალი ათასი დაჭრილი მეომარი გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. ძაღლების ბევრი დამგეშავი დაჯილდოვდა მედლებით, ორდენებით და საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდებითაც კი.

ძაღლი იცავს ორგანიზაციების საწყობებს, დარაჯობს ცხვრის ფარებს. მათ იყენებენ შორეულ სოფლებში ფოსტალიონებად. ვინ მოთვლის, რამდენი დასახრჩობად განწირული ამოუყვანია ძაღლს წყლიდან და ნამქერიდან. ძაღლს დაჰყავს უსინათლოები, ბოლოს, ეხმარება ადამიანს ნადირობაში. რა სიამოვნებით იგონებენ მონადირეები არა ერთ და ორ შემთხვევას, როდესაც ძაღლმა თავისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით გადაარჩინა პატრონი ნადირისა და ქვეწარმავლისაგან. აშხაბადის მიწისძვრამდე რამდენიმე წუთით ადრე ძაღლმა სახლიდან გამოიყვანა პატრონის პატარა ბავშვი და სიკვდილს გადაარჩინა. ასეთი მეგობარი განა ღირსია თავიდან მოვიშოროთ და დასაღუპად გავწიროთ?

შენ რომ ერთი იყო, ფეტრისქუდიანო ამხანაგო, შეიძლება, არ გამოგხმაურებოდი, მაგრამ ვაი, რომ მრავალ თქვენგანს ყოველდღიურად მოჰყავს მცხეთაში სხვადასხვა ჯიშის ძაღლები. ზოგი რომ სადგურში უშვებს, ზოგი რესტორან „ნატახტართან" ტოვებს მათ უპატრონოდ. ზოგი შუა გზაში პირდაპირ მანქანიდან აგდებს და სასიკვდილოდ იმეტებს. კავკასიური ნაგაზები და გერმანული დოგები, დობერმან-პინჩერები და სენბერნარები, ფოქსტერიერები და პუდელები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა ჯიშის ძაღლი იყრის თავს მცხეთის ქუჩებში.

რამდენიმე გაზეთში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ტყეში ახალი ნადირი გაჩნდა", სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში მგელძაღლების გაჩენის შესახებ. მსგავსი შემთხვევები სხვა რაიონშიც იყო. სოფელ სხალტბაში დამშეულმა მგელძაღლებმა გასულ წლებში საქონელი დაგლიჯეს. აღარაფერს ვამბობთ იმ საშიშროებაზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მაწანწალა ძაღლების მიერ გაჩენილმა ცოფის ეპიდემიამ?

ამ ბოლო დროს უპატრონო ძაღლთა რაოდენობამ მცხეთაში ისეთ რიცხვს მიაღწია, რომ შარშან იძულებული წესით მრავალი მათგანი განადგურდა.

დროა, ზოგიერთი ჩვენგანი დაფიქრდეს ამაზე და ასე ულმობლად არ გაიმეტოს ის, ვისი მეგობრობაც ასე საჭიროა ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

**ვალერი მამუკელაშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# სამხრეთოსური დეტონატორი

## რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საქართველოდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას?

**კონსტანტინე ზატულინი, დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი:** „თბილისი არ მალავს, რომ აპირებს ნებისმიერი საშუალებებით დაიბრუნოს სამხრეთ ოსეთი. თუ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა შედარებით მშვიდი ადგილი იყო, სააკაშვილის დროს ვითარება გამწვავდა ყველა კონფლიქტურ ზონაში. აჭარაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, არც სამხრეთ ოსეთს და არც აფხაზეთს აღარ სურთ საქართველოში დაბრუნება. თბილისისთვის ერთადერთი გამოსავალია სამხედრო რევანში, მაგრამ მშვიდობისმყოფლები უშლიან მას ხელს ხანმოკლე ძლევამოსილი ომის დაწყებაში. თუ ჩვენ დავყვებით ქართველ პარლამენტართა სურვილს, ამით პროვოკაციულად გამოვიწვევთ კონფრონტაციის ახალ ტალღას, თუ არა – საქართველო განაცხადებს, რომ ჩვენს ჯარებს მიიჩნევს საოკუპაციოდ. ამას მოჰყვება პროვოკაციები, რასაც მშვიდობისმყოფლებმა უნდა გასცენ ისეთი პასუხი, როგორც მე-14 არმიამ გასცა 90-იან წლებში მოლდაველი ნაციონალისტების მცდელობას დნესტრისპირეთში კონფლიქტის გამწვავების თაობაზე. ხანმოკლე საარტილერიო მომზადების შემდეგ, იქ დამყარდა მშვიდობა, რომელიც დღემდე გრძელდება“.

**ანდრეი კოკოშინი, სახელმწიფო სათათბიროს თანამეგობრობის საქმეთა და თანამემამულეებთან კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე:** „ქართველი პარლამენტარების მიერ ასეთი მოთხოვნის გამოთქმა, ძირითადად, ხდება ადგილობრივი „ომის პარტიის“ წაქეზებით, რომელსაც სურს, რომ სამშვიდობოთა გაყვანის შემდეგ პრობლემა ძალისმიერი გზით მოაგვაროს. ბევრი რამ მიანიშნებს „ომის პარტიის“ გააქტიურებას: მან მნიშვნელოვნად გაზარდა მძიმე ჯავშანტექნიკის პარკი, გამოჩნდა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, დაჩქარდა რეზერვისტების მომზადება, ჰოსპიტალი თბილისიდან სამხრეთ ოსეთის რაიონში გადაიტანეს. საქართველოს ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: მისი რეიტინგი ძალზე დაბალია, ოპოზიციის რიგები იზრდება. ხელისუფლება პრობლემების გადაჭრას ძალის გამოყენებით აპირებს. ეს კარგს არაფერს მოიტანს“.

**ვლადიმერ დეგოევი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი:** „სამხრეთ ოსეთში რუსეთის ქცევას გულმოდგინედ ადევნებენ თვალს აფხაზები. და მოსკოვი თუ შეაქცევს ზურგს თავის მოკავშირეებს, ამას განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვება. აფხაზებს უნდა შევაგნებინოთ, რომ ჩვენ მათ გვერდით ვართ. კოსოვოს, ირანის, საქართველოსა და დანიაში გამოქვეყნებული კარიკატურების თემები დროით დაემთხვა ერთმანეთს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბუში უკვე ამზადებს დარტყმას ირანზე, და მას სჭირდება არეულობა ამიერკავკასიაში, რათა ამ რეგიონზე გადაიტანოს ჩვენი ყურადღება. ამერიკელებს აქვთ აეროდრომები საქართველოსა და აზერბაიჯანში, საიდანაც მათ შეუძლიათ ბომბების დაშენა, და ჩვენი ამიერკავკასიელი ძმები თუ მთლად არ შეიშალნენ, ამის უფლება მათ ამერიკელებს არ უნდა მისცენ. ირანი ერაყი არ გეგონოთ: მსოფლიო ტერორიზმის ტალღა ყველაფერს წალეკავს!“.

**მიხეილ გულაშვილი, მედია ჰოლდინგ „ჯორჯიან ტაიმსის“ პრეზიდენტი:** „საქართველოს ხელისუფლება დგას სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე, ამიტომაც ცდილობს, რომ ხალხის მღელვარება სხვა სფეროებზე გადაიტანოს. ისინი აქ სიტუაციას ძალზე კარგად მართავენ პიარ-ტექნოლოგიათა მეშვეობით. ხელისუფლება ასრულებს საომარი კონფლიქტის გაჩაღების შემკვეთთა სურვილს. შემკვეთები კი არიან ისინი, ვინც მოიყვანა სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში, ვინც დააფინანსა იგი. სამშვიდობოთა გაყვანა მოუტანს კატასტროფას მთელ კავკასიას, რადგან ამ რეგიონში სრული ქაოსი გამეფდება“.

**სერგეი გრიზუნოვი, რუსეთ-საქართველოს მრგვალი მაგიდის თანათავმჯდომარე:** „გადაწყვეტილებას რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიურო არ იღებს მხოლოდ იმიტომ, რომ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დიპლომატიური არხებით. ამ პრობლემას განიხილავენ არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ ნატოს ქვეყნებშიც და, უწინარეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებშიც, რომელიც ქართული რეალიების ძირითადი სპონსორია. სამშვიდობოთა გასვლის შემთხვევაში შეიძლება საქმეში ჩაერთოს იარაღი, რომელიც დიდი რაოდენობით აქვთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას. შეიძლება ატყდეს ომი, მაგრამ რუსეთს სჭირდება სიმშვიდე, თუნდაც ჩვენი სამხრეთი საზღვრების ამ მონაკვეთზე მაინც. ამიტომ, გამოსავალი ერთია: კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს დიპლომატიური ძალისხმევა სიტუაციის მოწესრიგებისთვის“.

**იური კობალაძე, „რენესანს კაპიტალის“ მმართველი-დირექტორი:** „კონფლიქტი უკვე ათი წელია გრძელდება, ყველას აქვს პრეტენზია რუსეთის მიმართ, თუმცა, მისთვის ეს პრინციპული საკითხი არ არის – ვილაცისთვის სხვისი ტერიტორიის შენარჩუნება. რუსეთის ინტერესებში შედის წასვლა ამ რეგიონიდან, მაგრამ ამის გაკეთება რთულია, რადგან ამ შემთხვევაში, თვით რუსეთშიც წარმოიქმნება პრობლემები. რუსეთს ადანაშაულებენ იმაში, რომ მან ოსები ძნელბედობის ჟამს მიატოვა. ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენ ვიცავთ რუსეთის მოქალაქეებს, რადგან მათ რუსული პასპორტები აქვთ. მოსკოვში ძალზე გააქტიურდნენ „პატრიოტული“ ძალები, რომლებიც ერთხმად გაიძახიან, რომ კიდევ ერთხელ ვუღალატეთ ჩვენს თანამოქალაქეებსო. ქართველები გამოთქვამენ სამშვიდობო ჯარების ინტერნაციონალიზაციის წინადადებას – იქნებ ამას აზრიც ჰქონდეს: როცა კონფლიქტი საერთაშორისო გახდება, მაშინ, ყველა მხარე მარტო რუსეთის მისამართით ველარ გამოთქვამს საყვედურს“.

**ბაჰტიარ ახმედხანოვი, სამხედრო მიმომხილველი:** „რუსი სამშვიდობოების წასვლა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გახდება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ურჩი ავტონომიების დაბრუნების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. თანაც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი იქნება სამხრეთ ოსეთი, და ამას შეიძლება მოჰყვეს გარკვეული შედეგები მეზობელი რუსეთის ტერიტორიებისთვის. საქართველოს ჯარებსა და სამხრეთ ოსეთის რაზმებს შორის ნებისმიერი სამხედრო შეტაკება არა მარტო გაართულებს ვითარებას მეზობელ ჩრდილოეთ ოსეთში, არამედ გახდება კიდეც თავისებური დეტონატორი ახალი აფეთქებისთვის. ვგულისხმობ ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტს, რომელიც ჯერჯერობით მოგვარებული არ არის“.

**„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ (ყოველკვირეული), 10 თებერვალი.**

Московские//НОВОСТИ

# „ენერგეტიკული ნატო“, თუ შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა ევროპის ენერგეტიკული უშიშროების სისტემის შექმნის ინიციატორი. აქ ძირითადი მოთამაშეები უნდა გახდნენ საქართველო და უკრაინა. თბილისის გარდა, ამ იდეას ლობირებას უკვე უწევენ კიევი, ვარშავა და ამერიკელი მილიარდერი ჯორჯ სოროსი.**

ამ კეთილშობილურ ჩანაფიქრს რამდენადმე აყენებს ჩრდილს ის, რომ მან რუსეთი უნდა ჩამოაშოროს ბუნებრივი აირის ევროპული ბაზრის უმეტეს ნაწილს და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, შეასუსტოს მოსკოვის პოლიტიკურ-ეკონომიკური პოზიციები. ანუ, როგორც ამას ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, საქმე ეხება ვლადიმერ პუტინის გეგმის განხორციელების დაბლოკვას, რომლის თანახმადაც, რუსეთი უნდა გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ენერგეტიკული სუპერსახელმწიფო.

ასეთი კამპანიის დაწყებისთვის ფონი საკმაოდ ხელსაყრელია: ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი რუსეთ-უკრაინის გაზის სკანდალი, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ააფეთქეს ორი გაზსადენი და ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებითაც ხდებოდა რუსული ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოში. თბილისმა მოსკოვი დაუყოვნებლივ დაადანაშაულა საქართველოსთვის ენერგეტიკული ბლოკადის გამოცხადებაში იმის გამო, რომ იგი ცდილობს ნატოში გაწევრიანებას, ინტეგრირებას ევროპულ სტრუქტურებში და თავისი ტერიტორიის გათავისუფლებას რუსეთის სამხედრო ყოფნისგან.

„საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ენერგეტიკული პრობლემები მარტო ამ ორ სახელმწიფოს როდი ეხება. ხვალ ანალოგიური პრობლემები შეიძლება წარმოექმნას ევროპის რომელიმე ქვეყანასაც. დროა, ევროპამ იფიქროს სხვა, ალტერნატიულ ენერგეტიკულ წყაროებზე, რომელთა რესურსების ტრანსპორტირებაც შესაძლებელი იქნება საქართველოს ტერიტორიის გავლით“, – განაცხადა სააკაშვილმა. როგორც მან თქვა, თბილისში მიმდინარეობს მზადება ევროპის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრთა ფორუმისთვის, რომელზეც განიხილავენ შესაბამის პრობლემატიკას.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი ის, მზად არის თუ არა აზერბაიჯანი რუსეთის წინააღმდეგ ამ პოლიტიკურ-ენერგეტიკულ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის. სამაგიეროდ, უკრაინის პოზიცია ძალზე მკაფიოა: იგი თბილისში გაახმოვანა ამ ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ანატოლი კინახმა.

საქართველოს ენერგეტიკული ბლოკადის დაწყება დაემთხვა იმ პერიოდს, როცა სააკაშვილი იმყოფებოდა დავოსში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე. იქ ერთ-ერთი განსახილველი თემა უნდა ყოფილიყო ენერგეტიკული უშიშროება, მაგრამ სააკაშვილს მოუწია შვეიცარიაში ვიზიტის შეწყვეტა და სამშობლოში დაბრუნება. სამაგიეროდ, ჯორჯ სოროსმა მოასწრო შეკრებილთა დაშინება რუსეთზე მათი ენერგეტიკული დამოკიდებულებით. „ეს არის სიგნალი ევროპისთვის, რადგან რუსეთი იყენებს გაზის ფაქტორს საქართველოს და უკრაინის დასამორჩილებლად“, – თქვა მილიარდერმა.

სოროსს მთლიანად დაეთანხმა პოლონეთის ხელმძღვანელობაც, რომელმაც გამოთქვა „ენერგეტიკული ნატოს“ შექმნის იდეა უკრაინის, მოლდავეთის და საქართველოს მონაწილეობით. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ხელმძღვანელმა კლოდ მანდილმა კი მოუწოდა რუსეთს განახორციელოს ენერგოშემცველთა ბაზრის რეფორმირება და წერტილი დაუსვას „გაზპრომის“ მონოპოლიას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში იმპორტირებული გაზის მეოთხედი რუსეთის წილად მოდის, ხოლო 2020 წლისთვის რუსული სათბობის მიწოდება დაგეგმილია ერთისამად გაიზარდოს, ალბათ, სააკაშვილის და მისი თანამოსაგრეების ამ ამბიციურ გეგმას განხორციელება კიდევ დიდხანს არ უწერია.

მაგრამ მეორე მხრივ, ალტერნატიული გაზსადენების მშენებლობის პროექტების ლობისტებს თეორიულად თავისუფლად შეუძლიათ შეუქმნან რუსეთს დიდი პრობლემები, თუ გავითვალისწინებთ ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის და ირანის გაზის საბადოების მარაგის საერთო მოცულობას. მაგრამ, ყაზახეთის და თურქმენეთის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება საქართველოს, უკრაინის ტერიტორიების გავლით ევროპის ქვეყნებისკენ, ძალზე ძვირი სიამოვნებაა, რადგან, გასაყვანი იქნება სულ ცოტა, ორი წყალქვეშა მილსადენი: ტრანზიტის სახმელეთო გზები გადის რუსეთის ტერიტორიაზე და ამ მილების პატრონი „გაზპრომია“. ის, რომ ფრიად საეჭვოა რუსეთიდან გაზის მიწოდებისგან სრული, ან თუნდაც, ნაწილობრივი დამოუკიდებლობა, მცირე მასშტაბით დადასტურდა, თუნდაც, საქართველოს მაგალითით. „ბლოკადური“ პერიოდის დასრულებისთვის ქვეყანამ ბუნებრივი აირის მიღება დაიწყო ერთბაშად სამი მიმწოდებლისგან – აზერბაიჯანი, ირანი და რუსეთი. ამ დღეს საქართველოს ხელისუფლებამ უწოდა ისტორიული და განაცხადა, რომ ასე ორი-სამი წლის შემდეგ ქვეყანა მოიპოვებს სრულ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. მაგრამ, საკითხის გულდასმით განხილვისას გაირკვა, რომ აზერბაიჯანი საქართველოს აწვდის სულ 2 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, რადგან ამ ქვეყანას მეტი შესაძლებლობები ახლა არ გააჩნია. თანაც, მოსკოვის მტკიცებით, საქართველოში აზერბაიჯანიდან გაზის მიწოდება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ რუსეთმა მისი ექსპორტი გაზარდა აზერბაიჯანში. რაც შეეხება ირანულ გაზს, მისი მიწოდება საქართველოში გაგრძელდება მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში და შეზღუდული მოცულობით – დღე-ღამეში მილიონი კუბური მეტრი.

ჯერჯერობით არც ყაზახეთიდან გაზის იმპორტის განხორციელება ხერხდება. იმის მიუხედავად, რომ თბილისმა და ასტანამ მიაღწიეს მორიგებას, არაოფიციალური ინფორმაციით, ამ პროექტის განხორციელებას, ხელი შეუშალა რუსეთის „გაზპრომმა“.

ასეთ სიტუაციაში, მიაჩნია ზოგიერთ ექსპერტს, საქართველო უნდა დათანხმდეს „გაზპრომისთვის“ თავისი მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვას, რადგან რუსეთის გაზის გიგანტის გარდა, მისი შეძენით და რეალიზაციით ჯერჯერობით არავინაა დაინტერესებული. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ საქართველოს მთავრობა ამის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა, მაგრამ „გაზპრომისთვის“ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვის წინააღმდეგ (სხვათა შორის, ამ გაზსადენით რუსეთიდან ბუნებრივ აირს სომხეთიც იღებს), კატეგორიულად გაილაშქრა შეერთებულმა შტატებმა – საქართველოს ენერგეტიკული უშიშროებისა და რუსეთისგან მისი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ამრიგად, არანაირად არ გამოდის ისე, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. უფრო მეტიც, წარმოიქმნა კონკრეტული მოთხოვნა სხვა პოლიტიკურ-ენერგეტიკულ პასიანსებზე, რომელთა გაშლაშიც საქართველო აქტიურად ჩაება. ჯერჯერობით კი, როგორც შენიშნა ერთ-ერთმა ქართველმა ექსპერტმა, „ორალური პოლიტიკური ლოგიკისგან ყველაზე მეტად საქართველო ზარალდება“.




**ასე წარმოადგინეს რუსეთი დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უკრაინასთან „გაზის ომის“ დროს.**

**ირინე ჯორბენაძე, „ნოვოე რუსსკოე სლოვო“ (აშშ).**

НОВОЕ РУССКОЕ СЛОВО

# დათბობამ ათასწლეულის პიკს მიაღწია

**ამ ბოლო 1200 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დათბობამ პიკს მიაღწია, წერდა ჟურნალი „საიენსი“.**

ამრიგად, გამოჩნდა კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ გლობალური დათბობა უკავშირდება ატმოსფეროში სათბურის გაზის გამოფრქვევას.

აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის მკვლევრებმა, რომლებიც ეფუძნებოდნენ გაქვავებულ ნამარხებში, მერქნის რგოლებსა და მყინვარების შემადგენლობაში აღმოჩენილ ცვლილებებს, ამჟამინდელი ტემპერატურა შეუდარეს ცოტა ხნისწინანდელ და შორეული წარსულის მონაცემებს.

გარდა ამისა, მეცნიერებმა გამოიყენეს ევროპის მცხოვრებლების მიერ ამ ბოლო 750 წლის განმავლობაში გაკეთებული დღიურთა ჩანაწერები. ტიმოთი ოსბორნმა და კიტ ბრიფამ გააანალიზეს ტემპერატურის შესახებ მონაცემები 1856 წლიდან დაწყებული დღემდე, და შემდეგ შეუდარეს ისინი ჩვენი წელთაღრიცხვის 800 წელს.

ანალიზის შედეგმა დაამტკიცა, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ყოფილა მნიშვნელოვანი დათბობის პერიოდები, მაგალითად, ახალი წელთაღრიცხვის 890-1170 წლების პერიოდში, ისევე, როგორც მნიშვნელოვანი აცივება – 1580-1850 წლები. მაგრამ ტემპერატურის ამჟამინდელი დათბობა ყველაზე გავრცელებული ანომალიაა ახალი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნიდან დაწყებული.

„განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბოლო 100 წელი, – თქვა ტიმოთი ოსბორნმა, – ტემპერატურის მატება დაფიქსირებულია პრაქტიკულად ყველა ჩანაწერში“. მეცნიერებმა გამოიყენეს ტემპერატურის ცვლილებებზე დაკვირვები ჩრდილოეთი ნახევარსფეროს 14 სხვადასხვა წერტილში. მათ გააანალიზეს მარადმწვანე ხეების მერქნის რგოლები სკანდინავიაში, ციმბირში, შეერთებული შტატების კლდოვან მთებში: შედარებით ფართო რგოლები მოწმობს, რომ იმ პერიოდისთვის ტემპერატურა უფრო მაღალი იყო.

თავის მხრივ, გრენლანდიის მყინვარების ქიმიური შემადგენლობის ანალიზმა გამოავლინა, თუ რომელი წლები იყო უფრო თბილი.

მეცნიერებმა ასევე გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ამ ბოლო 750 წლის განმავლობაში ნიდერლანდსა და ბელგიაში მცხოვრები ადამიანების დღიურების ჩანაწერები და გაარკვიეს, მაგალითად, თუ რომელ წლებში დაიფარა ყინულით არხები.

გამოკვლევათა საერთო დასკვნა ასეთია: სულ უფრო მეტი მტკიცებულებაა იმისა, რომ ამჟამინდელ დათბობას ვერ შეედრება კლიმატის ვერანაირი ცვალებადობა ამ ბოლო 1000 წლის განმავლობაში. და ეს ასეა იმის მიუხედავადაც კი, რომ შესაძლოა წარსულის ჩანაწერებში იყოს გარკვეული უზუსტობა.



გასული წლის ნოემბერში ჟურნალმა „საიენსმა“ გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის თანახმადაც, სადღეისოდ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის და მეთანის შემცველობა ყველაზე დიდია ამ უკანასკნელი 650 ათასი წლის განმავლობაში.

# პუტინი ჰამასის ლიდერების მოსკოვში მიწვევას აპირებს

**ეს რუსეთის ლიდერმა განაცხადა ესპანეთის პრემიერ-მინისტრთან ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მადრიდში ესპანეთ-რუსეთის მოლაპარაკების შედეგებს.**

„უნდა ვაღიაროთ, რომ ჰამასი ხელისუფლების სათავეში მივიდა დემოკრატიული არჩევნების გზით. პატივი უნდა ვცეთ პალესტინელი ხალხის არჩევანს“, – აღნიშნა პუტინმა. როგორც მან თქვა, მოსკოვი ცდილობს, ითანამშრომლოს ყველა იმ სტრუქტურასთან, რომლებიც მოქმედებენ რეგიონში მშვიდობის დამყარების მიზნით. „სწორედ ამიტომაც ჩვენ არ მივიჩნევდით ჰამასს ტერორისტულ ორგანიზაციად“, – დასძინა რუსეთის ლიდერმა.



ამავე დროს, მან განაცხადა, რომ საჭიროა გამოინახოს ვითარების მოწესრიგების ისეთი გზები, რომლებიც მისაღები იქნება, როგორც პალესტინელებისთვის, ისე ისრაელისა და მთელი რიგი სხვა დაინტერესებული ქვეყნებისთვის.

ჰამასის ხელმძღვანელობამ უკვე აღნიშნა, რომ დათანხმდება პუტინის მიწვევას, თუ მას ოფიციალურად მიიღებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ ვაშინგტონმა სთხოვა მოსკოვს, განუმარტოს, თუ რის თაობაზე აპირებს იგი ჰამასთან მოლაპარაკებას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხი ასეთი იყო: უწინარეს ყოვლისა, ეს ნაკარნახევია იმით, რომ რუსეთს არ სურს დაუშვას ვითარების სერიოზული დეგრადაცია პალესტინა-ისრაელის ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში.

ისრაელშიც კრიტიკულად მოეკიდნენ პუტინის ინიციატივას. თელ-ავივის აზრით, ეს ეწინააღმდეგება ახლო აღმოსავლეთის „კვარტეტის“ პოზიციას.

ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელემ კი ასეთი რამ განაცხადა: „როცა ჩეჩნები ახორციელებენ თავდასხმებს მოსკოვში, რუსები ამას ტერორიზმის აქტებს უწოდებენ, ხოლო როცა ეს ხდება იერუსალიმში, რატომღაც ამას ტერორიზმად არ მიიჩნევენ. ნუთუ ებრაელების სისხლი უფრო იაფი ღირს, ვიდრე რუსებისა?“

# ამერიკელი მძევალი ყველა ერაყელი პატიმარი ქალის გათავისუფლებას ითხოვს

**ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯილ კეროლმა, რომელიც ერთი თვის წინათ ბაღდადში მძევლად აიყვანეს ერაყელმა მოთარეშეებმა, კიდევ ერთხელ მოუწოდა შეერთებული შტატების მთავრობას, შეასრულოს მის გამტაცებელთა მოთხოვნები და გაათავისუფლოს ყველა ერაყელი პატიმარი ქალი.**




ვიდეოფირი, რომელზეც აღბეჭდილია გაზეთ Christian Science Monitor-ის ეს უშტატო თანამშრომელი ქალი, ხუთშაბათს საღამოს გადასცა ქუვეითის „ალ-რაის“ ტელეკომპანიამ.

ჯილ კეროლის მძევლად აყვანის შემდეგ, ამერიკელებმა ერაყის საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს რამდენიმე ქალი, თუმცა, ყველა – არა. ჯერჯეროებით პატიმრობაში კვლავ რჩება ერაყის ექვსი მოქალაქე. ამერიკელები ამტკიცებენ, რომ პატიმრების გათავისუფლება არანაირად არ უკავშირდება ტერორისტების მოთხოვნას.

ჟურნალისტი ქალი ერაყელმა მოთარეშეებმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოკლან, თუ, ამერიკელები არ დათანხმდებიან მათი მოთხოვნის შესრულებას.

# მოკლედ



**ნატო და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი: ჩვენ არ დავამყარებთ კონტაქტებს ჰამასთან მანამ, სანამ იგი „არ აიღებს ხელს ტერორიზმზე“. რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომაზე ამ პალესტინურ მოძრაობასთან ურთიერთობის საკითხი არ განუხილავთ, აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა. მან, აგრეთვე, უარი განაცხადა იმაზე, რომ ნატომ მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში პოსტსაბჭოურ სივრცეში, მაგალითად, მოლდავეთში.**

* * *



**გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ორმა პირმა – ნიკოლოზ პროპასოვმა და ვალერი კოსტენკომ მთლიანად აღიარეს დანაშაული, ალექსანდრე პოპოვიჩმა კი – ნაწილობრივ, რადგან, მისი თქმით, უშუალო მონაწილეობა არ მიუღია მკვლელობაში. ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობის საქმის სასამართლო პროცესი 16 თებერვალს გაგრძელდება.**

* * *

**შეერთებულ შტატებში შეიქმნა შტაბი, რომელიც გააკონტროლებს ვითარებას იტალიაში, სადაც დისლოცირებული სპეციალური დანიშნულების ქვეგანაყოფები უკვე მოიყვანეს გადიდებული მზადყოფნის მდგომარეობაში. ზამთრის ოლიმპიადის დღეებში მოსალოდნელი ტერაქტების აღკვეთას ამერიკელები აპირებენ თანამგზავრებისა და საიდუმლო ცენტრის მეშვეობით. ოპერაციას უხელმძღვანელებს სპეციალური სამეთაურო ცენტრი, რომელიც შეერთებულ შტა-**



**ტებში მდებარეობს და გამუდმებით ადევნებს თვალყურს ყოველივე იმას, რაც იტალიის ქალაქ ტურინში ხდება.**

* * *

**ჩინეთის ქვანახშირის შახტებში მომხდარი ავარიების შედეგად, ერთი წლის განმავლობაში დაიღუპა დაახლოებით ექვსი ათასი კაცი. 2,5 ათასზე მეტი ავარია, რომლებსაც მოჰყვა მსხვერპლი, მოხდა კერძო პატარ-პატარა შახტებში.**



დიქტატურა

# თურქმენბაში აქსაკალებს ებრძვის

**თურქმენბაშ ნიაზოვმა გადაწყვიტა გახდეს ერთადერთი აქსაკალი თურქმენეთში. დანარჩენებს იგი ...უბრალოდ მოსპობს. მოხუცს თუ არ გადაუხდი პენსიას, ადვილი მისახვედრია, რომ იგი დიდხანს ვერ გაიტანს თავს. ჰოდა, გადაწყვიტა „ყოველთა თურქმენთა მამამ“, მის ხალხს ჩამოაშოროს „ზედმეტი მჭამელები“ – ამ უძლური პენსიონერებისგან ხომ არანაირი ხეირი არ არის, მარტო ერთი ხარჯებია... იანვრის დამლევს მან სასწრაფოდ გადააკეთა პენსიათა შესახებ კანონი.**



ნიაზოვს მიაჩნია, რომ პენსიების დანიშვნა არ არის საჭირო იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც 18 წელზე უფროსი ასაკის შვილები ჰყავს. თურქმენული ტრადიციისამებრ ხომ შვილებმა უნდა იზრუნონ მოხუც მშობლებზე. იმ ადამიანებს კი, რომლებსაც შთამომავლობა არ ჰყავთ, პენსია უნდა გადაუხადონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ აქვთ მუშაობის სულ ცოტა 38 წლის უწყვეტი სტაჟი. ამას თუ ვერ დაამტკიცებენ, მათ არა მარტო არ დაუნიშნავენ პენსიას, არამედ იმასაც კი წაართმევენ, რაც მანამდე გადაუხადეს. თურმე, არც კოლმეურნეებს სჭირდებათ ფული. მათ ისედაც გადიდებულ პენსიებს უხდიდნენ, ახლა კი, კეთილი ინებონ და დააბრუნონ, რაც მიიღეს. უახლოესი ორი წლის განმავლობაში ვერც ერთი კოლმეურნე ვერაფერს ვერ მიიღებს...

ანალიტიკოსები დღემდე ამაოდ ცდილობენ, რაიმე გამართლება მოუნახონ ქვეყნის პრეზიდენტის ასეთ მოქმედებას. მათი აზრით, ქვეყანა ფინანსური კრიზისის ზღვარზე იმყოფება და ხაზინა ცარიელია. იბადება კითხვა: სად გაქრა თურქმენეთის ოქროს მარაგი? ნუთუ ეს დიდძალი თანხა დაიხარჯა მხოლოდ სრა-სახლების მშენებლობისა და უაზრო, პომპეზური ზეიმების მოწყობისთვის? ან იქნებ, ვინმემ მოისურვა მისი გადატანა საზღვარგარეთის ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე? თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ვერსია. როგორც ამბობენ, თურქმენბაშის არ მოსწონს ის, რომ მის გარდა, ქვეყანაში კიდევ ვინმე სარგებლობს დიდი ავტორიტეტით. არადა, თურქმენეთში მოხუცი ის ადამიანია, რომლის აზრსაც ყველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მათ ხომ შეუძლიათ ახალგაზრდებს უამბონ ბევრი ისეთი რამ, რისი ცოდნაც სულაც არ არის საჭირო. მაგალითად, უთხრან, რომ ამ ქვეყანაზე მოიპოვება სხვა წიგნებიც, „რუჰნამის“ გარდა, ან ის, რომ უშაქრო ხმიადი და ერთი ფიალა წყალი სულაც არ არის თურქმენების ეროვნული კერძი. ერთი სიტყვით, აქსაკალები თუ აღარ იქნებიან, თურქმენბაშისთვის, ნამდვილად რომ, „ოქროს ხანა“ დადგება.

**ელენა გამაიუნი,**

„მოსკოვსკი კომსომოლეც“

◎ დავფიქრდეთ!

# სისხლის ხუნაგში

**ყოველი ახალი ჭირი ადამიანს ძველ ჭირს ავიწყებს ხოლმე. ასეა ამჟამადაც. ქათმის გრიპმა ისე დაგვშოკა, რომ სხვა სენი აღარ გვახსოვს. არადა, ზოგი ისეთია, მისი მიფუჩეჩება შეიძლება სიცოცხლის ფასადაც კი დაგვიჯდეს. ავიღოთ, მაგალითად, შიდსი, რომელიც უკვე ჩვეულებრივ ამბად, ჩვეულებრივ დაავადებად მიგვაჩნია.**

ამჟამად საქართველოში შიდსით ინფიცირებულია 824 ადამიანი. აქედან 657 კაცია, 167 კი – ქალი (4 – ორსულიძ. პაციენტთა უმრავლესობა 18-დან 40 წლამდეა. ეს რეპროდუქციული ასაკია, ამიტომ ძალზე საშიშია. პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მონაცემებით, საქართველოში შიდსმა უკვე შეიწირა 181 ადამიანი, მათ შორის – 3 ბავშვი.

რაც ყველაზე სამწუხაროა, შიდსიანთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს და მატულობს. 2000-ში, მაგალითად, დაფიქსირდა შიდსით დაინფიცირების 79 ახალი შემთხვევა, 2001-ში – 93, 2002-ში – 95, 2004-ში – 163, 2005-ში კი – 186. სამკურნალო წამლები გაიცემა მხოლოდ 110 დაავადებულზე, აქედან – 6 ბავშვზე. რა ქნას დანარჩენმა, თუ მკურნალობა ყოველთვიურად თითქმის 600 დოლარი ჯდება? ვისა აქვს ამხელა ფული? არა აქვს და... დადის, სხვებსაც აავადებს. რაგინდ გვამშვიდონ სპეციალისტებმა, – შიდსი იოლად არ გადადისო, ხომ ვხედავთ, რომ იგი ყოველდღიურად ტანში გვიჯდება?



ისიც ყველაზე სამწუხაროა, რომ ბოლო ხანს შიდსმა ხელი დარია ქალებსაც. მსოფლიო სტატისტიკით, 15-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში მათი რაოდენობა თითქმის 65 პროცენტია. მეტი უბედურება რაღა გინდა! მართალია, საქართველოში შიდსიანთა შორის ქალები მხოლოდ 20 პროცენტია, მაგრამ ეს რა, ცოტაა? ხვალ აქაც ავარდება 40-ზე, მერე კი 60-ზე. დაიჭერ თუ რა! არა ვფრთხილობთ და... მთელი მსოფლიო თავაწყვეტილ სექსზეა გადასული. ეს თავაწყვეტილობა ჩვენშიც სავალალო შედეგებით მთავრდება. 2004 წელს, მაგალითად, სიფილისით დაინფიცირებულა 681 ადამიანი, გონორეით – 685, ტრიქომონიაზით – 984, ქლამიდიოზით – 501. წადი და ახლა ილაპარაკე ერის გამრავლებაზე, ოჯახის სიმტკიცეზე, სქესობრივ ჯანმრთელობაზე. ექსპერტთა დასკვნით, საქართველოში სქესობრივად ჯანმრთელია მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი. მაპატიეთ და, თესლიც კი გაგვილაყდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში მამაკაცის ერთ მილილიტრ სპერმაში ყოფილა დაახლოებით 60 მილიონი სპერმატოზოიდი, 70-იან წლებში – 40 მილიონი, დღეს კი არის – 20 მილიონი. განა ასეთი პოტენციით ამოვალთ იმ 50 მომაკვდავ სახელმწიფოთა ნუსხიდან, რომელშიც მსოფლიო ექსპერტებმა შეგვიყვანეს?

ზოგს სასაცილოდ აღარა ჰყოფნის ლაპარაკი ქართულ ტრადიციებზე, თუნდაც, ქალიშვილობის ინსტიტუტზე, ოჯახის ერთგულებაზე... არადა, ნახეთ, საით მივდივართ!

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ქალის წელიწადი





– ჩვენი მტერია ზამთრის ყინვაც და ზაფხულის წყალდიდობაც!

◎ სასამართლო

# ვაი, ასეთ სტუმარ-მასპინძლობას

**თურმე ნუ იტყვით, ორიგინალურობით მკვლელებიც გამოირჩევიან. საქართველოს მოქალაქეთა ხოცვა აღარ იკმარეს, აქ თურქეთის მკვიდრი ხასან სამანჯი მოტყუებით ჩამოიყვანეს და სოფელ სალიბაურის მეურნეობის ჩაის პლანტაციებში „გაასაღეს“. მკვლელი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლაში მცხოვრები რამაზ გუნთაიშვილია.**

მკვლელობა 9 წლის წინათ მოხდა. გამოძიების მასალების თანახმად, გუნთაიშვილი და სამანჯი ადრე ერთმანეთს იცნობდნენ. ერთხელაც გუნთაიშვილი სამანჯის დაუკავშირდა და უთხრა, რომ 50.000 დოლარის ღირებულების ავტომანქანის ნაწილებს ნაღდ ანგარიშზე მიჰყიდიდა.

სამანჯი საქართველოში 1997 წლის 29 იანვარს ჩამოვიდა. გუნთაიშვილმა ის ბათუმში, მეგობრის ჯამბულ მოწყობილის სახლში მიიყვანა, სადაც ივახშმეს და ალკოჰოლური სასმელიც დალიეს. ამის შემდეგ მასპინძლებმა სტუმარი სახლიდან გამოიტყუეს და სოფელ სალიბაურის მეურნეობის ჩაის პლანტაციებში მიიყვანეს. მოწყობილმა სტუმარი ჯერ სცემა, შემდეგ კი დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ხასან სამანჯი ადგილზე გარდაიცვალა. ბოროტმოქმედებმა მის ჯიბეებში ფულის ძებნა დაიწყეს, მაგრამ ამაოდ, გარდაცვლილს თანხა არ აღმოაჩნდა. მას თან მხოლოდ 50 დოლარი, ბანკის გასანაღდებელი ფულის ქვითრები, პირადი დოკუმენტები და ნივთები – ოქროს საათი, ოქროს ბეჭედი აღმოაჩნდა. ესენი გაიტაცეს, გვამი კი ჩაის პლანტაციაში მიატოვეს.

მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ გუნთაიშვილმა გატაცებული საბანკო ქვითრების გასანაღდებლად თურქეთს მიაშურა. მისდა მოულოდნელად საქმე „გასკდა“ და 1997 წლის 12 მარტს თურქეთის პოლიციამ ის დააპატიმრა. იქ გაასამართლეს, მაგრამ ოთხიოდე წლის შემდეგ აღმკვეთი ღონისძიება გააუქმეს, გარეთ გამოუშვეს. მალე მან საქართველოს ტერიტორია უკანონოდ გადმოკვეთა, რის გამოც ის საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს ჯარისკაცებმა დააკავეს. მალევე რამაზ გუნთაიშვილი აჭარის უმაღლესი სასამართლოს წინაშე წარსდგა. მას ბრალად ედებოდა დამამძიმებელ გარემოებაში პირის განზრახ მკვლელობა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა. აჭარის უმაღლესმა სასამართლომ გუნთაიშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



განაჩენი გუნთაიშვილის ადვოკატმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, მისი თქმით, კლიენტი თურქეთის რესპუბლიკაში გაასამართლეს, სასჯელის ნაწილის მოხდის შემდეგ კი გაათავისუფლეს. საკასაციო პალატის სხდომაზე გამოქვეყნდა თურქეთის იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტი. დადგინდა, რომ გუნთაიშვილი თურქეთში მართლაც გაასამართლეს, მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ განაჩენი თურქეთის რესპუბლიკის საკასაციო პალატამ გააუქმა და ხელახლა განსახილველად საქმე იმავე სასამართლოში გადააგზავნა. თუმცა, საქმის განხილვამდე, 2001 წლის 18 იანვარს გუნთაიშვილს აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა და ის პატიმრობიდან გათავისუფლდა.

ახლახან უზენაესმა სასამართლომ მას სასჯელის ზომა შეუმცირა და საბოლოოდ 8 წელი დაუტოვა.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ჭრუანტელი

## ბედი მომეც და...

ორი წლის წინათ დაიწყო ევროპული ლატარიის გათამაშება, რომელიც ყველაზე მსხვილი ლატარიაა მსოფლიოში. ახლახან გათამაშდა მისი ბოლო ტირაჟი; ჯეკ-პოტი შეადგენდა 212 მილიონ დოლარს. მოგება წილად ხვდა სამ მოთამაშეს, – ერთ პორტუგალიელს და ორ ფრანგს. ამ ლატარიის ბილეთები კისრისტეხით იყიდება ყველგან. საფრანგეთში, მაგალითად, ერთ კვირაში გასაღდა 8,5 მილიონი ბილეთი. თუმცა, თანხა ისეთია, ღირს კიდეც ხოცვა-ჟლეტა.

## ჩვენ ანგელოზები ვყოფილვართ

მოსახლეობის სულადობაზე გაანგარიშებით ყველაზე მეტი პატიმარია აშშ-ში, ჩინეთში, რუსეთში, ინდოეთში, ტაილანდში; ყველაზე მეტი მსმელია ლუქსემბურგში, უნგრეთში, ჩეხეთში, ირლანდიაში, გერმანიაში; ყველაზე მეტი მწეველია საბერძნეთში, ბულგარეთში, ბოსნიაში, იაპონიაში, მაკედონიაში; ქურდობას ყველაზე მეტად ეტანებიან ავსტრიაში, ნიდერლანდებში, ბრიტანეთში, ნორვეგიაში, ბელგიაში; ღვინოს – ლუქსემბურგში, საფრანგეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში; ლუდს – ჩეხეთში, ირლანდიაში, გერმანიაში, ავსტრალიაში, ლუქსემბურგში...

## ვამპირები ქალებიც არიან

უკრაინაში, კერძოდ, ოდესაში დააკავეს 34 წლის ვინმე დიანა სემენუხა, რომელმაც სახელი „გაითქვა“ ორიგინალური სატანისტური რიტუალებით. მას შინ გამომწყვდეული ჰყავდა 11-დან 15 წლამდე ასაკის შვიდი ბიჭი. მათთან ყოველი სექსის შემდეგ, პატარა პარტნიორებს სხეულს სამართებლით უსერავდა, სისხლს ჭიქაში აგროვებდა და, ბოლოს, რაღაც გაურკვეველ ნაზავთან ერთად, სვამდა. სემენუხას საკმაოდ მაგრად აქვს დასერილი საკუთარი სხეულიც.

## ცოლს ქმარი უნდა!

2001-დან 2006 წლამდე, იმ პერიოდში, როცა აშშ-მ დაიწყო სამხედრო ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში, ამერიკელ სამხედროებში მოხდა 56 ათასი განქორწინება. ქალებს აღარ სურთ არა მარტო ყოველდღიური სისხლისღვრა, არამედ მეუღლეების ასეთი ხანგრძლივი დროით დაშორებაც. ექსპერტები სამხედროებს ურჩევენ ცოლების შერჩევის უფრო უკეთესი ხერხების გამონახვას, კერძოდ, აპრობირებული ტესტებით დაქორწინებას.

## ცეკვის ფესტივალი თუ სექსის?

ყოველწლიურად ბრაზილიაში, თებერვალში, იმართება თითქმის ორკვირიანი ცეცხლოვანი ცეკვების ფესტივალი, რომლებშიც მონაწილეობენ მოსახლეობის ლამის შიშველტიტველი ფართო ფენები... ერთობ აღგზნებული ღონისძიებები ათასგვარ პრობლემას ჰქმნის. კერძოდ, წლეულს ხელისუფლება იძულებულია უფასოდ დაარიგოს 25 მილიონი პრეზერვატივი, ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან. თუმცა ხალხი ნახევარს მაინც სანაგვეზე ყრის და ჩვეულებრივ სექსს ეძლევა.

## დანვრეცა ჩირად არ უღირთ!

ამჟამად ამერიკის ციხეებში 6,9 მილიონი პატიმარია. ეს ზრდასრული მოსახლეობის 3,2 პროცენტია. რაც ყველაზე სამწუხაროა, ერთხელ დაპატიმრებულთა 38 პროცენტი ისევ საკნებში მიბრუნდა ახალი დანაშაულის ჩადენის გამო. შარშანდელი მონაცემებით, აშშ-ს ციხეებში იჯდა 3315 სიკვდილმისჯილი. აქედან ყველაზე მეტი იყო კალიფორნიაში – 637, მერე ტეხასში – 446 და ბოლოს, ფლორიდაში – 364.

## პენსიონერი კომუნისტებს შეეწირა

როგორც ჩანს, რუსი ფაშისტები (სკინხედები) მარტოოდენ უცხოელებს არა ხოცავენ. ახლახან მოსკოვში 81 წლის მარია ზოლოტუხინა დანით მოკლა, ხოლო შემდეგ ცეცხლი წაუკიდა ნაცბოლშევიკმა, 17 წლის იური ზვერევმა, რომელიც მეგობრობდა მარია ზოლოტუხინას 16 წლის შვილიშვილთან. მკვლელობის მიზეზი გახდა იდეოლოგიური კამათი – მარია აქებდა კომუნისტებს და აკრიტიკებდა თინეიჯერებს.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №44

წერილი ამერიკიდან

# უჩვეულო დღე

***ბატონ ოტია იოსელიანს ოცი წლის წინათ შევხვდი, თუმცა მის შემოქმედებას დიდი ხანია, ვიცნობ.***

***იმ წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ წყალტუბოს მახლობლად, სოფელ ყუმისთავში მიაკვლია მღვიმეს, რომელიც ბუნების დიდებული ძეგლი აღმოჩნდა.***

***ორიოდე კვირაში რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელები — ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, სხვა ოფიციალური პირები გვეწვივნენ.***

***სტუმრები აღფრთოვანდნენ ბუნების საოცრების ხილვით, მადლობა გადაგვიხადეს, მხარდაჭერა აღგვითქვეს. გადაწყდა მღვიმის კეთილმოწყობა, რასაც სადირექტივო ორგანოების საგანგებო დადგენილება მოჰყვა.***

***ბატონი ოტია უმალ ჩვენთან გაჩნდა. ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვატარე მღვიმის ტალანები და ვრცელი დარბაზები.***

***— აქაურობა გალაკტიონს რომ ენახა, „ნიკორწმინდას" სხვაგვარად დაწერდაო, — ბრძანა...***

***მალე მშვენიერი ნარკვევი უძღვნა მიწისქვეშეთის მკვლევართ, რომელიც ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა.***

***იმ დღიდან ბატონი ოტია ხშირად გვაკითხავდა მღვიმეში, ყველა სიახლის საქმის კურსში იყო. როგორც კი დროს გამოვნახავდი, მეც მისი სახლისკენ მივიჩქაროდი.***

***შემდგომ წლებში ჩვენი ურთიერთობა უფრო განმტკიცდა.***

იმ დღეს ბატონ ოტიასთან რომ მივედი, სკის ყუთებს კრავდა ალვის ხის ფიცრებისგან. ცოტა ხელი შევაშველე. შებინდებამდე ვიმუშავეთ.

— ალვის ხე სამასალედ სუსტია, მარა ნამეტანი ლამაზია, დიდებული. რაც მთავარია, სკის ოჯახიზა შეუცვლელია; არ ჭიანდება, მსუბუქია, ფიორა, — ამბობს, თან გაპრიალებულ ფიცარს სათუთად, თითქოს მოფერებით უსვამს დაკოჟრილ ხელს.

ოთხი ყუთი მზადაა უკვე, თავისი სახურავით. ვხედავ, უჭირს დაწყებული საქმის მიტოვება, მაგრამ სხვა გზა არაა, — ქალბატონი ნანა რამდენიმე დღეა, თბილისშია. ამიტომ ეზო-კარი ახლა მას დააწვა. პირველ რიგში საქონელი დააბინავა. უცხომ ბოსელს გარედან რომ მიაყურადოს, გაოცდება, — ბატონი ოტია საქონელს ადამიანივით ელაპარაკება. სახელებიც „ადამიანური" დაურქმევია, — კოჭოია და ბოჩოია... ნეტავ შეგახედათ, პირუტყვი როგორ უსმენს პატრონს. ზოგიერთ ოჯახში ბავშვი არაა ისეთი გამგონე და თვინიერი, როგორც ბატონი ოტიას გამოზრდილი საქონელი...

მასპინძელმა ორიოდ საათში მოილია საოჯახო საქმეები.

— ქვევით, ბუხართან ვივახშმოთო, — მთავაზობს.

ბუხარი ბატონი ოტიას სიამაყეა.

აგურის ნახევრადსარდაფიული სასახლის პირველ სართულზე ისეთი ვრცელი ბუხარია, მოზვერი შეიბრაწება. ბუხარი, ისევე როგორც ბევრი რამ ამ სახლში, ბატონი ოტიას ნახელავია.

— სულ რამდენიმე კაცი დავრჩითო საქართველოში ნამდვილი მებუხრეები, — იტყვის ზოგჯერ დანანებით.

ბუხარში რცხილის ორი მოზრდილი კუნძი შეუკეთა გარდიგარდმო. კუნძები წვიმისგან დასველებულია, მაგრამ ხმელი, მშრალი ნაფოტები ისე ოსტატურად შემოუწყო, აბრიალდა ცეცხლი. სველი კუნძები შიშინებს.

განიერი ბუხრის წინ, ტაბლაზე, მსუბუქი ვახშამი გააწყო, — ყველი, მჭადი, მწვანილი, მჟავეული, ქოთნით ლობიო. წელში გამოყვანილი, მომცრო ჭიქებით ვწრუპავთ მასპინძლის ხელით დაწურულ ადესას.

... ამ ხუთ წელიწადში მრავალნაირი ღვინო დავაჭაშნიკე ამერიკაში, — კალიფორნიული, სუფრის თეთრი და ვარდისფერი კარლოროსი, ლივინგსტონი, ინგლენოკი; ფრანგული კაბერნე, პინო, ბურგუნდი, შარდონე, იტალიური კიანტი, ავსტრალიური შავი გედი, შირაზი... სასმელები ათასნაირი ზომისა და ფორმის ჭურჭელშია, თვალისმომჭრელი, ვარაყიანი ეტიკეტებით; ფასიც სოლიდური ადევთ, მაგრამ რატომღაც ყველას სპირტისა და რაღაც წამლის გემო დაჰკრავს თითქოს. ვერც ერთს ვერ შევადარებ ჩვენებურ ღვინოს, მზისა და მიწის სურნელით რომაა გაჟღენთილი...

ბატონი ოტიას დაწურულ, ერთ ბოცა ადესას აქაურ ერთ კონტეინერ ღვინოში არ გავცვლიდი, მაგრამ სადღაა...

... ბრიალა ალი კარგა ხანია ჩაინავლა; კუნძების თავები კი ვარდისფრად ღუის. ნაკვერჩხლებს აქა-იქ სილურჯე გადაჰკრავს.

ოცნებამ გამიტაცა... ნახევრადსარდაფიულ, ვრცელ დარბაზს ვიხსენებ...

ხელმარჯვნივ, ბატონი ოტიას ხელით გაწყობილი წისქვილია. მარცხნივ, კედელთან — ცაცხვის საწნახელი. კედლების გასწვრივ, თაროებზე, — სხვადასხვა ზომის ბოცები, ბოთლები, ქილები. ბოცებში — თეთრი, შავი, წითელი ღვინო. ყველას შესაბამისი ფირფიტა აქვს მიკრული. ქილებში — თაფლი; საზამთროდ დაკონსერვებული ბოსტნეული; კაუჭებზე — ხახვისა და ნივრის გალები; ზაფრანისა და წიწაკის გირლიანდები; ადესისა და ცოლიკოურის ჩხები; სიმინდის ადლიანი, ნაქურჩალგანასკვული ტაროები, ბროწეულისა და ინდისხურმის დახუნძლული ტოტები. მაგიდაზე — სხვადასხვა ზომისა და ფერის ხოკორა კვახები; ძეწნისგან ოსტატურად მოწნულ თახჩაზე — ვაშლები, კომშები, გადამსკდარი ბროწეულები, კაკალი, ნაქურჩალიანი თხილი... ისე ლამაზად ალაგია, ხელის ხლება დაგენანება, — დადექი და უყურე! უმალ გურამ თიკანაძის განუმეორებელი ფოტოშედევრი — „ნატურმორტი" გაგახსენდება... გასაოცარია! ბატონი ოტია იშვიათად გადის სახლიდან. თუ ძალიან არ შეაწუხეს, სადმე შეხვედრაზე ან რაიმე ღონისძიებაზე არ წაიყვანეს, — სულ ეზოში ტრიალებს, საქმიანობს. ხან მიწას ამუშავებს, ან ლიმონარიუმს არემონტებს; ხანაც დურგლობს, ან ხეხილს სხლავს, საქონელს უვლის...

სტუმარი დღეში ათჯერ შემოაღებს ჭიშკარს; ზოგი — რჩევის საკითხავად, ზოგი შეწევნის სათხოვნელად, ზოგიც — მოსაკითხავად; უბრალოდ, მასთან საუბარი მონატრებიათ. ყველას მიღება-გასტუმრება, პასუხის გაცემა სჭირდება... ღამით გვიან იძინებს; ალიონზე — მზეს ასწრებს ადგომას; და მაინც, ყველაზე ადრე იგებს ქვეყნის სიახლეებს...

ერთხელ, ჩემმა მეგობარმა, გეოლოგმა და ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ ტელევიზიის პროგრამა „იროს" გადამღები ჯგუფი ჩამოიყვანა წყალტუბოში. მღვიმის გადაღება სურდათ. ცხადია, ბატონ ოტიასთან შეხვედრის შანსს როგორ გაუშვებდნენ ხელიდან.

— მოდით, დილით ადრე მივიდეთ. სანამ მასპინძელი გაიღვიძებს, სახლს და ეზოს გადავიღებ; თან ინტერვიუს ჩასაწერად ადგილს შევარჩევ, — გვთხოვა რეჟისორმა რეზო შალიბაშვილმა.

დილის სისხამზე, ჭიშკარს რომ მივადექით, კუნაპეტივით შავი, მოზვერივით ნაგაზი გამოგვენთო. სახელი რომ დავუძახე, ბუხუიამ მიცნო, დაწყნარდა, მშვიდად შეხვდა სტუმრებს.



ჟურნალისტები განცვიფრდნენ, — ბატონი ოტია შარვლის ტოტებაკაპიწებული, უკვე ყანაში იდგა და სიმინდს მარგლიდა.

ბიჭები დაფაცურდნენ, — აპარატურა გაამზადეს, — ბარემ აქვე გადავიღებთო, უკეთეს ნატურას ვერც ვინატრებდითო...

— ვინ დაიჯერებს, რომ ეს კადრები დადგმული არაა? — თავს იქნევს ვანიკო ჯაფარიძე.

გადაღება რომ დაასრულეს, ბატონმა ოტიამ ჟურნალისტები სუფრასთან მიიწვია. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ, — წინა დღით თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს დედაქალაქის ახალ ამბებს უყვებოდა მასპინძელი...

ყველაზე უფრო ის მიკვირს, მთელი დღის ნაჯაფარი, წერას როდისღა ასწრებს? არადა, ქალბატონი ნანა მისი ხელნაწერების ბეჭდვას ვერ აუდის...

ამ საიდუმლოს, ალბათ, ვერასოდეს ჩავწვდები...

— უკვე ყოველდღამ ველოდები მეუფე ისაიას ჩამობრძანებას, — მითხრა ბატონმა ოტიამ დამშვიდობებისას, — გული მიგრძნობს, მალე უნდა ჩამობრძანდეს.

მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფე ისაია ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსია. ჯერ არ შევხვედრივარ, მაგრამ ბატონმა ოტიამ იმდენჯერ მიხსენა, ისეთი პატივისცემით საუბრობს მასზე, რომ მეც მოუთმენლად ველოდები.

ბატონი ოტიას სახლიდან სანატორიუმ „საქართველოს" კოტეჯამდე, სადაც დროებით ვცხოვრობ, ხუთი წუთის სავალია.

კოტეჯში შუაღამეს დავბრუნდი.

დილაადრიან კვლავ ბატონ ოტიასთან მივდივარ, როგორც წუხელ დავთქვით.

ეზოში უცხო მანქანა შევნიშნე.

— მეუფე ისაია ჩამობრძანდა მორჩილთან ერთად, — მახარა ბატონმა ოტიამ.

სასტუმრო ოთახიდან მთავარეპისკოპოსი გამობრძანდა.

ბატონმა ოტიამ წარმადგინა.

ხელზე ვემთხვიე.

პირველივე წუთებიდან მოწიწებით აღვივსე.

მეტად უშუალო ბრძანებულა.

— წუხელ გვიან ჩამოვედითო, — ბრძანა მეუფემ, — ალბათ პირველი საათი იქნებოდა, ზარი რომ დავრეკეთ.

ბატონი ოტია აივანზე გადმოდგა.

— მეუფე ისაია ვარ-მეთქი.

— ოჰ! აგაშენოთ ღმერთმა! — თქვა და გამოგვეგება. გაიხარა. გელოდებოდითო!

— აქ ყოველთვის გვიან გვიწევს ჩამოსვლა, მაგრამ ბატონი ოტია მუდამ გულთბილად, სიხარულით გვხვდება; ამიტომ ჩვენც მასთან მოგვიხარია, — ბრძანა მეუფემ, — მოზარდებს პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ღვთის სიყვარული, ათი მცნება, რათა ჯანსაღი სულის ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, — ბრძანებს მეუფე; ბატონი ოტია მთელი სიცოცხლე ამას ქადაგებს. უფრო სწორად, თავისი ცხოვრების წესით ამკვიდრებს, რომ გიყვარდეს სამშობლო, გიყვარდეს შრომა, გიყვარდეს ადამიანი...

ბატონი ოტია სასტუმრო დარბაზში, საუზმეზე გვეპატიჟება.

მეუფე ისაიამ სუფრა აკურთხა.

ჩემს ცხოვრებაში მეორედ ვზივარ უმაღლესი მღვდელმთავრის ნაკურთხ სუფრასთან.

რამდენიმე წლის წინათ ბატონმა ოტიამ, მისმა მეგობრებმა და თანამდგომებმა იავარქმნილი გვიშტიბის ეკლესია აღადგინეს, რომელიც ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ აკურთხა.

მასპინძლებმა ეკლესიის კურთხევაზე მობრძანებული მრევლის პატივსაცემად ტრაპეზი გამართეს.

სუფრაც მეუფე კალისტრატემ აკურთხა.

... ეროვნულ ცნობიერებაწაშლილ, ვიღაც ჯგერენაიებს, ჭიაბერაშვილებს, ტიკიშერაშვილებს თუ სხვა ათასი ჯურის შვილებს იმ სუფრაზე დასწრების პატივი რომ ჰქონოდათ, თავად დარწმუნდებოდნენ, თუ რატომ უწოდებენ ქართულ სუფრას აკადემიას, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა...

ის დღე სამუდამოდ დამამახსოვრდა.

დღესაც, ირგვლივ, ყველაფერი უჩვეულოდ მეჩვენება...

ამ ვრცელ დარბაზში ბევრჯერ შევსწრებივარ ხალხმრავალ სუფრებს, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკების, მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების მონაწილეობით, მაგრამ დღევანდელი დღე ჩემთვის გამორჩეულია, განსაკუთრებული...

ბატონი ოტია ჩაცმა-დახურვისადმი და კოპწიაობისადმი გულგრილია, მაგრამ დღეს ახალი ფეხსაცმელებითა და შარვალ-ხალათით გამოგვეცხადა...

მე და მორჩილი ხმაგაკმენდილები ვზივართ სუფრასთან. ჭარმაგი გვიშტიბელი მინდია და ახალგაზრდა, ერთ-ერთი უმაღლესი მღვდელმთავარი, რომელსაც სახეზე ნათელი გადასდის, დინჯად საუბრობენ ქვეყნის სატკივარზე...

... გლობალისტები გააფრთებით უტევენ მართლმადიდებლობას, რომელსაც უკანასკნელ ზღუდედ მიიჩნევენ ერთიანი მსოფლიოსკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ ამაოა მათი გაწიწმატება, — დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ძლიერია, როგორც არასდროს! შენდება ახალი ტაძრები, მონასტრები, ღვთის სახლები მორწმუნე მრევლს ვერ იტევს; არსდება ახალი ეპარქიები, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოღვაწეობას უკავშირდება...

საუბარში ისეთი ურთიერთპატივისცემა იგრძნობა, სული სიამით მევსება...

მას შემდეგ თითქმის ხუთი წელი გავიდა, მაგრამ ვიდრე სული მიდგას, ის უჩვეულო დღე არასოდეს დამავიწყდება...

**ჯუმბერ ჯიშკარიანი,**

**„სრ" საკ. კორ. ფლორიდა, აშშ.**

**სურათზე: ოტია იოსელიანი — ცისანა ჯანაშვილის ნახატი. ნიუ-იორკი, 2005.**

საქართველოს რესპუბლიკა

ზურაბ ღომიძე

# ნუ გასწირავთ ადამის მოდგმას აპოკალიფსს...

## აუცილებელი წინათქმა

**არ ვიცი თუ არ მახსოვს – ეს იყო ხილვა თუ ზმანება. ერთ დილით უეცრად აღმოვაჩინე, რომ ასეთი აზრი მიტრიალებდა თავში და ვიღაცა მიკარნახებდა – დაწერე, გაიგოს ყველამ, აუცილებლად დაწერეო. ღმერთმა შემინდოს, თუ ცოდვას რაიმეს ჩავდიოდე.**

– ანუკი, რა ლამაზი ხარ დღეს!

–აბა, როგორ!? მე დღეს სკოლაში მივდივარ.

– დიდი ხანია, სკოლაში რომ დადიხარ?

– კი. იმდენჯერ ვიყავი, რამდენი თითიც ხელზე მაქვს.

–აუ, რა ბევრჯერ ყოფილხარ. გიხარია, ანუკი, სკოლაში სიარული?

– იცით, იქ რა კარგია! ძალიან, ძალიან ბევრი ბავშვია, მერე როგორი კარგი ბავშვები არიან – ყველა ლამაზია, ყველას საუკეთესო ტანსაცმელი აცვია. ჩვენი მასწავლებელი კი ყველაზე უკეთესია. ისე ვუყვარვარ, ისე ვუყვარვარ, თითქოს დედაჩემი იყოს.

– მეგობრები თუ გაიჩინე, ანუკი, უკვე?

– რას ამბობთ, ყველა ჩემი მეგობარია: თამრიკო, ნინო, ნატო, კატია, სალიმა, კოტე, აცამაზი, ვანო...

– არ ჩხუბობთ ხოლმე ერთმანეთთან?

– როგორ არა, როგორ არა. გუშინ ზალინამ მითხრა, დედაჩემი ყველაზე ლამაზიაო. მე შევეკითხე, დედაჩემზე ლამაზიც არის-მეთქი? და იცით, რა მითხრა? კიო. როგორ არ წავეჩხუბებოდი – იმან ხომ უნდა იცოდეს, რომ დედაჩემი ყველაზე ლამაზია. თანაც იმას დედაჩემი არც უნახავს. ბაფთა ჩამოვაგლიჯე თმიდან.

– ეგ როგორ შეიძლება! ბაფთა როგორ უხდებოდა იმას.

– ზალინამ იტირა. მერე ჩემი ბაფთაც მე თვითონ მოვიგლიჯე და წინ დავუდე – შენი იყოს, ოღონდ ნუ იტირებ-მეთქი.

– მასწავლებელმა რა გითხრა მერე?

– მარია მასწავლებელი მოვიდა, ორივეს გვაკოცა, ისევ შეგვაბა ბაფთები და გვითხრა: აბა, ახლა აკოცეთ ერთმანეთს, გიყვარდეთ ერთმანეთი და აღარასოდეს იჩხუბოთო.

– შენ რაღა უთხარი?

– მეც ვიტირე და ვუთხარი ზალინას – ძალიან მიყვარხარ-მეთქი. და კიდევ იცით, რა ვუთხარი?

– რა? აბა, მითხარი.

– ზალინა დედაშენი და დედაჩემი ორივე ძალიან ლამაზები არიან, ყველაზე ლამაზები-მეთქი.

– სახლში ჯობია თუ სკოლაში, ანუკი?

– სკოლაში. და კიდევ სახლშიც.

– ეგ როგორ?

– იცით, რა? რამდენ შეკითხვას მაძლევთ. მე სკოლაში მაგვიანდება. თანაც ამ დილით დედიკო გავაბრაზე.

– რატომ გააბრაზე?

– თქვენ ისევ რაღაცას მეკითხებით....

სკოლაში მისულ ანუკის კარებთან ზალინა დახვდა.

– ანუკი, ანუკი, იცი რა უნდა გითხრა? გუშინ დედაჩემს ვუთხარი, რომ შენ და მე ვიჩხუბეთ. და იცი, რა მითხრა? ანუკის დედა ძალიან ლამაზიაო.

– რას ამბობ, ზალინა? სწორედ ასე მითხრა დედაჩემმაც. ახლა ხომ ყველა დაიჯერებს, რომ ყველაზე ლამაზები დედაჩემი და დედაშენია.

– თქვენ რა, ზარის ხმა არ გაგიგონიათ და არც მე დაგინახივართ? – მარია ივანოვნა სწორედ ამ გოგონებს მიმართავდა, რომლებიც ისე გართულიყვნენ თავიანთი დედების ქებაში, მასწავლებლის შემოსვლა კლასში არც გაუგიათ.

ბავშვები დასხდნენ თავიანთ მერხებზე დამორცხვებით და ახლა პირველად შეხედეს მასწავლებელს მისი სილამაზის შემოწმების მიზნით.

შეიძლება დაიფიცო კაცმა, რომ ორივე გოგონამ ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააკეთეს ერთობლივი დიდი და მეტად გასაოცარი აღმოჩენა: რა ლამაზია მარია ივანოვნაც. თითქმის ისეთივე ლამაზი, როგორიც მათი დედები არიან.

– მარია ივანოვნა, მარია ივანოვნა, – ის იყო, მასწავლებელმა დაამთავრა სიის ამოკითხვა, რომ გოგოს ხმა გაისმა.

– რა იყო, გოგო, რამ შეგაშფოთა?

– ლუკამ ჩაიფსა, მარია ივანოვნა...

მთელი კლასი ერთბაშად ახარხარდა.

ლუკა კი ფეხზე წამომდგარიყო, ხელები დაბლა დაეშვა და ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. – მეტს აღარ ვიზამ, მასწავლებელო, – ამოილუღლუღა ბოლოს ცრემლების ყლაპვით, რასაც ბავშვების ახალი ჟივილხივილი მოჰყვა.

– აბა, დაწყნარდით, ბავშვებო. არაფერი საგანგებო არ მომხდარა. ლუკა...

ამ დროს კარებს მძიმე რაღაცა მოხვდა, გრუხუნით გაიღო და:

– როგორ არა – მოხდა! – გაისმა საზარელი ხმა და კლასში შემოცვივდნენ სახეზე ნიღაბაფარებული ურჩხულები, ხელში ავტომატები რომ ჰქონდათ მომარჯვებული. – არავინ ხმა არ ამოიღოს, თორემ იმწუთშივე მოვკლავთ.

მხიარული ჟივილ-ხივილი ერთბაშად განგაშის, შიშისა და სასოწარკვეთის ერთსულოვანმა ამოხეთქვამ შეცვალა:

– ვაიმე, დედა, მეშინიააა!!!!

– ხმა გაიკმინდეთ! – და ავტომატის ჯერმა ჭაღი იატაკს დაანარცხა.

– ვინა ხართ, რას სჩადიხართ, ბანდიტებო, – მხოლოდ ახლა მოეგო გონს მარია ივანოვნა, – ახლავე გაეთრიეთ კლასიდან. რა დროს ხუმრობაა? ხედავთ, ბავშვებს როგორ შეეშინდათ?

პასუხად ისევ აკაკანდა ავტომატი მოკლე ჯერით.

მარია ივანოვნა უსულოდ დაეცა ძირს და მისი სხეულიდან სისხლის ნაკადებმა იწყეს დენა.

ბავშვებს, ყველას ერთდროულად სრულიად ერთნაირი თვალები გაუხდათ – ეს უკვე შუშის თვალები იყო, აი, ისეთი, თოჯინებს რომ აქვთ, რომელთაც აღარც გამომეტყველება, აღარც სხივი და შუქი აღარ გააჩნიათ და რაიმეს დანახვის უნარიც წართმეოდათ.

სამი ნილღბოსნიდან ორმა მასწავლებლის გვამი კლასიდან გაიტანა. ოთახში დარჩენილი კი მასწავლებლის მაგიდას მიუჯდა, ავტომატი შემოატარა ისე, რომ მისმა ლულამ ყველა შუშის თვალში ჩაიხედა.

ავტომატის ჯერი კიდევ რამდენჯერმე გაისმა.

ეს უკვე სხვა საკლასო ოთახებიდან იყო.

და მთელ სკოლაში სამარისებურმა დუმილმა დაისადგურა.

და ეს დუმილი მთელი საუკუნეები გრძელდებოდა.

ბევრმა, პატარებმაც და დიდებმაც, გაიზიარეს ლუკას ხვედრი, მაგრამ ამის შესახებ არავის არაფერი გაუგია. თვით მათაც, ვისაც ეს დაემართა.

შავნიღბოსნიანებმა კი ეს ყველაფერი მშვენივრად დაინახეს, თუმცა გინებების მეტი რეაქცია ამას არაფერი მოჰყოლია.

ორი დღე და ღამე უსმელ-უჭმელი ბავშვები, პირველიდან დამამთავრებელ კლასებამდე, ისხდნენ თავიანთ მერხებზე და შუშის, ზნეშეუცნობელი, მზერადაცლილი თვალებით, რომლებსაც ვერ გაიგებდი ეძინათ თუ ელვიძათ, მისჩერებოდნენ მათკენ მიშვერილ ამაზრზენ და დამთრგუნველ, ავისაღმთქმელ შავ საცეცხლე წვრილ მილებს.

ორი დღე-ღამის შემდეგ ჯოჯოხეთური მყუდროება კიდევ უფრო მწვავე და უფრო საზარელმა ჯოჯოხეთურმა ღრიალმა და ალიაქოთმა შეცვალა.

ასეულობით სული დაიძრა ზეცისაკენ.

მათ არ შეხვედრიათ ცეცხლოვანი გვირაბები ბოლოში მბჟუტავი სინათლით, ცოდვა-მადლის აუცილებელი განკითხვის წინააღმდეგობანი და შემოწმებანი...

ანუკი ზალინას გვერდით მიფრინავდა. მათ თვალებს ზნეც და სხივიც დაუბრუნდათ და ისინი ტიროდნენ.

როგორი კარგი ყოფილა ტირილი. სასიამოვნო და სანატრელიც. როგორ უნდოდათ მაშინაც ცრემლები და ტირილი, მაგრამ ვერ ტიროდნენ. არც არაფერი გაეგებოდათ საამისოდ.

– დედიკო, გეხვეწები, შემირიგდი, – ემუდარებოდა მაღლიდან ანუკი დედას. – აღარ გაწყენინებ, არ გაგაბრაზებ. რასაც დამიწყობ თეფშზე, ყველაფერს შევჭამ. შენთან მინდა, დედიკო.

– დედიკო, დედიკო, აქ ძალიან კარგია. ჩიტებზე მაღლა და ზევით მივფრინავთ, – ცრემლის ყლაპვით ელაპარაკებოდა ზალინაც დედას. – მაგრამ, იცი, დედი, შენთან მირჩევნია. შენ ყველაზე ლამაზი და კეთილი ხარ. ანუკის დედაც ლამაზია, მაგრამ შენ მაინც ყველაზე ლამაზი ხარ. წამიყვანე შენთან ან შენ ამოდი აქ. შენთან მინდა, დედიკო.

მაგრამ გაბუტული დედიკოები არ ურიგდებოდნენ თავიანთ პატარებს!

* * *

**... წყვდიად ღამეში გაისმა გაუგონარი ჭექა-ქუხილი.**

**დაიწყო ცის ნგრევა.**

**და უეცრად ცა გაბრწყინდა ელვარე შუქით.**

**ვრცელ ტახტრევანზე უფალია ანგელოზთ შორის.**

**უკიდეგანო ცის უმაღლეს სასუფეველში უფალმა უხმო თვის ძეთა და მოციქულთ.**

**აქ იყვნენ მოსეც, ქრისტეც და მაჰმადიც, ბუდაც და კრიშნაც, სხვანი და სხვანი, შუამავალნი მასსა და დედამიწელთა შორის.**

**– ხომ დაინახეთ, რაც მოხდა სკოლაში ბესლან ქალაქსა შინა?**

**უფალი მჭმუნვარე სახით მისჩერებოდა მათ.**

**– სოდომი და გომორი მე დავსაჯე და ისინი ღირსნიც იყვნენ ამისა, როცა გარყვნილებასა და ზნედაცემულობას ზღვარი აღარ ელირსა. აქ კი რა ხდება – უარესი რამ: სკოლა. პატარა, უსუსური ბავშვები. იღუპება უსასტიკესი წამებით ასობით უბიწო, სათუთი და უმანკო გული და მხოლოდ ამ ქალაქში?!**



**ეს უკვე სცილდება ყოველგვარ საზღვარს. – იაჰვეს სახეს მჭმუნვარება ემატებოდა. – კი, ვუბოძეთ ადამის ძეთ უფლება თვისა თავისა მიმართ, მაგრამ არც ეს უფლებაა უსაზღვრო. ჩემი ძენი ხართ და მოციქულნი. არავის არა აქვს იმის უფლება, წარმართოს ადამიანის ბედი და ქცევა, რწმენა და წარმოდგენა, მისი შეხედულებანი თუ ცხოვრების წესი. ეს თვითონ უნდა განსაზღვრონ და წარმართონ კიდეც. მაგრამ...**

**აქ თითქოს დაფიქრდაო უფალი. შემდეგ მკაცრი მზერა ჰკიდა თითოეულს და განაგრძო:**

**–... მაგრამ არის კი, ან იყო კი საჭირო ერთარსის დაქუცმაცება და განკერძოება? იუდეველი, ქრისტიანი, ისლამისტი, ბუდისტი და სხვანი და სხვანი მხოლოდ თავიანთ მრწამს რომ მიიჩნევენ ჭეშმარიტების, ღვთისკენ მიმავალი გზის ერთადერთობას, უკიდურეს და უმაღლეს ინსტანციად. მაგრამ ამაზე არ ვამახვილებ თქვენს ყურადღებას. ეს მათი ნება და უფლებაა და არც ჩვენ გვეგების მათში ჩარევა – გზის არჩევანი მათი ვალია. მთავარია, რწმენა იყოს მართალი, წრფელი, შეუვალი და ძალდაუტანებელი. ესაა თითოეული თქვენგანის განჩინება და უფლის განაწესი.**

**მაგრამ რა ხდება დღეს დედამიწაზე? რწმენის ცილობა იქცა სისხლისა და კვდინების საბაბი, რასაც ასეული ათასობით და მილიონობითაც სიცოცხლე ეწირება, თანაც უდანაშაულო ადამიანებისა. ეს თქვენც გაღელვებთ, გაშფოთებთ. მაგრამ ჩვენ არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს არსსა და მისიას.**

**ჩვენ მხოლოდ აქეთ წამოსულთა განსჯა და განკარგვა გვევალება. მაგრამ შეხედეთ, რა ხდება? – შეხედეთ, თითოეული თქვენგანის სამოციქულო სამწყსოში როგორი არეულობაა. ეს თქვენც კარგად იცით და ხედავთ ყოველივეს. იქ ჩვენ ქრისტესმიერი შვილები ვართო და ვერც გაუგიათ, რად ებრძვიან ერთმანეთს მართლმადიდებლები თუ კათოლიკები, პროტესტანტები თუ იეღოველები, კალვინისტები თუ ბაპტისტები. ისლამსაც ვერ დაუდგენია თავისი საზღვრები – შიიტები და სუნიტები თუ კიდევ რა რწმენისა ვართო. ასეთივე სურათია ჩვენსკენ მომავალ სხვა გზებსა და გზაჯვარედინებზე.**

**და არის დაუნდობელი დაპირისპირება, მიდის დაუსრულებელი კვლა კაცთა და ცოდვათა საგანსასჯელო ანგარიშსწორება.**

**ადამიანებმა, და რაც კიდევ უფრო სავალალოა, თვით მორწმუნეთაც, უგულებელყვეს, დაივიწყეს და ფეხქვეშ გათელეს ერთ-ერთი უმთავრესი მცნება, რასაც ვუწესებდით, რომ დაეცვათ მთელი ცხოვრების მანძილზე – „არა კაც კლა“. ეს კი არადა, მრავალთათვის უმთავრეს მცნებად იქცა შურისძიება, ტერორი, მასობრივად განადგურება ადამიანებისავე.**

**მე მინდა ვიხსნათ მათი სულები აქ მოსვლისშემდგომი წამებისაგან, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ.**

**და ეს უნდა გავაგებინოთ მათ!**

**გავაგებინოთ კიდევ ერთხელ, რომ არანაირ მკვლელობას, ვისი სახელითაც უნდა ხდებოდეს, მით უმეტეს უდანაშაულო ადამიანებისა, შენდობა არ ეგების.**

**არ მინდა ახალი სოდომი და გომორი, არ არის საჭირო აპოკალიფსი, თუნდაც მეორე მოსვლა თავიანთი ცოდვა-მადლის ტრიალით, თუმცა ჩვენ ამას ჩვენივე, საღმრთო წერილებით ვპირდებოდით ცოდვილი დედამიწის მკვიდრთ. ამ დროს, თქვენც იცით, უცოდველნი და უმწიკვლონიც ხშირად განიცდიან ტანჯვა-ვაება-წამებას ჩვენთან გადმოსახლებამდე.**

**ჩვენ უნდა ავაცილოთ ცოდვილი დედამიწა ასეთ დასასრულს და ამის უნარი, უფლება და სურვილიც ყველა თქვენგანს ხელეწიფება. ამის ძალას და სრულ უფლებას განიჭებთ თქვენ.**

**წესრიგი და სამართლიანობა აუცილებელია ყველგან, მით უმეტეს დედამიწაზე, სადაც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ადამიანთა ტომები, მოდგმები. თვით ცალკეული ადამიანები.**

**მათ მივანიჭეთ თავისუფლება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს წრეგადასულობას. ამის აღსაკვეთად ზოგჯერ სიმკაცრეც აუცილებელია.**

**მე მოვიწონე ჩემი ძის ქრისტეს ქმედება განკაცებული ცხოვრების დროს, როდესაც გამორეკა იერუსალიმის ტაძრიდან ყველა გამყიდველი და მყიდველი, ვინც ტაძარში იყო, გადააყირავა მეკერმეთა ტაბლები და მტრედების გამყიდველთა სკამები და უთხრა მათ: „დაწერილია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება, თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად გიქცევიათ იგი!“**

**ადამის მოდგმის სულთა ხსნა უნდა იკისროთ თქვენ, ძენო და მოციქულნო ჩემნო. ამის საშუალებაა ჩვენებანი და გამოცხადებანი, სიზმრები და ისეთი სასწაულები, რომელთა ხილვაც შეეძლებათ მორწმუნეთაც და ურწმუნოთაც, ცოდვილთა და უცოდველთა დიდ მრევლსაც. და ეს მშვენივრად იცით თქვენ.**

**გადავარჩინოთ, ვიხსნათ კაცთა მოდგმა, შვილნი თქვენნი სოდომისა და გომორისაგან, მეორედ მოსვლისაგან.**

**აპოკალიფსი ისეთი სახით და იმ ვარაუდით, რომელიც განსაზღვრულია საღმრთო წერილებში, აუცილებელი როდია, თუ ამის საჭიროება არ დამდგარა.**

**ვიკისროთ ეს ვალი, ძენო და შვილნო ჩემნო!**

**– მამაო ჩვენო, იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყნასა ზედა, რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ,– იყო უფლის მოციქულთა და ძეთა ერსულოვანი პასუხი და მზადყოფნა ახალი განწესის შესასრულებლად.**

**და კვლავ წყვდიადი გადაეკრა ზეცას.**

**...რომ ხვალ ახალი, ნათელი დღე გათენებულიყო.**

ქართველი ტენორის წარმატება



# გია ონიანი: „ვიშნევსკაიას კოცნა ჩემთვის წარმატების თილისმად იქცა“

*ის, რომ დასავლეთში, ქართული ხმები დიდი წარმატებით სარგებლობს, საყოველთაოდ ცნობილი და უდავო ფაქტია. თუმცა ქართველი მომღერლები, რომლებმაც მსოფლიო მუსიკალურ ასპარეზზე უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებები, სამშობლოში დაბრუნებას არ ჩქარობენ. მათი უმრავლესობა ცდილობს ჩაიხშოს ნოსტალგიის მტკივნეული გრძნობა და უცხოეთის, ძირითადად ევროპის საოპერო თეატრების სცენებზე განიმტკიცოს სოლისტის წარმატებული კარიერა. ქართული მუსიკალური გარემო ხომ კვლავაც დახურულ სირვცედ რჩება, საიდანაც თავის დაღწევას ყველა ნიჭიერი შემსრულებელი როდი ახერხებს. ადგილობრივი ცნობილი სოლისტების შრომა კი, სამწუხაროდ, არაადეკვატურადაა ანაზღაურებული. თუმცა ზოგ მათგანს მაინც ეძლევა იშვიათი შანსი ერთმანეთს შეუთავსოს წარმატებული უცხოური გასტროლები და გამოსვლები თბილისში მშობლიური საოპერო თეატრის სცენაზე.*

*ახალგაზრდა ტენორი გია ონიანი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ერთ-ერთი ამ „იღბლიანთაგანია“. „ლა სკალას“ მუსიკალურ აკადემიაში სტაჟირებისა და პრესტიჟულ ვოკალურ კონკურსებში გამარჯვებების შემდეგ მას სისტემატურად იწვევენ მსოფლიოში ცნობილ მუსიკალურ ფესტივალებზე და დასავლეთის ქვეყნების თეატრების საოპერო დადგმებში. სულ ახლახან გია ონიანის „ოქროს მარაგი“ კიდევ ერთი გამარჯვებით შეივსო. ბაქოში გამართულ ბულ-ბულ ოღლის სახელობის ვოკალისტთა მესამე საერთაშორისო კონკურსში ქართველმა ვოკალისტმა I ადგილი დაიკავა და კონკურსის ისტორიაში სპეციალური პრიზის „საუკეთესო ტენორის“ პირველი მფლობელი გახდა.*

*მისი გასტროლების გეოგრაფია გადაჭიმულია ევროპიდან ლათინურ ამერიკამდე. ახალგაზრდა მომღერლის რეპერტუარში 24 სოლო საოპერო პარტიაა. დასავლეთში უფრო და უფრო მზარდი წარმატების ჟამს ყველასთვის მოულოდნელად გია ონიანმა თანხმობა განაცხადა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის დირექციის მიწვევაზე და სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა.*

**— მაინც რამ გადაგაწყვეტინათ თბილისში დარჩენა? დასავლეთი აღარ გხიბლავთ?**

— არა, ასე არ არის, ყველაფერი ძალაში რჩება. კონტრაქტებთან და დასავლეთის თეატრების მიწვევებთან დაკავშირებულ ყველა საქმით ჩემი სპეციალური აგენტია დაკავებული. ჯერჯეროზით ვახერხებ ჩემი გასტროლებისა და თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობის გრაფიკის შეთავსებას. ეს ჩემთვის სავსებით მისაღებია. ვაღმერთებ ჩემს სამშობლოს და აქაურ ადამიანებს. აქ მყავს ოჯახი, ნათესავები, მეგობრები. მიჭირს ყოველივე ამაზე უარის თქმა. თანაც რამდენიმე თვის წინათ ქალიშვილი შემეძინა. მინდა, სამშობლოში ვიცხოვრო, არ მინდა შორეულ მამად ვგრძნობდე თავს.

**— ამბობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეთ, რაც თბილისის საოპერო თეატრის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ ჯ. ვერდის ოპერა „აიდაში“ მთავარი პარტია შემოგთავაზათ.**

— ნაწილობრივ ასეა. როდესაც თბილისში პრემიერაზე სამღერლად მიმიწვიეს, ასეთ სიამოვნებაზე ვერც საკუთარ თავს ვუთხარი უარი და ვერც ორგანიზატორებს. პრემიერის შემდეგ თეატრში დარჩენა შემომთავაზეს. ჰონორართან დაკავშირებით დირექციასთან დადებული შეთანხმება ჩემთვის მისაღებია.

**— როგორ დაიწყო ყველაფერი? თუ არ ვცდები, პირველად გალინა ვიშნევსკაიამ გამოგარჩიათ?**

— მაშინ თბილისის კონსერვატორიის ჯერ კიდევ სრულიად „ნორჩი“ ვოკალისტი სტუდენტი ვიყავი. იმ დროს ჩვენთან, კონსერვატორიაში მასტერ-კლასების ჩასატარებლად ჩამოდიოდნენ შესანიშნავი მუსიკოსები — იური ნეჩაევი, სვეტლანა ტროიცკაია, გალინა ვიშნევსკაია. როგორც წესი, მასტერ-კლასებზე დარბაზი გადაჭედილი იყო ხოლმე — ყველას აინტერესებდა დიდოსტატთა მოსმენა და თან თავის გამოჩენაც, თუ შესაძლებელი იქნებოდა. მაშინ გალინა ვიშნევსკაიამ მხოლოდ ორი ტენორი მოიწონა და გამოჰყო, მათგან ერთ-ერთი მე გახლდით. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი. ვიშნევსკაიას კოცნა და დარიგება კი დღემდე მახსოვს. ჩემთვის ერთიც და მეორეც წარმატების თავისებური თილისმა გახდა...

**— კოცნის შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი შემდგომი ბედი?**

— მას შემდეგ გალინა ვიშნევსკაიას აღარ შევხვედრივარ, პ. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსს თუ არ ჩავთვლით. ჩემთვის მოულოდნელად კონკურსის ფინალში გავედი, თუმცა მაშინ ჩემთვის მთავარი მონაწილეობა იყო და არა გამარჯვება. ჰოდა, ისევ ფინალისტადვე დავრჩი...

**— „ლა სკალას“ მუსიკალურ აკადემიაში როგორღა მოხვდით? როგორც ჩანს, ბედმა აქაც გაგიღიმათ?**

— ასე გამოდის. თბილისის კონსერვატორიაში სწავლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურაში გამეგრძელებინა სწავლა. ის იყო მიუნხენში მეცადინეობები დამეწყო, რომ მოულოდნელად იტალიის საელჩოდან დამირეკეს და მაცნობეს, „ლა სკალას“ მუსიკალურ აკადემიაში სამთვიანი სტაჟირება მოიგეთო. უნდა გითხრათ, რომ საბუთები იტალიის მთავრობის სტიპენდიის მისაღებად მიუნხენში გამგზავრებამდე ისე, სასხვათაშორისოდ შევიტანე და მაინცდამაინც დიდი იმედი არ მქონია, რომ შემომეხმიანებოდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ „ლა სკალას“ თეატრში ჯ. ვერდის ოპერა „ობერტოს“ დამდგმელები სპექტაკლში მთავარი პარტიის შესასრულებლად ახალგაზრდა ტენორს ეძებდნენ. ჩემი საბუთები, სწორედ რომ, დროულად მოხვდა პრემიერის ორგანიზატორთა ხელში. ასე აღმოვჩნდი „ლა სკალას“ სახელგანთქმულ სცენაზე. პრემიერის შემდეგ კი აკადემიაში სასწავლებლად მიმიწვიეს, ამჯერად უკვე ორი წლით.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ რუსეთის მომღერლებთან ერთადაც ხშირად გამოსულხართ, ესეც თქვენი თილისმის ზემოქმედების შედეგია?**

— შესაძლებელია... „ობერტოში“ მე ირინა ჯიოევასთან ერთად ვმღეროდი (თუ არ ვცდები, მაშინ ის მარინის თეატრის სოლისტი იყო). „ლა სკალაში“ პირველი წარმატებიდან ცოტა ხნის შემდეგ იტალიაში რივოლ-დელ-გარდაში მომღერალთა ცნობილ ფესტივალზე მიმიწვიეს. ხოზეს მთავარი პარტია ვიმღერე ბიზეს „კარმენიდან“. მიქაელას როლში მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ნატალია უშაკოვა გამოდიოდა. არაერთხელ მომიხდა სიმღერა წარმოშობით ვორონეჟელი მომღერალ ირინა ლუნგუსთან ერთად. ისიც „ლა სკალას“ აკადემიაში გადიოდა სტაჟირებას. უკანასკნელად რუსეთელ კოლეგებს ასტანაში შევხვდი ფესტივალზე „ოპერის დღეები“. რეჟისორ იური ალექსანდროვის მიწვევით მე იქ მთავარი პარტია ვიმღერე პუჩინის ოპერაში „მადამ ბატერფლაი“.



რიკარდო („ობერტო“)

**— ბუსეტოში ჯ. ვერდის „სოციოლოგიური მწუხრის დაცვის“ პრემიერის შემდეგ პრესამ თქვენი ხმის მონაცემებს „შესანიშნავი“ უწოდა. „კარმენში“ თქვენი გამოსვლის შემდეგ კი გაზეთი „ტერენტინო“ წერდა, რომ თქვენმა სიმღერამ პუბლიკას „იტალიელი მომღერლების ოქროს ხანა“ გაახსენა. რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო?**

— საქმე მარტო ხმის ბუნებრივი თვისებები არ არის. თუ მე სამი წლის განმავლობაში მიწვევენ „ლა სკალაში“, ეს საკუთარ თავზე სწორი და თავდადებული მუშაობის შედეგია.

**— მართალია, რომ თქვენით თავად პლასიდო დომინგო ყოფილა აღტაცებული?**

— ეს მოხდა 2003 წელს პლასიდო დომინგოს მომღერალთა კონკურსზე შვეიცარიაში. კონკურსის ფინალისტისთვის მომზადებული მქონდა ტურიდუს პარტია მასკანის „სოფლის ღირსებიდან“. უკვე კონკურსის დამთავრების შემდეგ სახელოვანი ქართველი მომღერლის ლადო ათანელისგან გავიგე, რომ საკონკურსო დღეებს შორის შესვენებაზე ლონდონში მიფრინავდა გასტროლებზე. ერთ-ერთ გამოსვლაზე ათანელთან შეხვედრისას დომინგოს უთქვამს მისთვის, კონკურსზე ახალგაზრდა ქართველ ტენორს მოვუსმინეო. „ასეთი ტურიდუ მე ჯერ არ მომისმენია“, — გადმოცეს პლასიდო დომინგოს სიტყვები. ცხადია, ჩემთვის ასეთი ქება ყოველგვარ გრან-პრიზე ძვირფასი იყო.



რადამესი („აიდა“)

**— ვისი აზრი არის ცხოვრებაში ყველაზე ფასეული თქვენთვის?**

— რა თქმა უნდა, ჩემი მასწავლებლის ბატონ ნოდარ ანდღულაძის აზრი. მე დღემდე მის მოწაფედ მიმაჩნია თავი, თუმცა დროთა განმავლობაში ჩემი და მაესტროს ურთიერთობა დიდ, მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდა. მაესტრო ნოდარისგან სწავლა უსასრულოდ შეიძლება, ამ დროს ადამიანი საკუთარ თავში სულ ახალ-ახალ რაღაცას აღმოაჩენს. მე არასდროს უგულვებელმიყვია მისი რჩევები და არც არასდროს მინანია ეს. უფრო პირიქით. ერთხელ ირლანდიაში უექსფორდის ფესტივალზე სერგეი რახმანინოვის ოპერა „ძუნწ რაინდში“ სამღერლად მიმიწვიეს. უკვე დათანხმებას ვაპირებდი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც დავურეკე მაესტროს. და როგორც გაირკვა, სწორედ რომ დროულად მოვიქცეულვარ ასე. თურმე ეს არია ვოკალურ რეპერტუარში ერთ-ერთ ყველაზე რთულად ითვლება და არცთუ კარგად აისახება ხმის იოგებზე. ასე რომ, ამ არიას მსოფლიოში ცნობილი მომღერლებიც კი დიდი შიშით მღეროდნენ.

**— რით განსხვავდება ჩვენი მაყურებელი დასავლური პუბლიკისგან?**

— დასავლური პუბლიკა მოსმენის საოცარ კულტურას ფლობს. სცენაზე რომ იმყოფები, დარბაზს, მის სუნთქვას საოცრად კარგად გრძნობ. შემსრულებელს ეს უზარმაზარ სტიმულს აძლევს. ჩვენთან კი ჯერჯერობით სპექტაკლის დროს მობილურების გამორთვაც კი ვერ ისწავლეს. რომელ შთაგონებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც პირველი რიგებიდან მობილური ტელეფონების ზარის მელოდიები ისმის. მეორე მხრივ, დასავლეთში ადამიანები ზოგჯერ ძალიან შორიდან ჩამოდიან სპექტაკლის პრემიერაზე დასასწრებად და ამა თუ იმ მომღერლის მოსასმენად. ბილეთების ფასები საკმაოდ მაღალია და ბუნებრივია, პუბლიკა ძალზე მომთხოვნია.

**— რა რჩევას მისცემდით დამწყებ მომღერლებს?**

— პირველ რიგში, რაც შეიძლება ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ კონსერვატორიაში სწავლის წლები. როდესაც თბილისის კონსერვატორიაში ისეთი რანგის პროფესორები გვყავს, როგორიც მაესტრო ნოდარ ანდღულაძეა, ახალგაზრდა ვოკალისტებს შეუძლიათ არ ილელვონ. თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა ცნობილ მუსიკოსებსაც უნდა ეჩვენონ. დღეს ყველას არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ საამისოდ საზღვარგარეთ გაემგზავროს. მინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ რამდენიმე თვის წინათ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობის მოწვევით, დედაქალაქში იმყოფებოდნენ „ლა სკალას“ საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლუკა ტარჯეტი და ცნობილი მუსიკალური აგენტი გაბრიელი (გაბრიელი ცნობილია, როგორც წარსულში ლუჩანო პავაროტის ცნობილი სააგენტოს „Prima International“ წევრი). რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, შეხვედრის ჩარჩოებში გაჩნდა წინადადება თბილისის ოპერის თეატრში სააგენტოს („ლა სკალას“ ოფიციალური წარმომადგენლობის) გახსნის თაობაზე, სააგენტოს მიზანია მთელი სამხრეთ კავკასიის ნიჭიერი მომღერლების მოსმენა და შერჩევა. ასე რომ, მალე ჩვენს მომღერლებს უცხოეთში გასამგზავრებელი ბილეთისთვის ფულის შეკოწიწება აღარ მოუწევთ.

**— და მაინც, რა არის, თქვენი აზრით, მთავარი, როდესაც ოპერის მომღერლის წარმატებულ კარიერაზეა ლაპარაკი?**

— მე ვფიქრობ, რომ ყოველი მომღერალი, რომელმაც წარმატებას მიაღწია, თავისებურად გიპასუხებთ ამ კითხვაზე. პირადად მე მიმაჩნია, რომ გარდა კარგი ბუნებრივი მონაცემებისა, ცოტა იღბალიც უნდა გქონდეს. ცხოვრებაში მთავარი ხომ ის არის, რომ საჭირო ადგილზე საჭირო დროს აღმოჩნდე.

**ეკა ყუფარაძე**

◎ საეკლესიო კალენდარი

# წმინდა მოწამე აშოტ დიდი კურაპალატი, არტანუჯის ტაძარში ნამეგული





**11 თებერვალს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდა დიდ მოწამე აშოტ კურაპალატს იხსენიებს, რომელიც ღვთის ნებით სამხრეთ საქართველოს ერისმთავრად დაადგინეს დაახლოებით 786 წელს.**

წმინდა მოწამემ ბრძოლა დაიწყო საქართველოს გაერთიანებისათვის. მან აღადგინა წმინდა კეთილმსახური მეფის ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული არტანუჯის ციხე, მის მახლობლად ქალაქი ააშენა და კლარჯელ ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა იგი. გარდა ამისა, ააგო წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია, ჩამოაყალიბა ლიტერატურული სკოლები, ააშენა მონასტრები. ამ ეროვნული საქმის კეთებაში მისი თანამოსაგრე იყო ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი, „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“.

... ბრძოლაში შეუდრეკელი აშოტი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ეკლესიის მსახურებს.

წმინდა აშოტ კურაპალატი, ღირსი გრიგოლ ხანძთელის კეთილ საქმეს მატერიალურადაც შეეწია. „შესწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“.

... აშოტ კურაპალატი მოწამებრივად აღესრულა. ის ტაძარში მოკლეს მოღალატეებმა „მახვილითა საკურთხეველსა ზედა“. წმინდა მოწამის, აშოტ დიდის ნეშტი მის მიერვე აგებულ პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში დაკრძალეს.

**12 თებერვალს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც იხსენიებს სამ დიდ მამას, სარწმუნოების ბურჯებს – წმინდა ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს.**

... თავიდან მათი ხსენება სხვადასხვა დღეს იყო დაწესებული. იმხანად კონსტანტინოპოლში ცხარედ კამათობდნენ, თუ ვისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა ამ სამი მღვდელმთავრიდან. ერთნი ბასილი დიდს მიიჩნევდნენ. უპირატესად, მეორენი – გრიგოლ ღმრთისმეტყველს, სხვები იოანე ოქროპირს. ამ მიზეზით ქრისტიანებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა... ვითარება მეტისმეტად დაიძაბა... ღვთის ნებით, სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და განუცხადა: ჩვენ თანასწორი ვართ უფლის წინაშე, შეწყვიტეთ დავა და ერთ დღეს დააწესეთო ჩვენი ხსენება...

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ**

◎ ეს ჩვენი თბილისია

***XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისში მტკვრის მარცხენა მხარეს, რიყესთან საკმაოდ დიდი კლდოვანი მთა არსებობდა. დღეს ამ კლდოვან მთაში სამანქანო გზა გადის, რითაც ავლაბარი და ქალაქის ცენტრი ერთი მეორეს უკავშირდება. ამ გზის გაყვანიდან თითქმის საუკუნენახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ ის პიროვნება, ვინც ეს გზა გაიყვანა, რატომღაც დავიწყებას მიეცა და არავის აღარ ახსოვს. ეს კი არადა, ამ მართლაც დიდებულ საქმეს ჯერ მთავარმართებელ პავლე ციციანოვს მიაწერდნენ, შემდეგ კი კომუნისტებმა აღმართს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი უწოდეს და იქვე მისი ძეგლიც დადგეს.***

# ციციშვილის და არა ბარათაშვილის აღმართი



სინამდვილეში არც ერთი იყო სწორი და არც მეორე. ახლა ჭეშმარიტების დადგენისათვის ცოტა ისტორიაშიც ჩავიხედოთ. ჯერ გავარკვიოთ, თუ ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ ციციშვილთა გვარის წარმომადგენლები: პავლე და ფარსადენი. როგორც ცნობილია, პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი 1802-1806 წლებში კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა. 1806 წელს ის ქალაქ ბაქოსთან მოკლეს. 1912 წელს მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩიმ პავლე ციციანოვის ნეშტი ბაქოდან თბილისში ჩამოასვენა და სიონში დაკრძალეს.

ფარსადან ციციშვილი კი იყო ბიძაშვილისშვილი პავლე ციციანოვისა, ოღონდ ქართულად აღზრდილი. პავლე ციციანოვის პაპა – პაპუნა და ფარსადანის პაპა ქაიხოსრო ძმები ყოფილან. სწორედ ფარსადანმა გადაწყვიტა თბილისში კლდოვანი მთის გაჭრა და სამიმოსვლო გზის გაყვანა.

1808 წელს ფარსადან ციციშვილმა, ეგზარქოს თეოფილაქტეს თხოვნით, მოღვაწეობა დაიწყო ქართულ ეკლესიაში. XIX საუკუნის 20-იან წლებში ფარსადან ციციშვილი პეტერბურგს გაემგზავრა და ისეთ სახელოვან მამულიშვილებს უკავშირდება, როგორებიც იყვნენ იონა ხელაშვილი და სოლომონ დოდაშვილი. მალე ის საეკლესიო ხელისუფლებამ კათალიკოს ანტონ მეორის სამსახურში მიიწვია (ამ სამსახურისათვის შემდეგ მას დაენიშნა 500 მანეთის რაოდენობის პენსიაძ. თბილისში დაბრუნებისთანავე მან აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო. მისი ინიციატივით თბილისში, რიყეში აშენდა საცხოვრებელი სახლი. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, მისი ინიციატივითა და სახსრებით შეაკეთეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც იყო ვახტანგ მეხუთის (შაჰნავაზისძ ასულის ელენეს მიერ აშენებული, 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის დროს დაინგრა და დიდხანს იდგა გაუქმებული და უმოქმედო. „1835 წელს ფარსადან ციციანოვმა დააკერა კედლები: საყდარი ესე დაჰყვა სახლსა შინა მისსა“ (პლატონ იოსელიანიძ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ფარსადან ციციშვილის მიერ რიყედან ავლაბრისაკენ მიმავალი გზის გაჭრა კლდოვან მთაზე. ამ მეტად რთული და ძნელად გასაჭრელი გზის გაყვანას ბევრი თანხა და დიდი დრო დასჭირდა. საბოლოოდ სამუშაოები 1845 წლის დასაწყისში დამთავრდა. სამწუხაროდ, გზის ექსპლუატაციაში გადაცემიდან ექვსი თვის შემდეგ ფარსადან ციციშვილი გარდაიცვალა და ზოგიერთი ჩანაფიქრის განხორციელება ველარ მოასწრო. იმდროინდელმა თბილისის თვითმმართველობამ დააფასა ფარსადან ციციშვილის ღვაწლი და მის საპატივცემულოდ ამ გზას „ციციანოვის აღმართი“ ეწოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, სრულიად უმიზეზოდ, გააქრო ამ პიროვნების ესოდენ დიდი ამაგი და აღმართს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი უწოდეს. ეს მოქმედება რომ გაემართლებინათ, მოგვიანებით აღმართის დასაწყისში პოეტის ძეგლიც კი დადგეს. ნიკოლოზ ბარათაშვილს აღიარება და დაფასება არ აკლია. ეს, რაც თავის დროზე კომუნისტებმა გააკეთეს, სრულიად ზედმეტია, შეცდომა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. მას „ციციშვილის აღმართი“ უნდა ეწოდოს. ამავე დროს ფარსადან ციციშვილის სახელის უკვდავსაყოფად იქ სათანადო მემორიალური დაფაც უნდა გაკეთდეს. აი, ასეთი პიროვნება გახლდათ ფარსადან ციციშვილი, რომლის სახელი თბილისის ამ ერთ-ერთ ძველ უბანს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს.

**დურმიშხან ცინცაძე**

◎ შესახსენებლად

# სოხუმი საუკუნის წინათ

**ზოგიერთთათვის საინტერესო იქნება შესახსენებლად, თუ რას წარმოადგენდა თავისი, კერძოდ, მოსახლეობით თუნდაც ასი წლის წინათ XIX საუკუნის მიწურულს ქ. სოხუმი.**

**ამ შემთხვევაში დავესესხები მწერალს, ეთნოგრაფს, პუბლიცისტსა და, რაც მთავარია, დიდ საზოგადო მოღვაწეს თედო სახოკიას (1808-1956ძ. მოვიყვან ციტატებს მისი ავტობიოგრაფიიდან, საიდანაც კარგად ჩანს ე. წ. აბხაზთა „დედაქალაქის“ ეროვნულობა (თ. სახოკია. კრებული მეცნიერება, 1969. გვ. 223-224ძ.**



„1898-1900 წლები სოხუმში გავატარე. ეს წლები ჩემს სიცოცხლეში ითვლება იმხანად, როცა მართლაც რომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. თავი სრულებით არ მეზოგებოდა და მთელი ახალგაზრდულის აღფთოვანებით და თავდავიწყებით ვებრძოდი რუსის იმპერიალიზმის მიერ ჩვენის ქვეყნისა და ქართველი ხალხის გამარუსებელ პოლიტიკის გატარების საქმეს.

სოხუმში იმ დროს მეგრელობა და საერთოდ ქართველობა შეადგენდა ამ ქალაქის მცხოვრებლების 80 პროცენტს. ქალაქის უძრავი ქონების პატრონები ქართველები იყვნენ. ვაჭრობის ტონის მიმცემნიც მეგრელები იყვნენ. სამაგიეროდ ადმინისტრაციაში, სულმდაბალ მოსამსახურიდან მოკიდებული, ოლქის უფროსამდე სულ უვიც, ტლანქ მექრთამე რუსის მოხელეებსა (ჩინოვნიკებსაძ ნახავდით. სასულიერო უწყებაც რუსებისაგან შესდგებოდა. ეპისკოპოსი რუსი იყო, გარშემოც რუსის მღვდლები ეხვია. მთლად სოხუმის ოლქში მეგრელობა მცხოვრებთა 80 პროცენტს შეადგენდა.

საუკეთესო და უებარ საშუალებად ამა თუ იმ ერის გადაგვარებისა, ეროვნული სახის წართმევისა ითვლებოდა სკოლა. და აჰა, საქართველოს ამ განაპირას მცხოვრებთა გარუსების მისიონერები როგორც სახორციელო, ისე სასულიერო უწყებისანი **ხსნიან სკოლებს მეგრელებისათვის იმ ანგარიშით, რომ ამ სკოლებში მოსწავლეთ არ გაიგონ, რომ ისინი ქართველები არიან...** სასულიერო უწყების მეთაურსაც (ეპისკოპოსსძ არამცთუ სკოლებიდან ჰქონდა განდევნილი ქართული ენა, არამედ ცდილობდა ეკლესიებიდანაც განედევნა, ყოველსავე შემთხვევაში, სოხუმის საკათედრო ტაძარში სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოზს სრულებით ბუნებრივად და კანონიერად მიაჩნდა სლავურის უცოდინარ ქართველებისათვის მის გასაგებ სამშობლო ქართულ ენაზე არ მოესმინებინა წირვა-ლოცვა.

* * *

**1899 წლამდე სოხუმში ქალაქის მეურნეობა და პატრონობა პოლიცმეისტერის ხელში იყო. მთელს რუსეთის იმპერიაში მარტო სოხუმში იყო დარჩენილი რუს მწერალ გოგოლის დროის სახელი პოლიცმეისტრისა – გოროდნიჩი.**

მხოლოდ 1899 წ. გაუქმდა გოროდნიჩნობა და გაიმეტა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სოხუმისათვის თვითმართველობის შემოღება. შედგენილი იქნა სია ხმოსნების ამომრჩეველთა. კარგა ხანმა განვლო, სანამ ეს ამომრჩეველთა სია დამტკიცდებოდა. ამას მოჰყვა ხმოსნების არჩევნები. ესენიც აირჩიეს. 33 ხმოსანში ქართველი იყო 26 კაცი, დანარჩენნი რუსი და ბერძენი. ეს სიაც დაამტკიცა ქუთაისის გუბერნატორმა“.

* * *

**აქ საინტერესო ის არის, რომ განვლილმა საუკუნემ, კაცობრიობის განვითარების ვეებერთელა პროგრესმა ვერ შესცვალა რუსთა იმპერიული ზრახვანი.**

ნუთუ მართალია ხალხური სიბრძნე: ძაღლის კუდი არ გასწორდებისო?!

**ნოდარ კოჭლაშვილი**

ჩანართზე მუშაობდნენ:
ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.



# რისი ეშინია გრიპს



**ბოლო წლებში გრიპის ეპიდემია ზამთრის სეზონის დამახასიათებელ თავისებურებად იქცა. გრიპის გამომწვევი არის ვირუსი, რომელიც ზემო სასუნთქი გზების ლორწოვან გარსში მრავლდება და ხველების, ლაპარაკის, ცხვირის ცემინების დროს ჰაერის და წვეთების გზით ვრცელდება. გრიპი არც სქესს ირჩევს და არც ასაკს.**

**დაავადების მთავარ სიმპტომებს განეკუთვნება მაღალი ტემპერატურა, საერთო სისუსტე, თავისი ტკივილი. ტკივილები საფეთქლებისა და შუბლის არეში, ტეხვა სახსრებსა და კუნთებში, რასაც მოსდევს სურდო, ხველა, ხმის ჩახლეჩვა.**

## ხალხური მედიცინა გვირჩევს

ავადმყოფობის საწყის ეტაპზე კარგია ცხელი აბაზანის (დაახლ. 40 გრადუსიძ მიღება. რეკომენდებულია წყალში არყის ხის ფოთლების ან კრაზანას ნაყენის ჩამატება. საბააზანოდან გამოსვლის უმალ კარგად ჩაითბუნეთ და 30-40 წუთის განმავლობაში თბილ საბანქვეშ ოფლი მოიდინეთ. ასეთ დროს სასურველია თაფლიანი ან ჟოლოიანი ჭიქა ცხელი ჩაის დალევა.

კარგ ეფექტს იძლევა დაავადების პირველ საათებში მდოგვიანი აბაზანები ფეხებისთვის (ერთი ვედრო წყალზე 1 სუფრის კოვზი მშრალი მდოგვის ფხვნილიძ. წყალი ძალიან ცხელი უნდა იყოს. 10-15 წუთიანი აბაზანის შემდეგ ჩაიცვით თბილი წინდები, დალიეთ ცხელი ჟოლოიანი ჩაი და მაშინვე დაწექით ლოგინში.

ერთი ასეთი პროცედურაც გიშველით: დაალბეთ მდოგვის საფენები თბილ წყალში, რამდენიმე საფენი მდოგვიანი მხარით დაადეთ ერთმანეთს და ნებისმიერი მხარით მიადეთ ავადმყოფს მკერდსა და ზურგზე, მერე კი კარგად ჩაათბუნეთ იგი. მდოგვის საფენები 30 წუთი მაინც უნდა გაიჩეროთ. ხერხემალსა და ნეკნებს ქვევით ასეთი საფენების დადებას არ გირჩევთ.

## თავიდან აცილება უფრო ადვილია, ვიდრე მკურნალობა

გრიპის თავიდან ასაცილებლად მის პროფილაქტიკას წინასწარვე უნდა შეუდგეთ. გრიპის პროფილაქტიკის ერთ-ერთ ყველაზე მარტივ და ეფექტურ საშუალებას ოთახის განიავება წარმოადგენს. 10 წუთიანი ენერგიული განიავება 85-90 პროცენტით ამცირებს ჰაერში პათოგენური ვირუსებისა და სხვა მიკროორგანიზმების კონცენტრაციას. დადგენილია, რომ კარგად განიავებულ საკლასო ოთახებში მოსწავლეთა გრიპით დაავადება 1,5-2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იმ კლასებში, სადაც ცუდი ვენტილაციაა.

ადამიანის ორგანიზმმა ოდითგანვე გამოიმუშავა გარემოს რიტმულ ცვლილებებთან შეგუების ჩვევა. ამ რიტმის დარღვევის შემთხვევაში ხდება ორგანიზმის დეზაპტაცია და ის სხვადასხვა დაავადებების მიმართ ნაკლებად მედეგი ხდება. განსაკუთრებით საშიშია ამინდის მკვეთრი ცვლილებები. ამიტომაც სახლიდან გამოსვლის წინ აუცილებლად დახედეთ თერმომეტრს ან მოუსმინეთ ამინდის პროგნოზს და ჩაიცვით არა წლის სეზონის, არამედ ამინდის შესაბამისად. ტემპერატურის რეცეპტორები თავმოყრილია ხელის მტევნებზე, ფეხის ტერფებზე, კისერსა და თავზე და მაშასადამე, სწორედ სხეულის ეს ნაწილები უნდა გვქონდეს თბილად.

ეცადეთ შეძლებისდაგვარად აარიდოთ თავი ნერვიულობისა და სტრესულ სიტუაციებს. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თუ ადამიანი დათრგუნულია, დეპრესიაშია, მისი ორგანიზმი ყველა დაავადებისთვის და მათ შორის გრიპის ვერაგი ვირუსებისთვის ადვილი ნადავლი ხდება. ორგანიზმის დასუსტებას უძილობა და გადაღლილობაც იწვევს, ანუ ამ შემთხვევაშიც გრიპის ვირუსი უფრო იოლად დაგიმორჩილებთ. ამიტომაც ყურადღება მიაქციეთ სრულყოფილ ძილსა და დასვენებას.

მოგეხსენებათ, ზამთარში სწორი კვების პირობებშიც კი ჩვენს ორგანიზმს ვიტამინები აკლდება, ამიტომაც უფროსებს ვურჩევთ ვიტამინების აბების ან კაფსულების სახით, ბავშვებს კი აფთიაქში შეძენილი ვიტამინური სიროფების სახით მიღებას. დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს შავი მოცხარი, ამიტომ კარგი იქნება თუ ამ კენკრას ან მის საფუძველზე დამზადებულ სამკურნალო სასმელებს მიეძალებით. ძალიან სასარგებლოა გრიპის საწინააღმდეგო სხვადასხვა ჩაი. გთავაზობთ ერთ-ერთი ასეთი ჩაის დაყენების რეცეპტს. აიღეთ თანაბარი რაოდენობის ცაცხვის ყვავილი, კრაზანას ყვავილები, სამკურნალო გვირილის ყვავილები და კარგად დაქუცმაცებული ასკილის ნაყოფი, ერთ სუფრის კოვზ ამ ნარევს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, თბილად შეფუთეთ, 20 წუთის შემდეგ კი ნაყენი ცეცხლზე შემოდგით, 5 წუთი თავდახურული ადუღეთ ნელ ცეცხლზე, მერე გადმოდგით და კვლავ თბილად შეფუთეთ, 1 საათის შემდეგ გაწურეთ. გრიპის ეპიდემიის დროს ასეთი ჩაი დღეში 2-ჯერ ჭამის შემდეგ უნდა მიირთვათ 0,5 ჭიქის რაოდენობით, კარგი იქნება, თუ ცოტა თაფლსაც დაუმატებთ.

შეგიძლიათ გრიპის საწინააღმდეგო ჩაისთვის ტირიფის ხის ქერქი, გვირილის და ცაცხვის ყვავილები და ასკილის ნაყოფი გამოიყენოთ. 1 ჩაის კოვზ ამ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, 10 წუთის შემდეგ ნაყენი გაფილტრეთ, გაწურეთ და თბილი სახით დღეში 3-ჯერ 1/3 ჭიქის რაოდენობით ჭამამდე 15 წუთით ადრე სვით.

აღმოსავლურ და ტიბეტურ მედიცინაში გრიპის საწინააღმდეგოდ ჟოლოს ტოტებსაც იყენებენ. ერთ სადილის კოვზ წვრილად დაჭრილ ამ ტოტებს უნდა დაასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღოთ 10-20 წუთი და 2 საათის განმავლობაში დააყენოთ. ნაყენი უნდა სვათ პატარ-პატარა ყლუპებით, ოღონდ ხშირ-ხშირად.

ეპიდემიის დროს ევკალიპტის ნაყენის მიღებაც სასარგებლოა და კოთხუჯის ფესვის ღეჭვაც. ევკალიპტის ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: 20 გ. გამხმარ, დაქუცმაცებულ ევკალიპტის ფოთოლს უნდა დაასხათ 100 მლ. სპირტი, მჭიდროდ დაახუროთ თავი, დააყენოთ 10 დღის განმავლობაში, მერე კი გაწუროთ. ნაყენი დღეში 3-ჯერ წყალთან ერთად 25-25 წვეთის ოდენობით უნდა მიიღოთ.

საუცხოო პროფილაქტიკური საშუალებაა ჩვეულებრივი ვაშლი. მის შემადგენლობაში შემავალი მიკროელემენტები და ვიტამინები ბლოკავს გრიპის ვირუსის გავრცელებას. შემჩნეულია, რომ ადამიანებში, რომლებიც დღეში 2-3 ვაშლს ჭამენ, გრიპით დაავადების ალბათობა 3-ჯერ მცირდება.

ნაცადი ხალხური საშუალებაა ჟოლოს ნაყოფი და ცაცხვის ყვავილი. თანაბარი რაოდენობით აურიეთ ისინი, ერთ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, 30 წუთი გააჩერეთ, მერე კი მიირთვით თითო ჭიქა ცხელი ნაყენი დღეში 2-3-ჯერ.

## ნივრის რეცეპტები



**ნიორი კვლავაც რჩება გრიპთან საბრძოლველ ეფექტურ საშუალებად. ძალიან სასარგებლოა დანაყილი ნივრის ფიტონციდების შესუნთქვა (დღე-ღამეში 2-3-ჯერ 10-15 წუთის განმავლობაში, აგრეთვე ცხვირის ლორწოვანზე) ნივრის წვენის პერიოდულად წასმა.**

**როგორც წესი, გრიპს სურდო ახლავს ხოლმე. სურდოსგან თავის დასაღწევად ასეთ რეცეპტს გთავაზობთ:**

**დანაყეთ 1-2 კბილი ნიორი, დაასხით 2-3 სუფრის კოვზი ცივი წყალი, გააჩერეთ 1-2 საათი, მერე გაფილტრეთ და ცხვირში ჩაიწვეთეთ (6-8 წვეთი თითო ნესტოშიძ. ყოველდღე ახალ-ახალი ნაყენი მოამზადეთ.**

**შეგიძლიათ ახალდანაყილ ნიორში ბამბა დაასველოთ და ცხვირში ღრმად ჩაიდოთ ან წვეთ-წვეთ მიიღოთ ნივრის წვენი, ან სულაც მთელ პირში გამოისვათ იგი. წვეთების მოსამზადებლად 100 გრამ დანაყილ ნიორს ერთი ჭიქა წყალი დაასხით და კარგად შეანჯღრიეთ.**

**გრიპის დროს ძალიან სასარგებლოა დღეში 2-3 კბილი ნივრის ჭამა. ნივრის უსიამოვნო სუნის ჩახშობაში კი ოხრახუში დაგეხმარებათ. აქვე გვინდა გაგაფრთხილოთ, რომ კუჭ-ნაწლავის, თირკმელების და ღვიძლს გამწვავებული დაავადების დროს ნივრის ჭამა რეკომენდებული არ არის.**

## ბოლოკის სიკეთე

**გრიპის დროს შავი ბოლოკი შეუცვლელი საშუალებაა, ამაში თავად დარწმუნდებით, თუ ორ ხალხურ რეცეპტს გამოიყენებთ.**

**■გახეხეთ ბოლოკი სახეხზე, მიღებული მასა ტილოს ქსოვილზე ან რამდენიმედ დაკეცილ დოლბანდზე მოათავსეთ და ავადმყოფს მკერდზე ან ზურგზე დაადეთ, კომპრესს ზემოდან გასანთლული ქაღალდი დააფარეთ და ავადმყოფი ლოგინში ჩაათბუნეთ, 15-20 წუთის შემდეგ კომპრესი მოაცილეთ.**

**■ამოღრუტნეთ საშუალო ზომის ბოლოკი, ამოღრმავებულში მოათავსეთ თაფლი და ზევიდან ბოლოკისვე ნაჭერი დააფარეთ. 4 საათით დადგით თბილ ადგილზე, წარმოქმნილი წვენი დღეში 3-4-ჯერ 1 სუფრის კოვზის ოდენობით დალიეთ. (ბავშვების დოზა 1 ჩაის კოვზიაძ.**

# ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა გვექნება!

**ფრინველის გრიპი დიდი ხანია ცნობილია, ოღონდ ასეთი აგრესიული არასდროს ყოფილა. საგანგაშო ისაა, რომ მან ადამიანის ბარიერი გადალახა.**

რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ეპიდემიოლოგი, პროფესორი ევგენია სელკოვა ფიქრობს, რომ ფრინველის გრიპთან დაკავშირებული შიში ზევრწილად გადაჭარბებულია და ჩვეულებრივ ადამიანებს, მეცნიერთაგან განსხვავებით, შეშფოთების საბაბი არა აქვთ. მას ესაუბრება „Собеседник“-ის ჟურნალისტი (გაზეთის 24 იანვრის ნომერიძ.

***— დაავადებულთა რიცხვი თურქეთში უკვე ათეულობითაა. როგორია ამაზე თქვენი რეაგირება?***

— მშვიდი. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავ და არც მოველი. ეს გრიპი მხოლოდ იმათ გადაედოთ, ვისაც ავადმყოფ ფინველთან პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ. ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის ერთი შემთხვევაც კი არ არის რეგისტრირებული. მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია ამ ვირუსის შესახებ მთელ ინფორმაციას გულმოდგინედ აგროვებს.



***— გრიპით შინაური ფრინველის ავადობა ხომ ახალი ამბავი არ არის. მაშ რატომ ატყდა ახლა ამდენი ხმაური?***

— H5N1 ვირუსი, ფინველისას რომ უწოდებენ, მართლაც დიდი ხანია, რაც ცნობილია და შინაურ ფრინველებს შორის მიმოდის — ის ჯერ კიდევ 100 წლის წინათ აღმოაჩინეს იტალიელმა სწავლულებმა; თუმცა ახლანდელივით აგრესიული არ იყო — შიშსაც ეს იწვევს. რატომ შეიცვალა? ჯერ ერთი, გრიპი საერთოდ აგრესიული ვირუსია, სულ მუტაციას განიცდის. მეორეც, H5N1 ადამიანის წინააღმდეგობას ვერ ხვდება. ვირუსმა პირველად გაარღვია ადამიანის ტიხრი და ეს ნამდვილად შემაშფოთებელი სიგნალია, მაგრამ დრო მიდის და ჩვენ გვაქვს კარგად მომზადების შესაძლებლობა.

***— თურქეთში ვერ მოასწრეს. ვინ უწყის, შემდეგ ჯერზე სად იჩენს თავს ეს ფრინველის გრიპი...***

— სამხრეთის ქვეყნებს თავისებურებები ახასიათებთ. იქ მიღებულია ცოცხლად ფრინველის ყიდვა ბაზარზე და საერთოდ ისეც ხდება, ფინველს ერთ შენობაში ამყოფებენ ადამიანთა გვერდით. ერთობ მჭიდროა კონტაქტი! თურქეთში, როგორც იტყობინებოდნენ, ბავშვები ეთამაშებოდნენ ქათმებს. რისი რჩევა შეიძლება აქ? ნუ თამაშობენ შინაურ ფრინველთან, უკვე დამუშავებული, გამოშიგნული იყიდონ. ჩვენ, როგორც წესი, საერთოდ არ გვაქვს კონტაქტი ცოცხალ ფრინველთან, ამიტომაც ადამიანთა უმრავლესობისთვის გადადების რისკი არ არსებობს. მართალია, ვხმარობთ საჭმელად, მაგრამ უმ ქათამს ხომ არავინ ჭამს, გრიპის ვირუსი კი ადუღების, მადეზინფიცირებელი საშუალებების ზემოქმედების აუმტანია — სწრაფად ილუპება.

ვფიქრობ, რომ პანიკის მიზეზები საერთოდ არა გვაქვს. გრიპის პანდემიის პერიოდებში, როცა სიკვდილიანობა მაღალი იყო, ჯერ კიდევ არ გვქონდა თავის დაცვისა და მკურნალობის ისეთი საშუალებები, როგორიც ახლაა მედიცინის განკარგულებაში. არსებობენ ეფექტიანი ვირუსსაწინააღმდეგო საშუალებანი: რემანტადინი, არბიდოლი, ბავშვებისთვის — ალგირემი. ზოგიერთი პრეპარატი, როგორც ბოლო გამოკვლევებმა გვიჩვენა, H5N1 ვირუსის წინააღმდეგაც მოქმედებს — ეს გახლავთ შვეიცარიული ტამიფლიუ, ჩვენი სამამულო არბიდოლი. მოვა დრო და ვაქცინაციის შესაძლებლობა გაჩნდება — არც მეეჭვება, რომ ფრინველის გრიპისაგან დასაცავი ვაქცინა გვექნება.

***— ვაქცინაზე ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობენ, გვპირდებიან, მალე გამოჩნდებაო, ჩვენი ექიმებიც იმედიანად არიან. ლაპარაკი ფრინველების აცრაზეა თუ ადამიანებისა?***

— ვაქცინა ფრინველებისთვისაც არის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საუბარია H5N1 ვირუსის საწინააღმდეგოზე, რომელიც რისკის ჯგუფის ადამიანებისთვის არის განკუთვნილი. ის მართლაც უკვე არის შემუშავებული გრიპის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და ამჟამად გამოცდების ბოლო სტადიას გადის.

***— მანამდე რა ქნას ხალხმა?***

— რასაც ჩვეულებრივი გრიპით დასენიანების დროს შვრება, ყველაფერი! დაიცვას ეპიდემიისსაწინააღმდეგო რეჟიმი, კერძოდ, განიავებისა და ნილბის ტარების რეჟიმი, განსაკუთრებით ორსულები უნდა აკეთებდნენ ამას, ნილბის წამოცმისა არ უნდა რცხვენოდეთ. ჩატარდეს ინფიცირების პროფილაქტიკა: გამოვლება, ცხვირის ლორწოვანის წაცხება, მაგალითად, ჩაის ხის ზეთით, არც ოქსოლინის საცხს უშავს რამე. ეს ამცირებს ნებისმიერი გრიპის შეყრის რისკს.



პროგნოზების მიხედვით, ჩვეულებრივი გრიპით ავადობის პიკმა იანვრის ბოლოს უწია, მაგრამ ახლაც არ იქნება ზედმეტი აცრა. ვისაც შინაური ფრინველი ჰყავს, დააკვირდეს მის მდგომარეობას. დასნეულებული ხელად გამოირჩევა — მოდუნებულია, არ დადის, არ დაფრინავს, ჭუჭყიანი, აბურძგნული ბუმბული აქვს, შებერილი ჯირკვლები. უბრალოდ, ფხიზლად იყავით.

ქალაქებში გონივრული იქნება ზოოპარკების გაძლიერებული კონტროლი, აგრეთვე ცხოველთა სასკოლო კუთხეებისა, ტბორებისა, სადაც წყალმცურავი ფრინველებია. კონტროლი მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ ფრინველის გრიპის გავრცელების საშიშროება რჩება.

**უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით**

# ქრონოგრაფი

## 13 თებერვალი, 1895 წელი



**ძმებმა ლუი და ოგიუსტ ლუმიერებმა შექმნეს პირველი აპარატი, რითაც შესაძლებელი გახდა მოძრავი გამოსახულების მიღება.**

ეს იყო პირველი კომბინირებული კინოკამერა. გადმოცემით ლუი ლუმიერს კინემატოგრაფის შექმნის იდეა ერთ ღამეს მოუვიდა თავში, როდესაც უძილობით იტანჯებოდა. წლის მიწურულს ძმებმა საზოგადოებას წარუდგინეს თავიანთი ახალი გამოგონება, პარიზის კაფე „გრან კაფეში“, კაპუცინების ბულვარზე, ფასიანი კინოჩვენება მოაწყვეს. ეს იყო ფილმი „მატარებლის მოსვლა ვაგზალ ლა სოტაში“. სწორედ ამ ფილმით დაიწყო მსოფლიო კინოს ისტორია.

## 14 თებერვალი, 1989 წელი



**ირანის ისლამური რევოლუციის ღრმადმოხუცებულმა ბელადმა აიათოლა ჰომეინიმ გასცა ბრძანება, რათა სიკვდილით დაესაჯათ ინდოელი მწერალი სალმან რუშდი, რომელმაც თავისი „სატანური ლექსებით“ შეურაცხყოფა მიაყენა მთელ ისლამურ სამყაროს.**

ამ ბრძანებამ ყველასათვის უცნობ მწერალს საქვეყნო აღიარება და პოპულარობა მოუტანა. უფრო მეტიც – იგი მილიონერი გახდა. სალმან რუშდის წიგნი მსოფლიოს 26 ენაზე ითარგმნა და საერთო ტირაჟით 600 ათასი ეგზემპლარი გამოიცა. რუშდი მრავალი პრესტიჟული და საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა. ფუნდამენტალისტმა ფანატიკოსმა მუსულმანებმა მოკლეს იტალიელი წიგნების გამომცემი, ხოლო მძიმედ დაჭრეს ფრანგი გამომცემელი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რუშდის წიგნის გამოცემაში. თავად „სატანური ლექსების“ ავტორს ვერსად მიაგნეს.

## 15 თებერვალი, 1855 წელი



**პარიზის ობსერვატორიის დირექტორმა, ასტრონომ-თეორეტიკოსმა, 1846 წელს მზის სისტემის მერვე პლანეტის ნეპტუნის აღმომჩენმა ურბენ ლევერემ, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრებს წარუდგინა ევროპაში პირველი ამინდის პროგნოზის რუკა.**

მეცნიერების ისტორიაში პირველი სინოპტიკური რუკა შედგენილი იქნა ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან პარიზში ტელეგრაფით მიღებული ამინდის ბიუროს ცნობებზე დაყრდნობით. ლევერეს შრომამ დაამტკიცა, რომ სინოპტიკური რუკის საშუალებით შესაძლებელი იყო წინასწარ განესაზღვრათ როდის მოხდებოდა ძლიერი ქარიშხლები, შტორმები, წყალდიდობები. ზუსტად ერთი წლით ადრე ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის ახლოს ძლიერმა შტორმმა სრულიად გაანადგურა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ესკადრა. მეცნიერებმა აღიარეს, რომ თუ ამგვარი სინოპტიკური რუკა ექნებოდათ მაშინ, ესკადრა განადგურებას გადაურჩებოდა.

## 16 თებერვალი, 1945 წელი



**მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე ვენესუელამ ოფიციალურად გამოუცხადა ომი გერმანიასა და იაპონიას.**

1945 წლის თებერვლის ბოლომდე გერმანიას ომი რიგრიგობით გამოუცხადეს პარაგვაიმ, ეკვადორმა, პერუმ, ჩილემ, ურუგვაიმ, მოგვიანებით თურქეთმა, ეგვიპტემ, ლიბანმა, სირიამ და საუდის არაბეთმა.

## 17 თებერვალი, 1889 წელი



**ფრანგებმა ნაწილობრივ გაანადგურეს და ნაწილი კი ტყვედ აიყვანეს რუსეთის ჯარის მებრძოლები, რომლებიც მოულოდნელად შეიჭრნენ აღმოსავლეთ აფრიკის საფრანგეთის კოლონია სომალის (ამჟამინდელი ჯიბუტისძ ფორტ საგალოში.**

რუსების რაზმს სათავეში ედგა ავანტურისტი ნიკოლაი აშინოვი, რომელიც თავის თავს მის მიერვე მოგონილი და არარსებული ჩინით „თავისუფალი კაზაკით“ მოიხსენიებდა და სურდა თავისი სამშობლოსთვის პატარა კოლონია „ეჩუქებინა“. ამ თავდასხმას რუსეთიდან გაურკვეველი პირები აფინანსებდნენ. რუსული რაზმის განადგურება ფრანგების აზრით ხელს შეუშლიდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობას, ამიტომაც ფრანგი ელჩი ბოდიშის მოსახდელად ეწვია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ს, მაგრამ ყველასგან გასაოცრად იმპერატორმა არც იცოდა ამ ოპერაციის შესახებ, მან მხოლოდ ჩაილაპარაკა – „ჯანდაბამდის გზაც ჰქონიათო!“



დაუჯერებლია, მაგრამ ფაქტია – ეკატერინბურგელი ეკატერინე ზახაროვას შვილიშვილი ისრაელის კლინიკაში კიბოთი გარდაცვლილი მამის სიკვდილიდან 2 წლის შემდეგ დაიბადა.

# სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მითი არ არის

**ვიდრე ცოცხალი იყო, ბავშვის მამამ მოასწრო და საკუთარი სპერმა შესანახად თელ-ავივის კრიობანკში ჩააბარა (ეს 9 წლის წინათ მოხდაძ. ისრაელის საავადმყოფოებსა და ჰოსპიტლებში ეს აუცილებელი პირობაა ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობის კურსის დაწყების წინ. სამწუხაროდ, ეს მამაკაცი ვერ განიკურნა...**

ეკატერინე ზახაროვამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ბებია გამხდარიყო – თავისი ვაჟიშვილის გაყინული სასქესო უჯრედების რუსეთში ჩამოტანის ნებართვა მიიღო და საწადელსაც მიაღწია. ისრაელში მოქმედი კანონებით, მხოლოდ ცოლს შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია ადამიანის სხეულის ამ ნაწილზე (ბავშვიც ხომ ამ სხეულის ნაწილიაძ, ისიც მაშინ, თუ არსებობს გარდაცვლილი ადამიანის წერილობითი განკარგულება. ე. ზახაროვას ვაჟს ოფიციალური ცოლი არ ჰყოლია და ქალბატონ ეკატერინეს უამრავი ინსტანციის გავლა დასჭირდა იმისათვის, რათა ჩანაფიქრისთვის ხორცი შეესხა. ბოლოს კი, როცა ნებართვა მიიღო, მომავალმა ბებიამ ჭურჭელი გაყინული უჯრედებით ვერავის ანდო და თავად ჩამოიტანა იგი ეკატერინბურგში. ისრაელის აეროპორტში, სადაც მგზავრებისა და ტვირთების გასინჯვისას განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენენ, ჭურჭლის გახსნა მოსთხოვეს, ეს კი შეიძლებოდა დამღუპველი აღმოჩენილიყო უჯრედებისთვის. ქალბატონმა ეკატერინემ დაარწმუნა მებაჟეები, რომ ჭურჭელში არც რაიმე ქიმიური იარაღი იყო და არც ბიოლოგიური და შვილის სპერმა მშვიდობით ჩამოიტანა რუსეთში.

სპერმის მომზადება და განაყოფიერება ეკატერინბურგში მოხდა. ექიმების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სპერმა მოძველებული მეთოდით იყო გაყინული, ყველაფერი ყოველგვარი ტექნოლოგიური სირთულეების გარეშე ჩატარდა. სპეციალისტები უფრო სხვა რამემ გააოცა: თავად სიტუაციის უნიკალურობამ – მშობელი დიდი ხანია აღარ არსებობს, მისი გენები კი იცოცხლებს. გოშას სუროგატული დედა ატარებდა მუცლით. შვილიშვილის დაბადების ამბავი ე. ზახაროვას პირდაპირ სამშობიარო სახლის საოპერაციოდან ახარეს. როდესაც ბებიამ ტელეფონში შვილიშვილის ყვირილი გაიგონა, გული წაუვიდა. რუსეთის კანონმდებლობა მსგავს სიტუაციაში ნათესაური კავშირების დადგენას არ ითვალისწინებს, ამიტომაც ბებია იძულებული გახდა, შვილიშვილი ეშვილა.



ერთ-ერთი მსგავსი სიტუაცია დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო ჟურნალშიცაა აღწერილი. ონკოლოგიურმა ავადმყოფმა მამაკაცმა მკურნალობის დაწყების წინ სპერმა საკონსერვაციოდ ჩააბარა და 12 წლის შემდეგ ისარგებლა მისით, ამ შემთხვევაში მამა შვილის დაბადებას მოესწრო.

რაც შეეხება ახალშობილ გოშას, მისი ბებიის თქმით, ბიჭი ზედგამოჭრილი მამამისია. როდესაც გოშა წამოიზრდება, ქალბატონი ეკატერინე შვილიშვილს მისი ამქვეყნად მოვლინების დაუჯერებელ ისტორიას დაუფარავად უამბობს.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## მეცნიერების სიახლენი

### კოსმოსის რაინდები

**ევროპა დაიცავს დედამიწას მეტეორიტებისაგან: ამ კონტინენტის კოსმოსური სააგენტოს სპეციალისტებმა ორი ასტეროიდი აირჩიეს, რათა დედამიწის მეტეორიტთსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა გამოსცადონ.**

ობიექტებს უწოდეს 2002 $AT_4$“ და 1998 ML. საბოლოოდ ერთ-ერთს აირჩევენ, ოღონდ – 2007 წელს. წლეულს კი დაინიშნა სტარტი მისიისა „დონ კიხოტი“: აპარატები „იდალგო“ და „სანჩო“ არჩეული სამიზნისკენ გაემართებიან, რის შემდეგ „იდალგო“ ასტეროიდს შეეჯახება, „სანჩო“ კი „სეირს“ უყურებს.

დარტყმის მეშვეობით ნავარაუდევია ციური სხეულის ორბიტის ერთგვარი შეცვლა. ექსპერიმენტი მნიშვნელოვნად ითვლება 2029 წლის მოლოდინში, როცა დიდმა ასტეროიდმა 2004 MN დედამიწის უშუალო სიახლოვეს უნდა ჩაიქროლოს. ეს „უშუალო სიახლოვე“ სულ რაღაც 32000 კილომეტრს ნიშნავს...





### ზღვის საშინელება

**მოპოვებულია ცოცხალი გიგანტური კალმარის პირველი ფოტოსურათები. ტოკიოს ეროვნული სამეცნიერო მუზეუმის მკვლევარებმა ცოცხალი ურჩხული – რვამეტრიანი კალმარი დაიჭირეს.**

აქამდე ასეთ ცხოველებს ან ზღვის სიღრმეებიდან ამოათრევდნენ ბადეებით, ან მკვდრებს წააწყდებოდნენ ნაპირებზე. იაპონელებმა კი გიგანტს იმ მომენტში გადაუღეს, როცა სატყუარას – კამერების გვერდით გადმოკიდებულ თევზუნას უტევდა. კალმარმა შესძლო ნემსკავიდან დასხლტომა, თუმცა ბადეებზე მოწყვეტილი საცეცი დასტოვა.



## უცხოპლანეტელები 11-ჯერ ჩამოფრინდნენ

# წრეები მინდვრებში: საიდუმლო მალე გაცხადდება

**საუბარი კვლევითი გაერთიანება „კოსმოპოისკის“ კოორდინატორთან ვ. ჩერნობროვთან**



### ძაღლები ცას უყეფდნენ

**— ბოლოს და ბოლოს ნახეთ უცხოპლანეტელები? თუ ეს სახელისა და პრესის ყურადღების მაძიებელი ფერმერები იყვნენ?**

— თანმიმდევრობით მოგიყვებით. ის ჩვენი ექსპედიცია (45 ადამიანი) კრასნოდარის მხარის სოფელ ნოვოკუბანსკში მოეწყო, იქ სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ყოველწლიურად ჩნდება წრეები თუ სხვა გამოსახულებები, პიქტოგრამები. გასული წლების კანონზომიერებიდან გამომდინარე, გამოვთვალეთ მათი გაჩენის დრო — ეს უნდა მომხდარიყო 17 ივნისს, დაახლოებით ღამის ორის ნახევარზე. იმის წინასწარმეტყველება კი, სახელდობრ სად გაჩნდებოდა ნოვოკუბანსკის რაიონში ეს წარმონაქმნები, რთული იყო.



მოვაწყეთ სათვალთვალო პუნქტები — კოშკურაზე, კლდის ქიმზე, სადაც არემარე 20 კილომეტრის მანძილზე მოჩანს, სხვა მოხერხებულ ადგილებში. დაახლოებით ღამის პირველ საათსა და 15 წუთზე ირგვლივ ყველა ძაღლმა ყეფა ატეხა. ჩვენი ბანაკიდან ძაღლების ხროვა სადღაც გაქანდა. მერე კი შევამჩნიეთ, რომ ყველა ძაღლი ცას უყეფდა, რამდენიმე წუთში ისინი დაწყნარდნენ.

და აი პირველ საათსა და 24 წუთზე, ჩრდილო-დასავლეთით დავინახეთ, რომ დედამიწას რაღაც ნათება, უფრო სწორად, განათებული ბურთი მოსწყდა და ცისკენ იწყო ამაღლება. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ადრე დედამიწაზე შეუმჩნევლად დაშვებული ვერტმფრენი თუ სხვა რამ, ახლა ისევ ცაში მიფრინავდა. როდესაც გათენდა, ჩვენ იმ მიმართულებით გავეშურეთ და ადგილობრივ ავიატორებს მივმართეთ. მათ დაგვარწმუნეს, რომ ღამე არ შესრულებულა არც ერთი სანქცირებული ფრენა და თვითმფრინავიც გამოგვიყვეს. როგორც კი ავფრინდით, ძირს ერთი წრე, უფრო ზუსტად კი, ჩებურაშკას მსგავსი ფიგურა შევნიშნეთ, ხოლო ცოტა მოცილებით მეორე წრეც დავინახეთ.

***— ვის ეკუთვნის ეს მინდორი?***

— ეს ფერმერული მეურნეობაა, მინდორში იონჯაა დათესილი, რადგან ეს მცენარე განტოტვილია, პიქტოგრამები მთლად მკაფიოდ არ ჩანდა. სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანაში იონჯის ნათესში ფიგურები პირველად გაჩნდა, ადრე ისინი პურის, ჭვავის ყანასა და ლერწმიანში შეიმჩნეოდა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისგან გავიგეთ, ადრე წრეები აქ სამჯერ გაჩენილა. თავიდან დირექტორი ამას გართობად მიიჩნევდა და ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მერე მექანიზატორებს უბრძანა, როგორც კი ამგვარ წრეებს აღმოაჩენდნენ, უმალ გადაეხნათ ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდა. დირექტორს არ უნდოდა, რომ ვინმეს გაეგო ამ წრეების არსებობა, რადგანაც იქაურობას უამრავი მოცლილი ადამიანი მიაწყდებოდა და ნათესებს გადაქელავდა, ასეთ ყანაში მოწეული მარცვლეულის ფასიც მკვეთრად ეცემა და მეურნეობა ზარალობს.

***— კი მაგრამ ფასი რატომ ეცემა?***

— ყველას პანიკურად ეშინია რადიაციისა. სულ 2005 წელს კრასნოდარის მხარეში ექვსი წრე გაჩნდა. რადიაციული ფონი ამ ადგილებში ყველგან ნორმაშია. ორი უცნაურობა გვეცა თვალში. ერთ-ერთი ნათესი ქიმიკატებით იყო დამუშავებული და მთელ მზესუმზირას მუხლუხოები და სხვა მავნებლები ჰყავდა შესეული, წრის შიგნით კი ერთი მწერიც არ იყო შებობღებული. ჩვენ კი იმ მინდორში ყოფნის შემდეგ თავი აგვტკივდა.

მეორე პიქტოგრამის შიგნით კი ლითონსაძიებელი ხელსაწყო აწკრიალდა. ვეძებეთ რაიმე უცხო საგანი, მაგრამ ვერაფერი ვნახეთ, გადავთხარეთ იქაურობა, მაგრამ ვერც ასე აღმოვაჩინეთ რამე. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ვიღაცამ წრის შიგნით ლითონის ფხვნილი მოაბნია. გრუნტი გავცერით, მოსკოვში სინჯიც კი ჩავიტანეთ, მაგრამ შიგ ვერაფერი აღმოვაჩინეთ.



### მერს სუბსიდიები უნდოდა

**— სულ რამდენი ასეთი წრე იყო აღმოჩენილი რუსეთში შარშან? რას ფიქრობთ იმაზე, რაც ტოლიატიში მოხდა?**

— შარშან 11 წრე გაჩნდა, ჩვენი ქვეყნისთვის ეს სარეკორდოა. რაც შეეხება ტოლიატის... 22ივლისს იქ წიწიბურას ნათესში მართლაც გაჩნდა პიქტოგრამა, თანაც ქალაქის ფარგლებში, ესეც იშვიათობაა. გამოსახულება კარგა მოზრდილი იყო — 150-200 მეტრი თითო მხარეს. ლაპარაკობდნენ, თითქოს ეს ნიშანი მერის ბრძანებით გააკეთეს, რომელსაც ეკოლოგიური პროექტებისთვის ფულის მიღება სდომებია, სხვები კი პირიქით, ამტკიცებდნენ, ეს ადგილობრივი ხელისუფლების მოწინააღმდეგეების ნახელავიაო. მერიის თანამშრომლებმა მოგვაკითხეს, აინტერესებდათ, პიქტოგრამა ცუდს ხომ არაფერს მოასწავებს. საქმე ის არის, რომ ტოლიატიში არაერთი მსხვილი ობიექტია: ვოლგის ჰესი, ავტოვაზი და სხვ. უნდა გითხრათ, რომ პიქტოგრამის გაჩენის შემდეგ ამ ქალაქში არაფერი შეცვლილა. პიქტოგრამა კი ყალბი ნამდვილად არ ყოფილა. მცენარეების ასე თანაბრად გადაწვენა, თანაც ისე, რომ არც ერთი ღერი არ გადატყდეს, ჩვენთვის უცნობი რაღაც ტექნოლოგიის გარეშე ყოვლად შეუძლებელია.

***— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ყალბი პიქტოგრამებიც არსებობდა?***

— არსებობდა. უხტაში ადგილობრივმა პრესამ „სენსაცია“ დადგა — მინდვრად თითქოსდა „მფრინავი თეფშის“ ნახელავი წრე აღმოაჩინეს. მერე გამოირკვა, რომ ამ ადგილზე ძაღლების გამოფენა ჩატარებულა, რომლის დროსაც ძაღლებსა და მათ პატრონებს წრეზე უვლიათ და მინდვრის ამ მონაკვეთზე ბალახი გადაუთელავთ. ასეთ ფალსიფიკაციებს აზრი არა აქვს, მით უმეტეს, რომ დღემდე უცნობია, ვინ სტოვებს პიქტოგრამებს მინდვრად. ჩვენ კი კვლავაც ვაგრძელებთ ამ გამოცანის ამოხსნაზე მუშაობას.



АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ქრონოგრაფი

### 18 თებერვალი, 1911 წელი



**ინდოეთში პირველად გადაიტანეს ფოსტა თვითმფრინავით. ეს დღე ითვლება „ავიაფოსტის“ დაბადების დღედ. ალახაბადში (უტარ-პრადეშის შტატი) მოწყობილ ხელოვნების გამოფენაზე საჩვენებელ გამოსვლებს აკეთებდა ბიპლანი „ხამბერ-სომერი“.**

სწორედ მის პილოტს სთხოვეს ადგილობრივმა ფოსტის მუშაკებმა, რომ ათი კილომეტრით მოშორებულ ქალაქ ნაინში გადაეტანა ერთ ტომარაში მოთავსებული 6 ათასამდე წერილი. ამ საფოსტო გზავნილებზე დარტყმული იყო სპეციალური შტემპელი წარწერით „First Aerial Post (uttar Pradesh Exhibition Allahabadძ 1911“. ბიპლანმა ფოსტა მშვიდობიანად ჩაიტანა ქალაქ ნაინში.

### 19 თებერვალი, 1959 წელი



**დიდმა ბრიტანეთმა, საბერძნეთმა, თურქეთმა და კვიპროსის ეროვნული სათვისტომოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რის საფუძველზეც კვიპროსი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.**

# დედამიწას მთვარე გაათბობს?

**2015 წელს რუსეთის მუდმივი სადგური მთვარეზე დაიდებს ბინას, ხოლო კიდევ ხუთი წლის შემდეგ სატვირთო ხომალდები იქიდან ეკოლოგიურად სუფთა სათბობის ჰელიუმ-3-ის ჩამოტანას დაიწყებენ.**



რამდენიმე რეისი და პლანეტის წლიური მოთხოვნილება ენერგო სათბობზე უზრუნველყოფილი იქნება. ასეთ სასიამოვნო პერსპექტივას ხატავს სარაკეტო-კოსმიური კორპორაციის „ენერგია“ ხელმძღვანელი ნ. სევასტიენოვი. თუმცა ყველა მისი კოლეგა როდია ასე ოპტიმისტურად განწყობილი. — ჰელიუმ-3-ის დასაწვავად საჭიროა ისეთი რეაქტორი, რომელიც რამდენიმე მილიარდგრადუსიან ტემპერატურას გაუძლებს, — მიაჩნია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმიურ კვლევათა ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს ა. ზახაროვს. — ასეთის შექმნა კი უახლოეს ას წელიწადში არარეალურია. ვფიქრობ, ამ პრობლემაზე იმიტომ დაიწყეს ლაპარაკი, რომ უნდათ სარაკეტო-კოსმიური დარგის გასავითარებლად დიდი თანხა მიიღონ.

რა თქმა უნდა, მთვარიდან დედამიწაზე პრინციპულად ახალი სათბობის ჩამოტანა სახარბიელოა, მაგრამ რისთვის არის ეს საჭირო? ჩვენი მეცნიერების ერთი ჯგუფი უკვე აწარმოებს გრიგალურ თბოგენერატორებს, რომლებიც ვაკუუმიდან იღებენ ენერგიას. ნავთობის, გაზისა და ურანისგან განსხვავებით, ვაკუუმი ამოუწურავია და თანაც მის მოსაპოვებლად სულ არ არის საჭირო რაკეტების მთვარეზე გაგზავნა. რუსეთში უკვე ასობით საწარმო თბება ახალი თბოდანადგარებით.

**ქვეყნიერება**

# გზა დაუთმე რობოტს!

**ხელბარგის დამტარებელი მუშა, რომელიც აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩა არქაულ რკინიგზის სადგურებსა და აეროპორტებს, მალე აქედანაც გაქრება. ამის პირველი ნიშნები განსაკუთრებით იგრძნობა იაპონიაში, ქვეყანაში, სადაც მომავალი დღევანდელობაში განსაკუთრებული სისწრაფით იჭრება. შარშან, წლის დამლევს, ქალაქ კანსაის აეროპორტში რობოტები შეუდგნენ არა მარტო მგზავრთა ხელბარგის გადაზიდვას, არამედ მათთვის... ინტელექტუალური მომსახურების გაწევასაც! მიღებულია გადაწყვეტილება, რომ თუკი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში (ანუ 2010 წლამდე) ადამიანებთან მათი ურთიერთობა ნორმალურად წარიმართება, მაშინ დროიდები ამომავალი მზის ქვეყნის ყველა სხვა აეროპორტის „თანამშრომლები“ გახდებიან. ამჟამად კი ქალაქ კანსაიში რობოტების რამდენიმე ტიპი გადის გამოცდას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი „თანაშემწე“ მოემსახურება უცხოელ მგზავრებს და იმათ, ვისაც აეროპორტში ორიენტირება უჭირს. კიდევ ერთი გადაიტანს ბარგს და მგზავრებს ავტოსადგომზე დახვდება. მესამე რობოტს შეუძლია ბილეთზე დაბეჭდილი ინფორმაციის წაკითხვა და რეგისტრაციის ადგილამდე მგზავრის მიცილება.**



რობოტების მწარმოებელთა მთავარი ამოცანაა აეროპორტებში მგზავრთა ნაკადების მოწესრიგება და იმის გარკვევა, შეძლებენ თუ არა დროიდები გადაადგილებას ერთმანეთთან და ადამიანებთან დაუჯახებლად. ჯერჯერობით კი, კანსაის აეროპორტის მგზავრებს სხვებზე მეტი ყურადღება მოეთხოვებათ.

◎ მოცარტის წელი

# 100 ვუნდერკინდი, რომლებმაც მსოფლიო შეძრეს

**მუსიკაში, ლიტერატურაში, მხატვრობაში, მათემატიკაში მრავლად არის შემთხვევები, როდესაც სულ ნორჩი ტალანტები, ანუ ვუნდერკინდები საკუთარი მიღწევებით მსოფლიოს აოცებდნენ. ყველა დროისა და ყველა ხალხის ქრესტომათიული მაგალითია დიდი კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, რომელმაც პირველი ნაწარმოებები 4 წლისამ დაწერა, 7 წლის ასაკში კი კონცერტებით გამოდიოდა პარიზსა და ლონდონში. პირველი ოპერები მოცარტმა 12 წლისამ დაწერა, 13 წლისა ზალცბურგის სამეფო კარის კაპელის კონცერტმაისტერად დანიშნეს, 16 წლისა კი ბოლონიასა და ვერონაში ფილარმონიულ აკადემიათა წევრად აირჩიეს, პაპმა კლიმენტ XIV-მ კი ოქროს უზანგის ორდენით დააჯილდოვა. ჭადრაკის ნორჩ გენიოსებსაც ხომ ამიტომ უწოდებენ „ჭადრაკის მოცარტს“.**



მოცარტი — 12

ზენიჭიერი ბავშვები ყველაზე ხშირად მუსიკაში ამჟღავნებენ თავიანთ საოცარ ტალანტს. მათგან მთელი სიის შედგენა შეიძლება, ამასთან, ვუნდერკინდები შემსრულებელთა შორის უფრო მრავლად არიან, ვიდრე კომპოზიტორებს შორის. ლამის ჩვილ ასაკში გამოაჩნდათ არაჩვეულებრივი ნიჭი თანამედროვე ვარსკვლავებს — პიანისტებს პოლონა ოსეტინსკაიას და ევგენი კისინს, მევიოლინეებს ვადიმ პერინსა და მაქსიმ ვენგეროვს. ნორჩი გენიოსები პოეტთა შორისაც მრავლად არიან. თუნდაც ალექსანდრე გრიბოედოვი ავიღოთ — პოეტი, კომპოზიტორი და პოლიგლოტი, ავტორი კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“, ის ხომ 11 წლისა გახდა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი. აღიარებულ ვუნდერკინდთა რიცხვს განეკუთვნებიან მიხეილ ლერმონტოვი და კონსტანტინ ბატიუშკოვი.

15 წლის იყო ბობი ფიშერი, როდესაც გროსმაისტერი და ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის პრეტენდენტი გახდა.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ვუნდერკინდთა უმრავლესობა, მომავალში ცნობილი, სახელგანთქმული ადამიანი ხდება. აშშ-ში თვალი გაადევნეს 282 გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვის ბედს და დაადგინეს, რომ 105 მათგანმა ცხოვრებაში დიდი მიღწევებით გამოიჩინა თავი. უკუდამოკიდებულებაც არსებობს. საფრანგეთში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ 287 დიდი პიროვნებიდან 231 სკოლის წლებში განსაკუთრებული შემოქმედებითი მონაცემებით გამოირჩეოდა. ინგლისში გამოცემულ „ეროვნულ ბიოგრაფიათა ლექსიკონში“ მოხსენიებული 1030 დიდი ადამიანიდან 292 უდავო ვუნდერკინდი იყო, სხვები ბავშვობაში განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით გამოირჩეოდნენ და მხოლოდ 44 არ გამოირჩეოდა არაფრით.

ახლა კი მეცნიერების სფეროდანაც მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტს. 16 წლის იყო ევარისტ გალუა, როდესაც ხელში ჩაუვარდა წიგნი „გეომეტრიის საწყისები“, რომელიც ორი წლის სისტემატურ სწავლაზე იყო გათვლილი, მან კი ის ორ დღეში აითვისა. კიდევ ორი დღე დასჭირდა მონოგრაფია „რიცხვთა განტოლებების ახსნის“ შესასწავლად. ვუნდერკინდი ყმაწვილი სულ მალე შეუდგა დამოუკიდებელ კვლევებს და 17-18 წლისამ, როდესაც ჯერ კიდევ ლიცეუმის მოსწავლე იყო, შექმნა ალგებრული თეორია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა XIX და XX საუკუნეების მთელ მათემატიკაზე. 20 წლის გალუა დუელის დროს დაიღუპა.



გალუა — 15

„კიბერნეტიკის მამამ“ ნორბერტ ვინერმა 14 წლისამ მიიღო უმაღლესი განათლება, 18 წლისა უკვე ფილოსოფიის დოქტორი იყო და ჰარვარდის უნივერსიტეტში მათემატიკური ლოგიკის ლექციებს კითხულობდა. შემდგომში მან დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი „ყოფილი ვუნდერკინდი“. სახელოვანი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლევ ლანდაუ 13 წლის ასაკში გახდა უნივერსიტეტის სტუდენტი.

მათემატიკოსმა სერგეი მერგელიანმა 15 წლისამ სკოლა დაამთავრა, 19 წლისამ — უნივერსიტეტი, 20 წლისამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომლისთვისაც მას პირდაპირ დოქტორის ხარისხი მიანიჭეს, 25 წლის ასაკში იგი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა, 28 წლისა კი — აკადემიკოსი.



ლერმონტოვი — 8

ახლა სპორტის სფეროში გადავინაცვლოთ და ვუნდერკინდი სპორტსმენებიც გავიხსენოთ. ნორვეგიელმა მოციგურავე სონია ხენიმ ოლიმპიადაში პირველად 11 წლისამ მიიღო მონაწილეობა, 1928 წელს კი 15 წლის ასაკში თავისი პირველი ოლიმპიური „ოქრო“ მისცეს. მხოლოდ 70 წლის შემდეგ, ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზე მოხსნა ეს რეკორდი მეორე ამერიკელმა თარა ლეპინსკიმ, რომელიც სონია ხენიზე ორი თვით უმცროსი იყო, როდესაც ოქროს მედალი მოიპოვა.

ყველაზე ნორჩი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ 13 წლის ამერიკელები, წყალში მხტომელები: 1936 წ. მეჯერი ჰესთრინგმა გაიმარჯვა, ოცი წლის შემდეგ კი პატრისია მაკორმიკმა ერთბაშად ორი „ოქრო“ მოიპოვა.

რეკორდსმენები არიან ტანვარჯიშშიც. რუმინელმა ნადია კომენეჩიმ, საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა ნელი კიმმა, ოლგა ბიჩეროვამ, ოლგა კორბუტმა 13-14 წლის ასაკში მოიგეს ოლიმპიური თამაშები. ყველაზე ნორჩი მსოფლიო ჩემპიონი კი ამ სახეობაში 16 წლის დიმიტრი ბელოზერჩევი გახდა.

ფეხბურთის №1 ვუნდერკინდი კი, რაღა თქმა უნდა, პელეა, რომელიც 15 წლისა უკვე „სანტოსის“ შემადგენლობაში თამაშობდა, ორი წლის შემდეგ კი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

კალათბურთში ყველაზე ნორჩი მსოფლიო ჩემპიონი 17 წლის ლიტველი არვიდას საბონისი იყო. 16 წლის რუსი ჰოკეისტი ვლადისლავ ტრეტიაკი კი ოსტატთა გუნდის კარს იცავდა.

ჩოგბურთის ვარსკვლავები მონიკა სელეში, მარტინა ჰინგისი და ჯენიფერ კაპრიატი 15-16 წლის ასაკში იგებდნენ უძლიერეს ტურნირებს. 1887 წელს კი უიმბლდონის ერთ-ერთი პირველი ტურნირი 15 წლის შარლოტა დოდმა მოიგო. შეიძლება ვუნდერკინდებს მივაკუთვნოთ 17 წლის მარია შარაპოვა, რომელმაც 2004 წელს მოიგო ეს პრესტიჟული ტურნირი. ვაჟებში უიმბლდონის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული კი 17 წლის გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი გახდა.



პელე — 16



კისინი — 14

◎ იდეა

# მოდით, მივცეთ ციხეში იარაღის შეტანის უფლება!

**ლუიზიანის შტატის ქალაქ ბატონ-რუჟელ ექსცენტრიკულ კრიმინალისტ დოქტორს მარვინ სქულის სასტიკ დამნაშავეებთან ბრძოლის საკუთარი რადიკალური გეგმა აქვს. იგი საზოგადოებას სთავაზობს, დამნაშავეებს... ციხეში იარაღის შეტანის ნება დართონ!**

არადა, როგორც იტყობინებიან, მრავალი შტატისა და ფედერალურ ორგანოთა კანონმდებელი ამ რევოლუციურ იდეას სრული სერიოზულობით აღიქვამს.

დოქტორ სქულის წინადადების არსი ის გახლავთ, რომ იგი აყენებს დამნაშავე-რეციდივისტთათვის საგანგებო ციხეების აშენების წინადადებას, სადაც ისინი ყოველგვარი დაცვის, მღვდლების, ექიმებისა და სხვა სოციალურ მუშაკთა გარეშე იქნებიან. მთელი „მუღამი“ კი ისაა, რომ დამნაშავეებს ციხეში ნებისმიერი სახეობის ცეცხლსასროლი იარაღის შეტანისა და თავისნაირების უმოწყალოდ განადგურების უფლება ექნებათ.

— მათ ერთმანეთი უნდა ხოცონ გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე, — ამბობს რეფორმატორი, რომელიც დასავლეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობს. — ეს სიკვდილით დასჯაზე გაცილებით უფრო რენტაბელურია, უფრო გონივრული, უფრო ჰუმანური. თანაც ამით შესაძლებელი იქნება პირთამდე სავსე ციხეების პრობლემის გადაწყვეტა, ფაქტობრივად ერთ ღამეში. ყოველდღიურად ასობით ფსიქოპატი დამნაშავე დაიხოცება. ასე რომ, ციხეებში მუდამ იქნება თავისუფალი ადგილები. თანაც გადასახადების გადამხდელებს აღარ მოუწევთ წლების მანძილზე ძვირადღირებული სასამართლო აპელაციების ღირებულების გადახდა თავისი ჯიბიდან. წლების განმავლობაში ჩვენ ვმუშაობდით დამნაშავეთა რეაბილიტაციაზე, რომლებსაც ეს არ უნდათ და დავრწმუნდით, რომ სისტემა არ მუშაობს. რა ვქნათ, თუკი დამნაშავეთა სარეაბილიტაციო პროგრამები არ მუშაობს? რა და მივცეთ ადგილი, სადაც იცხოვრებენ, ექნებათ საჭმელ-სასმელი და რაც შეიძლება დიდი მანძილით მოვაშოროთ ისინი საზოგადოებას, — ასეთია „რევოლუციონერ-კრიმინალისტის“ აზრი.

მაგრამ ასევე ცნობილი ლუიზიანელი კრიმინოლოგი, დოქტორი ანიტა კოილი სქულის გეგმას „ბარბაროსულს“ უწოდებს.

— ეს იქნებოდა კაცობრიობის შუასაუკუნოვანი სიბნელისკენ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი, — აღშფოთებულია დოქტორი კოილი. — ესაა უგულო და სასტიკი ჩანაფიქრი.

თუმცა თავად დოქტორი სქული თავის ოპონენტს არ ეთანხმება. — მე იმის მომხრე ვარ, რომ მივანდოთ დაუნდობელ მკვლელებს ისეთი სამყარო, როგორიც უნდათ: ესაა ყოველგვარ ზნეობრივ კანონებს მოკლებული საზოგადოება. ამიტომ, მოდით, მოვაცილოთ ისინი ჩვენ ქუჩებს და მივცეთ საშუალება, იცხოვრონ ისე, როგორც თავად სურთ.



ანიტა კოილი



მარვინ სქული

◎ ქვეყნიერება

## ციხის კავშირი

**რუსეთში ამჟამად საპატიმროებში ასიათასობით კაცი იმყოფება. „როსტელეკომმა“ ამ აუდიტორიის „ათვისება“ დააპირა, რისთვისაც ქვეყნის სასჯელაღსრულებათა ფედერალურ სამსახურთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.**

ახლო მომავალში კომპანია აპირებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კავშირგაბმულობის ფასიანი მომსახურების გაწევას. იგეგმება კავშირგაბმულობის ქსელის შექმნა სასჯელაღსრულების სამსახურის ყველა ობიექტში. ამრიგად, პატიმრებს შესაძლებლობა ექნებათ არა მარტო ურთიერთობა იქონიონ თავიანთ ოჯახებთან, არამედ მიიღონ დისტანციური განათლება, გადასცენ მონაცემები და მოაწყონ ვიდეოკონფერენციები. თავისი მიზნებისთვის ფირმა- ოპერატორი აპირებს კავშირგაბმულობის ახალი ციფრული ხაზების აგებასა და ძველების მოდიფიცირებას. აშკარა კომერციული ღირებულების გარდა პროექტს მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც აქვს: უწინარესად, გაუმჯობესდება პატიმართა ყოფითი პირობები და მეორე — გარე სამყაროდან იზოლაცია, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს მათ ფსიქიკას, მნიშვნელოვნად შემცირდება.



## სიმრუდე... ჭკუისაგან

**ვინც კი მოსკოვში ყოფილა, კარგად იცის: ცენტრში ქუჩები იმდენად მიხვეულ-მოხვეულია, რომ თუკი იქაურობა კარგად არ იცი, აუცილებლად გზა აგებნევა.**

არადა, რუსეთის დედაქალაქი ქაოტურად აშენებული სულაც არ არის, მის „მრუდე“ დაგეგმარებაში გარკვეული აზრია ჩადებული. საქმე ის გახლავთ, რომ ქუჩებისა და შესახვევების მიხვეულ-მოხვეულობა ქარებს უშლიდა ხელს, რადგან თითქმის მთლიანად ხით ნაშენები მოსკოვისთვის, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, სწორქუჩებიანი დედაქალაქი უეჭველად დაღუპვისთვის იყო განწირული. ხოლო მრუდე ქუჩებზე კი მოსახვევში, მეზობლად მდგარი სახლის ცეცხლისგან გადარჩენის შანსები გაცილებით მეტი იყო. თანაც ზამთარში მიხვეულ-მოხვეული ქუჩების მუხლები ყინვისგან იცავდა მოსახლეობას.

გარდა ამისა, შუა საუკუნეების რუსეთში მოქმედებდა **ბიზანტიური იუსტინიანეს სამშენებლო კოდექსი, რომლის თანახმად, ქალაქი ისე უნდა გაშენებულიყო, რომ ყოველი სახლის ფანჯრებიდან შესაძლებელი ყოფილიყო საყდრისა და მტრის მოახლოების დანახვა**. სწორი ქუჩების პირობებში კი ასეთი რამ შეუძლებელი იყო. ამასთან, მოსკოვში მოქმედებდა **„გახედვის წესიც“**: თუკი კაცს სახლის ფანჯრიდან კარგი ხედი ეშლებოდა, ხოლო მეზობელი წინ რაიმე ნაგებობას ჩადგამდა, მას სასამართლოს ძალით შეეძლო მისი მოშლა.

# გუშინ ტურინში საზეიმოდ გაიხსნა XX ზამთრის ოლიმპიური თამაშები

## თეთრი ოლიმპიადის მოზაიკა

### პრეზიდენტები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

**მთავარ ოლიმპიურ სოფელში, სადაც თამაშების დროს დაბანაკდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები, განსაკუთრებული უშიშროების ზომები შემოიღეს.** იმ დროს კი სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგე უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, სახელოვანი ჭოკით მხტომელის სერგეი ბუბკას თანხლებით ვიზიტად ეწვია თავის წინამორბედს ხუან ანტონიო სამარანჩს, რათა მაგიდის ფეხბურთი ეთამაშათ. სამწუთიან მატჩში უფრო ახალგაზრდა როგემ იმარჯვა – 1:0.

### რეკლამის მილიონები

**ტურინს უკვე 400 მილიონზე მეტი ევრო მოუტანა რეკლამამ.** თამაშების სპონსორი გახდა 63 ფირმა. 271,5 მილიონი ევრო გადაიხადეს იტალიელმა რეკლამის მიმცემებმა, ხოლო 130 მილიონი შევიდა სოკ-ის პარტნიორებიდან.

სარეკლამო კონტრაქტები და სატელევიზიო ტრანსლაციის უფლების გაყიდვა ძირითადი წყაროა საორგანიზაციო კომიტეტის შემოსავლებისა. მან თამაშების საორგანიზაციო ხარჯების დაახლოებით 79 პროცენტი უნდა დაფაროს.

### მედლები „გაძვირდა“

**წინა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით იტალიამ საგრძნობლად გაზარდა ოლიმპიური მედლების მოპოვებისთვის თავისი ათლეტების ფულადი ჯილდოები.** თუ ოთხი წლის წინათ ჩემპიონები 38 400 ევროს ღებულობდნენ, ახლა ტურინში გამარჯვებისთვის ისინი 130 000 ევროს მიიღებენ. ვერცხლის ორდენებს 65000 ევროს ჰპირდებიან (სოლთ-ლეიქ-სიტიში 20500 ევრო იყო), ხოლო „ბრინჯაოსთვის“ 40 000 (10 200-ის ნაცვლად).

### ბებრების „დოლია“?

**როგორც უკვე გუშინ გაცნობეთ, აშშ დელეგაციაში თეთრ ოლიმპიადაზე არის ამ თამაშების ყველაზე უხუცესი წევრი – 54 წლის სკოტ ბრეიდი.**

როგორც გამოირკვა, კიდევ ერთი ხანდაზმული სპორტსმენია ამერიკელთა დელეგაციაში – 44 წლის ჰოკეისტი კრის ჩელიოსი, რომელიც კეიტ ტკაჩუკთან ერთად მეოთხედ მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებში, ხოლო, საერთოდ, ოლიმპიადის მონაწილეთა ხანდაზმულთა სიაში ის მესამე იქნება თანამემამულე ბრეიდისა და 53 წლის ბრიტანელ ჯეიმს კოატსის შემდეგ. ის 1998 წელს მონაწილეობდა თამაშებში.



**სურათზე: ტურინი, Medels Plaza, მოედანი, სადაც გაიმართება დაჯილდოების საზეიმო ცერემონია.**

---

**◉ კალათბურთი**

## თსუ-ს „აზოტი“ გადაუკეტეს

**გულშემატკივრები მოუთმენლად მოელოდნენ კალათბურთელ ვაჟთა XIV ეროვნული ჩემპიონატის III წრის ცენტრალურ მატჩს თსუ „ნიკორა“ – „აზოტი“, მაგრამ მათ იმედები გაუცრუვდათ – უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად მომძლავრებულმა რუსთაველებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი და პირველი მარცხი აგემეს – 88:69.**



სტუდენტთა წაგება გარკვეულწილად ტრავმირებული ცენტრალური თავდამსხმელის მუშკუდიანისა და დიკვალიფიცირებული საყვარელიძის არყოფნამ განაპირობა, თუმცა არა გვგონია, ამ ფაქტორს ბრძოლის საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა მოეხდინოს – „ენერჯი ინვესტის“ ნაამაგარი ქვემოქართლელები ამ ეტაპზე ყველა კონკურენტზე უკეთ გამოიყურებიან და გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, მათ რაიმე პრობლემა რომ შექმნოდათ. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებულ ქებას გოგობერიშვილი, ტუჯანი, ბაბიაშვილი და გუნდში ახლახან დაბრუნებული ანატოლი ბოისა იმსახურებენ, მასპინძელთაგან კი მხოლოდ მაისურაძის გამორჩევა თუ შეიძლება. რაც შეეხება ტყეშელაშვილს, მან, მართალია, სამი სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ უშუალო მოვალეობას – ფარქვეშ სტუმართა გიგანტებთან გამკლავებას თავი არცთუ წარმატებით გაართვა.

გუშინვე „ავიამშენმა“ იოლად სძლია „მაქაბის“ – 109:61, ქუთაისელებმა სოხუმელ სტუდენტებთან იყოჩაღეს – 86:78, ხოლო სტუ-მ დამატებით დროში თბილისის „დინამოს“ მოუგო – 124:122.

15 თებერვალს მორიგ ტურში დიდ ინტერესს იწვევს რუსთაველთა და „ავიამშენის“ დუელი.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

---

**◉ სამბო**

## ოქროს მედლებით დაიწყეს

**სპორტული სეზონი ჩინებულად დაიწყეს საქართველოს სამბისტებმა. ჟენევაში (შვეიცარია) დასრულდა ოლეგ ტატაროვის სახელობის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, კანადის, მექსიკის, ვენესუელის და ევროპის კონტინენტის 300-ზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა.** საქართველოს სპორტულ ღირსებას 2 მოჭიდავე იცავდა. სასიხარულოა, რომ ორივე სამშობლოში ოქროს მედლით დაბრუნდა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ოლეგ იაძის ვაჟმა – გიორგიმ რამდენიმე შეხვედრა სუფთად მოიგო და ოქროს მედალი ხვდა 82 კილოგრამ წონითს კატეგორიაში. იგი საქართველოს საბაჟო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტია. წარმატებას მიაღწია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამეკურსელმა, გარდაბნელმა ბექარ იმერლიშვილმა. მან 74 კილოში მოიპოვა ოქროს მედალი.



**შალვა ჩიხლაძე**

**სურათზე (მარცხნიდან): გიორგი და ოლეგ იაძეები, ბექარ იმერლიშვილი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო**

---

**◉ ჭადრაკი**

## ახალგაზრდებმა გაიმარჯვეს

**ჩვენი ქვეყნის წამყვანი უნივერსალური ბანკი სს „საქართველოს ბანკი“ მრავალი სასიკეთო ინიციატივის მოთავეა. ასე იყო გუშინწინ, როდესაც საქველმოქმედო საღამოზე მოწვეულ სტუმრებს მინი-საჭადრაკო ტურნირის ფარგლებში საშუალება ჰქონდათ, პირისპირ ეთამაშათ ევროპის სამ ახალგაზრდა ჩემპიონთან – 12 წლის ნაზი პაიკიძესთან, 18 წლის სალომე მელიასთან და 14 წლის დავით ბენიძესთან. ცხადია, ახალგაზრდებმა გაიმარჯვეს, და ეს საღამო ამითაც იყო შთამბეჭდავი.**



ქართველ მოჭადრაკეებს ტრადიციულად მოაქვთ ქვეყნისთვის მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებები, ახალმა თაობამ წინამორბედთა წარმატებები უნდა ამრავლოს. შარშან 10-დან 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე სერბეთში წარმატებას სწორედ ნაზი პაიკიძემ, სალომე მელიამ და დავით ბენიძემ მიაღწიეს.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ რამაზ კუკულაძემ აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია სიხარულით გამოეხმაურა ჭადრაკის ფედერაციის თხოვნას, მხარში ამოდგომოდა ახალგაზრდა ჩემპიონებს და მათი საქმიანობა წაეხალისებინა. ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი აკაკი იაშვილი და საჭადრაკო კლუბ „ნტნ“-ის პრეზიდენტი ნანა ალექსანდრია. მათი აზრით, ასეთი ხელშეწყობა ახალგაზრდა მოჭადრაკეებს სტიმულს მისცემს, უკეთ ითამაშონ და ჩვენს ქვეყანას ახალ-ახალი გამარჯვებები მოუტანონ.

**ლალი ქინქლაძე**

---

**◉ ორბიტაზე**

### უმუშევარი „ბარონი“?

**რაღაც უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ავტორბოლის „ფორმულა-1“ საჯინიბოს „ფერარის“ გერმანელი პილოტი, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი.**




„წითელი ბარონი“, რომლის წლიური შემოსავალი დაახლოებით 50 მილიონი დოლარია, შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით, უმუშევრად გამოაცხადეს.

თუმცა „შუმის“ გულშემატკივრები ნუ შეშინდებიან, მათი კერპი ავტორბოლებს არ გაქცევია. შვეიცარიაში, სადაც ახლა გერმანელი პილოტი ცხოვრობს, ავტორბოლებს არ მიიჩნევენ შრომით საქმიანობად (?!) ამიტომაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მილიონერი სპორტსმენი გაბედულად მიაკუთვნა უმუშევარ უცხოელთა რიცხვს.

საინტერესოა, უახლოეს ხანში შუმახერს უმუშევრობის შემწეობასაც ხომ არ დაუნიშნავენ?

### ლამაზმანი მარტინა

**იცანით? დიახ, ეს მარტინა ჰინგისია. ჩოგბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, რომ შვეიცარიელი ჩოგბურთელი ძალზე მომხიბვლელი გარეგნობისაა, თუმცა ასე მოშიშვლებული ბევრს ის არც უნახავს.** 2002 წლამდე კი, როდესაც ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, ის ძალზე მიმზიდველად გამოიყურებოდა დები უილიამსებისა და ლინდსეი დევენპორტის ფონზე, მხოლოდ კურნიკოვა „ეპაექრებოდა“.

ახლა კი, როცა ქალთა ჩოგბურთის ელიტაში ისეთი ლამაზმანები მოგროვდნენ, როგორებიც მარია შარაპოვა, ელენა დემენტიევა, მარია კირილენკო, ნიკოლ ვაიდისოვა, დანიელა ჰანტუხოვა და სხვები არიან, მარტინას ალბათ გაუჭირდება პირველობა.

„დავბრუნდი, რათა დავამარცხო შარაპოვა“, – განაცხადა დიდ სპორტში დაბრუნებისას მარტინა ჰინგისმა. კორტზე ჯერჯერობით ასე თუ ისე ეს მოახერხა, მაგრამ შეძლებს კი მისთვის ჩოგბურთის პირველი ლამაზმანის ტიტულის ჩამორთმევას? როგორც ჩანს, საამისოდაც ირჯება, რასაც მოდური ჟურნალებისთვის გადაღებული ეს სურათიც მოწმობს.



◉ ადამიანი დროში

# გახსოვთ ინგა გილაური?

**კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა თუ არა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ კოსიჩკინმა გულით მიულოცა წარმატება:**

**— ყოჩაღ, ინგა, რომ არ გაგვაწბილე.**

**— თქვენ ხომ ციგურებით რბენაში ჩემი ნათლია ხართ, — ასევე გულწრფელად გაუღიმა ქალიშვილმა.**

ელვის სისწრაფით მოედო პრესის ფურცლებს ცნობა — ქართველმა სპორტსმენმა ინგა გილაურმა ციგურებით სწრაფრბენაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვაო.

მხრებს იჩეჩდნენ გულშემატკივრები: თბილისი და ციგურებით რბენა?! ჩვენ ყინული ნაყინისთვის არ გვყოფნის და სარბენად სადღა გვაქვსო. კიდევ უფრო გაოცდნენ ქომაგები, როცა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე დივნოგორსკში (კრასნოიარსკთან ახლოს) ქართველმა ქალიშვილმა 1500 მეტრზე ციგურებით რბენაში მესამე ადგილი დაიკავა.





ელისო, სანდრო და ქეთი შონიები.

ეს იყო ზუსტად ოცი წლის წინათ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ინგას დედამ, ქალბატონმა ლუდმილა პარინოვამ, რომელიც გათხოვებამდე თვით იგორ ილინსკის მოწაფე გახლდათ, ხუთი წლის გოგონა თბილისის საციგურაო სკოლაში მიიყვანა ანგინისგან გამოსაჯანმრთელებლად. არადა, მაშინ ფიგურული სრიალის ბუმი იყო საქართველოში. მარინე ცერცვაძე, მარინე გაბელაია, მიშა სიხარულიძე, რაფიკ არუთინიანი (რომელიც ამერიკელ მიშენი კვანს ავარჯიშებსძ, გიორგი შანყულაშვილი, ბადრი ყურაშვილი და სხვა საკმაოდ ძლიერი მოციგურავეები თავიანთ ოსტატობას ყინულზე ხვეწდნენ მთავარი მწვრთნელის — ირაკლი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ინგასაც ძალიან მოეწონა ფიგურული სრიალი და დედის ნებართვით ნატალია რეტივიხის ჯგუფში ჩაირიცხა. გულმოდგინედ ვარჯიშობდა და შედეგმაც არ დააყოვნა — თანატოლთა შორის შვიდჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

— 1976 წელს იაროსლავლში იუნიორთა საკავშირო პირველობაზე ვიასპარეზე და მესამე ადგილი დავიკავე. ეს იყო ჩემი იღბლიანი დებიუტი დიდ სპორტში, — იგონებს ინგა გილაური სამი ათეული წლის წინანდელ ამბავს, — მაშინ ცნობილმა მწვრთნელმა ვიქტორ კუდრიავცევმა მე და გიორგი შანყულაშვილი „ოლიმპიური რეზერვის ჯგუფში" მიგვიწვია სავარჯიშოდ.

ამგვარი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და ინგაც დედასთან ერთად მოსკოვში გადასახლდა. 1980 წელს ჩემპიონთა აღმზრდელმა ელენა ჩაიკოვსკაიამ თავის ჯგუფში გადაიყვანა — სპორტული ცეკვებისთვის ამზადებდა ალექსეი ბოდაიკოვთან ერთად. ამ უკანასკნელის მეწყვილემ — სკოროხოდოვამ მოულოდნელად თეატრალურ ინსტიტუტში გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. ის იყო, დიდ ასპარეზზე უნდა გასულიყვნენ, რომ ინგას პარტნიორი ავად გახდა.

— ჩემმა მწვრთნელმა ელენა ჩაიკოვსკაიამ თხოვნით მიმართა საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ზამთრის სახეობების განყოფილების უფროსს ვიქტორ კოსიჩკინს, რომ ხელი გაემართათ ჩემთვის. მან მირჩია, „პროფილი" შემეცვალა და ციგურებით სწრაფრბენაში მომესინჯა ძალები.

ასე აღმოჩნდა 20 წლის სპორტსმენი სრულიად უცხო გარემოში, სადაც, ყინულის გარდა, ფიზიკურ მომზადებასა და ტექნიკაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ციგურებიც კი განსხვავებული იყო.

— მესამე დღესვე ბალტიისპირეთში წამიყვანეს საწვრთნელ შეკრებაზე. სასწაულები ვნახე იქ — გოგონები თითქმის ყოველდღიურად 100-100 კილომეტრს ფარავდნენ ველოსიპედებით, მე კი საჭის მოტრიალებაც მიჭირდა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი გენადი გერშმანი ყურადღებას არ მაქცევდა, ჩემთვის სად ეცალა. გუნდში ერთი გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა — ნაკრების ადმინისტრატორი ციპურსკი, რომელიც მზრუნველობას იჩენდა ჩემდამი — ბევრი რამ ვისწავლე მისგან.

მონდომებული, მუხლჩაუხრელი წვრთნის შედეგად მიზანსაც მიაღწია — ერთ წელიწადში სპორტის ოსტატი, 1985 წელს კი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა. 1983-85 წლებში სამჯერ მოიგო მოსკოვისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს" პირველობები. 1984 წელს დებიუტი ჰქონდა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც მეთხუთმეტე ადგილით დაკმაყოფილდა. ერთი წლის შემდეგ კი ექვსი საფეხურით წაიწია წინ. იმავე 1985 წელს ალმა-ათაში „მედეოს" საციგურაოზე საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებისას 1000 და 1500 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენაში მესამე ადგილები დაიკავა, რაც სენსაციის ტოლფასი იყო. ახლა უკვე სერგეი მარჩუკის ნიჭიერი შეგირდი ახალი სიმაღლეების დასაპყრობად ემზადებოდა. მართლაც, 1985 წლის დეკემბერში საკავშირო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა 3000 მეტრზე რბენაში, ცოტა ხნის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

— იმის მიუხედავად, რომ მოსკოვში ვვარჯიშობდი, ბატონ ირაკლი ჯაფარიძეს ჩემთვის ყურადღება არ მოუკლია. მისი დამსახურება იყო, რომ 1984 წელს თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი, რათა მეტი საფუძველი მქონოდა საქართველოს სახელით გამოსასვლელად. არადა, საბჭოეთის დედაქალაქში უნდოდათ, დედის გვარზე გადავსულიყავი. უარი რომ ვთქვი, ბევრმა ამითვალწუნა, მათ შორის ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლიდია სკობლიკოვამ.

1986 წელს დივნოგორსკში მე და მარჩუკი საქართველოს ფორმებით რომ გამოვცხადდით სპარტაკიადაზე, კინაღამ შეიშალნენ მოსკოველები. დიდი დავიდარაბა გადაგვხვდა თავს. საქმეში ბატონი ირაკლი ჯაფარიძეც ჩაერია და როგორც იქნა, ნება დამრთეს, საქართველოს სახელით გამოვსულიყავი. სამაგიეროდ, ყველაფერი 1988 წელს კალგარის ოლიმპიადის წინ გამიხსენეს...



ინგა გილაურმა 1985 წელს ევროპის ჩემპიონატზე IX ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მე-15 იყო. 1988 წლის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, შესაბამისად, VI და X ადგილები დაიკავა მრავალჭიდში. არავის ეეჭვებოდა, რომ იგი კალგარის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრებოდა, მაგრამ...

— ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ლენინგრადში საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამოვედი და ორ დისტანციაზე მესამე ადგილები დავიკავე. სამწუხაროდ, ნაკრების ძირითადი წევრები შინ დაგვტოვეს და კანადაში სხვები გაგზავნეს.

ინგა გილაურმა იმ წელიწადს მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა, აპრილში „მედეოზე" მრავალჭიდში საკავშირო ჩემპიონატის „ვერცხლიც" დაისაკუთრა და ერთ წელიწადში დიდ სპორტს ჩამოშორდა. ყოფილ მოჭიდავე ლევან შონიასთან ერთად ოჯახი შექმნა. ახლა ინგა სამ შვილს უზრდის სამშობლოს. უფროსი — ელისო წლეულს სკოლას ამთავრებს, სამუსიკო სასწავლებლის II კურსის სტუდენტია, ორი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ქეთი მერვეკლასელია, მუსიკალურ სკოლაშიც სწავლობს, მღერის და ხატავს. ყოფილ მოციგურავეს იმედი აქვს, იქნებ, წლინახევრის ალექსანდრეს მაინც გამოჰყვესო მშობლების სპორტული ხასიათი.

**— ამდენი ხნის განშორების შემდეგ ყინულისკენ არ მიგიწევს გული? — ვკითხე ინგას.**

— ზოგჯერ მივდივარ თბილისის საციგურაო სკოლაში. ვუყურებ, როგორ მეცადინეობენ პატარები. გული მწყდება, ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს საქართველოში ერთი სტანდარტული საციგურაო რომ არა აქვთ. ნახეთ, რა სიმაღლეებს მიაღწიეს ვახტანგ მურვანიძემ და ელენე გედევანიშვილმა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ თბილისში გაზრდილი გოგონა ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილას დაიკავებდა. იმედი მაქვს, რომ ისინი კიდევ ბევრჯერ გვასახელებენ. არც ტურინის ოლიმპიადაზე შეირცხვენენ თავს.

საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ ის ადამიანები, რომლებმაც ბორჯომ-ბაკურიანში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა გადაწყვიტეს. კანდიდატ ქალაქად მაინც თუ გვაღიარებენ, დარწმუნებული ვარ, საქართველოში სპორტის დიდი ბუმი იქნება, აშენდება ახალი ბაზები და, ვინ იცის, დიდი ხნის ოცნებაც ავისრულო — მწვრთნელად დავუბრუნდე ყინულს.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ინგა გილაური სტარტზე; მწვრთნელი სერგეი მარჩუკი და შეგირდი (სურათები გადაღებულია 1988 წელს ლენინგრადშიძ.**

**ავტორის ფოტო.**

◉ მოკლედ

## იტალია-გერმანია

**იტალიის ნაკრები 1 მარტს ფლორენციაში ამხანაგურ მატჩს გამართავს გერმანიის ნაკრებთან. ეს იქნება ამ გუნდების პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც მთავარ მწვრთნელებად მარჩელო ლიპი და იურგენ კლინსმანი მუშაობენ.** უკანასკნელი ამხანაგური პაექრობა მსოფლიოს ამ ორ ექსჩემპიონს შორის შტუტგარტში გაიმართა 2003 წლის აგვისტოში და იტალიელების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 1:0.

## ზიდანი აგვცდება?

**როგორც მადრიდის გაზეთი „აც" იუწყება, მარდიდის „რეალისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ზინედინ ზიდანმა კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს განუცხადა, რომ გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებს.**

## ჩემპიონატის სუნთქვას გრძნობენ

**ბოლო წლებში სახელოვანი იტალიელი თავდამსხმელი ალექსანდრო დელ პიერო ბევრი არაფრით გამოირჩეოდა, რის გამოც ტურინის „იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან არაერთხელ მოსვლია უთანხმოება. ხშირად იგი სათადარიგო სკამზეც კი იჯდა.** ახლა მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით დელ პიერომ ძალიან მოინდომა და ბოლო ორ მატჩში სამ-სამი ბურთი (ერთი შეხვედრა იტალიის თასზე გაიმართაძ გაიტანა. 186 გოლით იგი „იუვენტუსის" ყველა დროის უპირველესი სნაიპერი გახდა. მანამდე ყველაზე უკეთესი შედეგი ლეგენდარულ ჯანპიერო ბონიპერტის (182ძ ჰქონდა.

მსგავსი ემოციები დაეუფლა „მილანის" თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოსაც. ახლა მას იტალიური კლუბის შემადგენლობაში 165 გოლი აქვს გატანილი, რითაც ლეგენდარული ჯანი რივერას (164 გოლიძ გადაასწრო და სულ მალე, იქნებ, კლუბის რეკორდსმენის, შვედი თავდამსხმელის — ჰუნარ ნორდალის შედეგსაც (221ძ დაემუქროს.

## ბუცი — ექვს მილიონად

**2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ანდრეი შევჩენკო ახალი ბუცებით ითამაშებს, რომელსაც „უწონელი" ჰქვია და შესაკრავიც კი არა აქვს. მისი შექმნა ფირმას 6 მილიონი დოლარი დაუჯდა.**

## პოლიტიკოსები — „ბავშვობენ"

**ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „ბავშვობა" უწოდა ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებას, რომლითაც მათ მოუწოდეს მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს, ფინალში ირანის ნაკრები არ დაუშვან.**

## გაეროს ელჩის ამბიციები

**რონალდოს ნობელის მშვიდობის პრემიის მიღება სურს. „მინდა, ფეხბურთის გარდა, სხვა საქმეშიც გარკვეული კვალი დავტოვო. მე ხომ გაეროს სპეციალური ელჩი ვარ".**

უძღვება გურამ ვაშაკიძე

გამოშვება მეცხრე

# დაფაზე — ულმობელი სიმართლე

## ყმაწვილთათვის და არა მარტო მათთვის

**ჭადრაკი გონების სასინჯი ქვაა**
**გოეთე**

რუსთაველი და შექსპირი უკვდავი ნაწარმოებების ავტორები არიან, ფალიაშვილი და ბახი უკვდავ მუსიკას წერდნენ, სვეტიცხოველი და ტაჯ-მაჰალი უკვდავი არქიტექტურული ძეგლებია... როგორ არის საქმე ჭადრაკში? სპორტის, გნებავთ, ხელოვნების ამ სფეროში საუკუნეების მანძილზე ხომ ათასობით და ათიათასობით პარტია გათამაშდა და ხომ არის მათ შორის გამორჩეული პარტიები?

ჭადრაკის ისტორიის მკვლევარებს, პრაქტიკოს-მოჭადრაკეებს, თეორეტიკოსებს მთელი ეს მემკვიდრეობა გულისყურით აქვთ შესწავლილი. მათ კარგი პარტიებიდან უკეთესი პარტიები გამოარჩიეს, უკეთესთა შორის — საუკეთესოები, ხოლო საუკეთესოებს შორის საუკეთესოები „უკვდავ პარტიებად" შერაცხეს.

დღეს ჩვენ სწორედ ასეთ პარტიებზე ვისაუბრებთ (კომენტარები ცნობილ მოჭადრაკეებს ეკუთვნით).

ანდერსენი — კიზერიცკი
ლონდონი, 1851

1. e4 e5 2. f4 ef 3. კc4 ლh4+ 4. მფf1 b5 5. კ:b5 მf6 6. მf3 ლh6 7. d3 მh5 8. მh4

ჯერჯერობით ყველაფერი თავისი ეპოქის სულისკვეთებით მიმდინარეობს. შავები ინიციატივის ხელში ჩასაგდებად ემზადებიან.

8. ... ლg5 9. მf5 c6 10. g4 მf6 11. ეg1

კუ დარტყმის ქვეშაა. სამაგიეროდ თეთრების ყველა ფიგურამ შეტევის წინა ხაზზე მოიყარა თავი.

11. ... cb 12. h4 ლg6 13. h5 ლg5 14. ლf3 მg8 15. კ:f4 ლf6 16. მc3 კc5 17. მd5 ლ:b2 18. კd6 ლ:d1+ 19. მფe2 კ:g1



20. e5 მa6 21. მ:g7+ მფd8 22. ლf6+!!

და აი, დგება ლაზიერთან დამშვიდობების საზეიმო წუთი. შავებს თითქმის ფიგურების მთელი არმია ჰყავთ. თეთრებს კი დარჩენიათ სამი და ისიც მსუბუქი ფიგურები.

22. ... მf6 23. კe7X

ანდერსენმა რეკორდული რაოდენობის ფიგურები შეწირა: კუ, ორივე ეტლი და ლაზიერი!

ავსტრიელმა მოჭადრაკემ და ჭადრაკის ანალიტიკოსმა ე. ფალკბეერმა ამ პარტიას „უკვდავი" უწოდა და ასეთადაც დარჩა იგი ჭადრაკის ისტორიაში. იგი ერთხმადაა აღიარებული რომანტიკული ჭადრაკის უმაღლეს ნიმუშად მე-19 საუკუნეში ჭადრაკში რომ ბატონობდა.

გავიდა ერთი წელი და ანდერსენი ახლა „მარადმწვანე" ანუ „უჭკნობი" პარტიის შემოქმედად მოგვევლინა. პარტიის ნათლია ამჯერად სტეინიცი გახდა.

ანდერსენი — დიუფრენი
ბერლინი, 1852

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 კc5 4. b4 კ:b4 5. c3 კa5 6. d4 ed 7. 0-0 d3 8. ლb3 ლf6 9. e5 ლg6 10. კa3 მge7 11. ეe1 b5 12. კ:b5 ეb8 13. ლa4 კb6 14. მbd2 კb7 15. მe4 ლf5 16. კ:d3 ლh5 17. მf6+ gf 18. ef ეg8 19. ეad1 ლ:f3



20. ეe7+! მ:e7 21. ლ:d7+!

ლაზიერი ბრძოლაში გადაეშვა!

21. ... მფ:d7 22. კf5++ მფe8 23. კd7+ მფf8 24. კ:e7X

დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა ბაგიროვთან შეხვედრაში (კიროვაბადი, 1973) თავისი პირადი „უკვდავი" შექმნა. პარტია მართლაც დაძაბული, უშეღავათო და საყურებლადაც სასიამოვნო იყო. აი, ამ პარტიის ფინალი: (შავებით გუფელდი თამაშობს).



26. კ:e6 მd3!! (ძახილის ნიშნები გუფელდისაა) 27. ლf7 ლb8+ 28. კb3+ ე:b3+ 29. მფc2 მb4+!

ამ სვლის შემდეგ თეთრებს შეეძლოთ დანებებულიყვნენ. გაკეთდა კიდევ რამდენიმე სვლა.

30. მფ:b3 მd5+ 31. მფc2- ლb2+ 32. მფd3 ლb5+!

თეთრები დანებდნენ.

არ ვიცი, ვინ არის „ნათლია", მაგრამ 1953 წელს შვეიცარიაში პრეტენდენტთა ტურნირზე დიდოსტატებს ავერბახსა და კოტოვს შორის გათამაშებული პარტია საჭადრაკო ლიტერატურაში „უკვდავადაა" მონათლული. შეიძლება იმიტომაც, რომ იგი ამ ტურნირზე ყველაზე ლამაზ პარტიად ცნეს. აი როგორ განვითარდა მოვლენები კოტოვის მიერ ლაზიერის შეწირვიდან ბრძოლის დამთავრებამდე.



30. ... ლ:h3+ !! 31. მფ:h3 ეh6+ 32. მფg4 მf6+ 33. მფf5 მd7 34. ეg5 ეf8+ 35. მფg4 მf6+ 36. მფf5 მg8+ 37. მფg4 მf6+ 38. მფf5 მ:d5+ 39. მფg4 მf6+ 40. მფf5 მg8+ 41. მფg4 მf6+ 42. მფf5 მg8+ 43. მფg4 კ:g5 44. მფ:g5 ეf7 45. კh4 ეg6+ 46. მფh5 ეfg7 47. კg5 ე:g5+ 48. მფh4 მf6 49. მg3 ე:g3 50. ლ:d6 ე3g6 51. ლb8+ ეg8

თეთრები დანებდნენ.

თავის დროზე ტარტაკოვერმა „უკვდავი პოლონური" უწოდა პოლონური წარმოშობის მოჭადრაკეების კ. გრიკსბერგისა და მ. ნაიდორფის პარტიას, რომელიც 1935 წელს ვარშავაში გათამაშდა (შავებით ნაიდორფია).

1. d4 f5 2. c4 მf6 3. მc3 e6 4. მf3 d5 5. e3 c6 6. კd3 კd6 7. 0-0 0-0 8. მe2 მbd7 9. მg5 კ:h2+ 10. მფh1 მg4 11. f4 ლe8 12. g3 ლh5 13. მფg2 კg1 14. მ:g1 ლh2+ 15. მფf3



15. ... e5 16. de მd:e5+ 17. fe მ:e5 18. მფf4 მg6+ 19. მფf3 f4- 20. ef კg4+ 21. მფ:g4

ახლოა ფინიში!

21. ... მe5+ 22. fe h5 და შამათი.

„უკვდავი პარტიების" მსგავსად, თურმე, არსებობს „ცუგცვანგის უკვდავი პარტიაც". მოდით, ვნახოთ.

ფ. ზემიში — ა. ნიმცოვიჩი
კოპენჰაგენი, 1923

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. g3 კb7 5. კg2 კe7 6. მc3 0-0 7. 0-0 d5 8. მe5 c6 9. cd cd 10. კf4 a6! 11. ეc1 b5 12. ლb3 მc6 13. მ:c6 კ:c6 14. h3 ლd7 15. მფh2 მh5 16. კd2 f5 17. ლd1 b4 18. მb1 კb5 19. ეg1 კd6 20. e4 fe! „ფიგურის შეწირვა მოწინააღმდეგის სრული პარალიზებისთვის". (რ. კინი) 21. ლ:h5 ე:f2 22. ლg5 ეaf8 23. მფh1 ე8f5 24. ლe3 კd3 25. ეce1 h6!



თეთრები დანებდნენ.

ნიმცოვიჩი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ამ პარტიას. „ცუგცვანგის უკვდავ პარტიად" სწორედ მან მონათლა.

„უკვდავ პარტიებზე" საუბარი სასიამოვნო ნოტაზე დავამთავროთ: ნონა გაფრინდაშვილი!

საჭადრაკო ლიტერატურაში ნონას „უკვდავ პარტიად" არის მიჩნეული მისი შეხვედრა 1974 წლის დორტმუნდში რ. სერვატისთან.

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 g6 5. c4 კg7 6. კe3 მf6 7. მc3 მg4 8. ლ:g4 მ:d4 9. ლd1 e5 10. მb5! 0-0 11. კe2 ლh4 12. მ:d4 ed 13. კ:d4 ლ:e4 14. კ:g7 ლ:g2 15. ლd4!

თეთრები ორივე ეტლს წირავენ, შავები სანაცვლოდ ღებულობენ... შამათს.

15. ... ლ:h1+ 16. მფd2 ლ:a1





17. ლf6!!

გამოუვალი შამათია. შავები დანებდნენ. გამარჯვება მით უფრო ფასეულია, რომ იგი მოპოვებულია მოჭადრაკე მამაკაცთან ორთაბრძოლაში.

* * *

საჭადრაკო ლიტერატურაში მითითებულია, რომ არსებობს ასევე „უკვდავი ყაიმი" (ალიოხინი — რეტი, ვენა, 1922), „რუსული უკვდავი პარტია" (შიშკინი — გულბაკი, სანკტ-პეტერბურგი, 1889) და სხვ.



ეს კი „უკვდავად" მონათლული ვ. და მ. პლატოვების ეტიუდია (1909). მოგება.

ამოხსენით და

**ითამაშეთ ჭადრაკი!**

დაბადების დღე

# მრავალჟამიერ, ჩვენო მაია!

„ქუთაისში ცხოვრობს გოგონა, რომლის სახელსაც პედაგოგიური მოსაზრებით ამჯერად არ გავახმაურებ, მაგრამ მის შესახებ მალე ყველა შეიტყობს". ცნობილი მოჭადრაკისა და მწვრთნელის ედ. გუფელდის მიერ 1971 წელს ნათქვამი ეს სიტყვები მალე მთელს ქვეყანაში გახმაურდა, როდესაც ჭადრაკის ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა: მაია ჩიბურდანიძე!

მაიას ფენომენზე საუბარი ყოველთვის საინტერესოა. ჭადრაკის ანბანა ექვსი წლის ასაკში ისწავლა. გავიდა კიდევ ექვსი წელი და უკვე გოგონებს შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოუწია გამოსვლა. 13 წლისაც არ იყო, მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირი — იუგოსლავიის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრაში და 4:0-ზე დაამარცხა იუგოსლავიელი საერთაშორისო ოსტატი ვ. კალხბრენერი.

იმავე ხანებში მაიამ რამდენიმე შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი. 15 წლისამ საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. 1977-78 წლების საპრეტენდენტო ციკლში თანმიმდევრობით დაამარცხა ნ. ალექსანდრია 5,5: 4,5; ე. ახმილოვსკაია 6,5:5,5; ა. კუშნირი 7,5:6,5. 1978 წელს მსოფლიო პირველობაზე მატჩი მოუგო ნონა გაფრინდაშვილს — 8,5:6,5 და 17 წლის ასაკში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

მას შემდეგ მაია მუდმივად საჭადრაკო ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და საერთაშორისო ქალთა თუ ვაჟთა ტურნირებში უამრავი ჯილდო და პრიზი აქვს მოპოვებული.

მაია 1984-87 წლების „ოსკარის" პრიზის მფლობელია.

ზღვა საჭადრაკო მემკვიდრეობამ მაიას ხალხის ზღვა სიყვარული მოუტანა და თუმცა ჯერაც სრულიად ახალგაზრდაა, თავისი ქვეყნის, ისევე, როგორც მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში ღრმა კვალი აქვს გავლებული.

* * *

— ცენტრში მეფეს ნუ დააყოვნებთ, — როგორღაც თქვა ერთხელ ჭადრაკის დედოფლის ტახტზე მჯდომმა მაიამ. შესაძლოა, მას მხედველობაში ჰქონდა თავისი პარტია საერთაშორისო დიდოსტატ ვლადიმერ ტუკმაკოვთან (ტაშკენტი, 1980).



1. მ:e6! ab (თუ 1. ... fe, მაშინ 2. ლh5+ g6 3. მc7+ და შემდეგ 4. ლ:c5) 2. კ:b5+ მc6 3. კ:c6+ კ:c6 4. მc7+ მფf8 5. მ:a8 ლf4+ 6. მფb1 ლb8 7. ეhf1 კe7 8. ლe6. ტუკმაკოვი დანებდა. (თ. გიორგაძის წიგნიდან „ჭადრაკის ანბანი").

# მკვრივი მოთხრობა

**ერთ სოლიდურ გამოცემაში, რომელსაც ტირაჟი გაუჭირდა, იფიქრეს, იფიქრეს და რედაქციაში ახალგაზრდა მწერლის მოწვევა გადაწყვიტეს. ამას განსაკუთრებით ყველასთვის ნაცნობი, ხანდაზმული ლიტერატორი მოითხოვდა: მერწმუნეთ, ახალგაზრდა მწერალი ახალ სიოს შემოიტანს, გაზეთსაც გამოაცოცხლებს და მკითხველსაც მოგვიმრავლებსო.**

მწერალთან ინტერვიუს აღება ახალგაზრდა ჟურნალისტმა ითავა. მან ერთი შეხედვით თითქოს მარტივი, მაგრამ საკმაოდ რთული კითხვა დაუსვა:

— ბატონო გიგი, როგორ უყურებთ ამ ცხოვრებას?

— ისე, როგორც ის არის, მაგრამ არა პირდაპირ, როგორც ამას წინა თაობების მწერლები აკეთებდნენ, არამედ გვერდიდან. შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ, მერწმუნეთ, გვერდიდან დანახული ცხოვრება გაცილებით შთამბეჭდავი და მრავალმხრივია, ვიდრე პირდაპირ მზირალი. ეს რომ ასეა, ჩემი რომანებისა და მოთხრობებიდანაც მშვენივრად ჩანს.

— საინტერესოა, დღევანდელ მთავრობასაც გვერდიდან უყურებთ?

— ვერ ავიჩემებ, რომ მთავრობა გვერდიდან უკეთესად გამოიყურება, ვიდრე წინიდან. ამიტომ ვამჯობინებ, საერთოდ არ შევხედო.

— ეს ნიშნავს, რომ მთავრობა არც თქვენ მოგწონთ?

— არა, მე ეგ არ მითქვამს. თუმცა, არც იმის თქმა მინდა, რომ მომწონს. დღემდე არც ერთ ეპოქაში არც ერთ მთავრობას მოწონება არ დაუმსახურებია და ვერც მე ვიქნები გამონაკლისი. ისე, ყიდვა-გაყიდვაში, აღებ-მიცემობაში რომ აქტიურობენ, ამასაც ვერ დავუკარგავთ.

— მწერალთა სახლზე აკეთებთ მინიშნებას?

— არა, მე იმ სახლში საერთოდ არ დავდივარ და არც მის დაცვას ვაპირებ. უბრალოდ მიმაჩნია, რომ მწერალთა ერთ ჭერქვეშ თავმოყრა არ შეიძლება.

— რატომ?

— ერთმანეთს ხელს შეუშლიან, იყაყანებენ, ერთთავად მთავრობის გინებაში იქნებიან და ველარაფერს დაწერენ.

— ეტყობა, მთავრობაც ამასვე ფიქრობს და სასახლის წართმევით მწერლებისთვის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის პირობების შექმნას ცდილობს.

— ეგ თავად მთავრობას უნდა ჰკითხოთ.

— იჰ, მაგათ რას გაუგებ, ბატონო გიგი. ხან იმასაც ამბობენ, სახლს იმიტომ ვყიდით, რომ მწერლებთან ერთად ყველა შემოქმედებითი ადამიანის თავშესაფრად ვაქციოთო.

— ეგ არ გამოვა. ეს იმას გამოიღებს, რომ მწერლებთან ერთად მხატვრები, მუსიკოსები, მომღერლები, მსახიობები და კიდევ სხვებიც გაცდებიან.

— არ დაგიმალავთ, ყური მოვკარი — მწერალთა სახლს იმიტომ ჰყიდიან, ზენდუქიძისთვის უნდათო.

— ეგ კარგი აზრი მოსვლიათ.

— რა გაგებით?

— ზენდუქიძე თუ იქ შევიდა, სასახლეში სხვა ველარავინ დაეტევა...

— ეს თავისთავად, მაგრამ ძეგლების გადატანაზე რა აზრისა ხართ?

— მაგის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ კარგი იქნება თუ ქალაქის მერია გადატანილ ძეგლებს ერთ ადგილზე მოუყრის თავს.

— ვითომ ასე უკეთესი იქნება?

— რა თქმა უნდა, მალე ტურიზმის ქვეყანა გავხდებით და უცხოელები სათითაო ძეგლის სანახავად ხომ არ ირბენენ? აქვე ვიტყვი, გონივრული იქნება თუ ამის შემდეგ მაინც მოქანდაკეები ძეგლებს ცოცხალ ცხენებზე შესვამენ.

— რატომ?

— გადაადგილება გაადვილდება...

გაზეთის იმავე ნომერში ინტერვიუს ქვეშ გამოქვეყნდა ახალგაზრდა მწერლის ერთი ცნობილი ნაწარმოებიც — „მკვრივი მოთხრობა“. მასში საუბარია რაღაც სიმკვრივეზე, რომელიც თითქოს იშლება, მაგრამ მერე ისევ მკვრივდება. მაგრამ ეს არ არის არსებითი. რაც მთავარია, თავად მოთხრობა მკვრივად არის დაწერილი.

**ოთარ ხუციშვილი**



მხატვარი ჯემალ ლოლუა

— ორივე გამომცდელი ნაცნობი იყო, მაგრამ განტოლება შემხვდა ორუცნობიანი!



მხატვარი ანდრო კანდელაკი

— ყმაწვილო, დაუთმე მოხუცს ადგილი!
— რა უნდა დავუთმო, ბებიაჩემია!.. *თანაც ბილეთი აღებული მაქვს.*

## ორწყობილა

**შეკითხვა იმერულ კილოზე**
**ამ ოცი წლის წინათ ვინ დეიჯერებდით,**
**რომ გვეყოლებოდნენ თინეიჯერები?..**

**გაქცეული სტრიქონი**
**ტელეეკრანს ხშირად სერავს სულელური მესიჯები.**
**— სანამ მესიჯს გამოგზავნი, ფსიქიატრს თუ ესინჯები?..**

**სასოროსო**
**ვის მიანდობს მორიგ სოლოს —**
**მოდით, ვკითხოთ მისტერ სოროსს...**

**ვაი, რა ბოძი გვექცევა...**
**როგორმე რომ პრესას ბოძი წაუქციონ,**
**ვინ დაუშლის — გამართავენ აუქციონს...**

**შოუ**
**— ასე მწარედ ნეტავი რამ დაგვაგლახა?**
**დარბაზიდან რეაქცია: ხა-ხა-ხა-ხა!..**

**გაფრთხილება ბათუმელებს**
**ჭკუით იყავით, თვარა**
**ისევ გამოჩნდა „კმარა“!**

**გელა თელია**

## ანეკდოტები

**სიყვარული ძალიან ეშმაკური მათემატიკაა: წამიერი უყურადღებობა და — 1+1=3**

* * *

**მამაკაცი საიუველირო მაღაზიაში შედის.**

**— ოი, რა კარგია, რომ შემოგვიარეთ, წმინდა ვალენტინის დღესთან დაკავშირებით ორკვირიანი ფასდაკლება გვაქვს. უყიდეთ რაიმე თქვენს საყვარელ გოგოს. აი, თუნდაც ეს ოქროს ძეწკვი უთუოდ ძალიან მოეწონება თქვენს საყვარელს.**

**— არა მყავს საყვარელი...**

**— როგორ, ასეთ წარმოსადეგ, ლამაზ და მაღალ მამაკაცს საყვარელი არა გყავთ? რატომ? — ეკეკლუცება გამყიდველი ქალი.**



**— ეჰ, — ნაღვლიანად უპასუხებს მამაკაცი, — ცოლი არ მაძლევს მაგის ნებას...**

* * *

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მსუქანი ბავშვები სატვირთო წეროებს მოჰყავთ.**

* * *

**— ეჰ, კარგ ამინდში ტყეში სეირნობა მართლაც ერთი სიამოვნებაა.**

**— ქალთან ერთად — უკვე ორი სიამოვნება იქნება.**

* * *

**ექიმის კაბინეტში:**

**— სვამთ?**

**— არა.**

**— ეწევით?**

**— არა.**

**— ბანქოს თამაშობთ?**

**— არა.**

**— ქალებთან როგორა გაქვთ საქმე?**

**— თავს ვიკავებ.**

**— რა გამოდის, არანაირი ზადი არა გაქვთ?**

**— ერთი მაქვს.**

**— მაინც?**

**— ტყუილები მიყვარს.**

## კვიცი — გვარზე...

# მახინჯი სიტყვები

ქუჩაში, მოასფალტებული ეზოს წინ, გულამოსკვნილი ღრიალებდა პატარა ბიჭუნა.

— რა იყო, ბიჭიკო?! — დავასწარი გამვლელებს და ბავშვს თავზე ხელი გადავუსვი.

— დღესაც გამეპარა მამა-ა...

— სად გაგეპარა?

— იშახში-ი...

— სად?!

— იშახში, ანდა ეფაკში...

ნათელი იყო, ბავშვი რაღაც სიტყვებს ამახინჯებდა და მე, როგორც ენათმეცნიერი, დავინტერესდი ამ გარემოებით. გავიფიქრე: გამოვიკვლევ ამ სიტყვების პირველწყაროებს და ერთ კარგ დისერტაციას გამოვაცხობ-მეთქი.

— სად ცხოვრობ? — ვკითხე ბავშვს.

— აი, იქ! — ხელი ეზოსკენ გაიშვირა.

— დედა სად არის?

— დედა თვეში ერთხელ მოდი-ის!.. — მოუმატა ტირილს.

ყველაფერი გასაგები გახდა. შემეცოდა ბავშვი, მაგრამ, უეცრად, დამავიწყდა ის დამახინჯებული სიტყვები და გავფითრდი. დისერტაცია ხელიდან მეცლებოდა.

— ბიჭუნა, სად, სად გაგეპარა მამა? — ვკითხე ფრთხილად.

— სად და ილაკნიხში ან ინაროტსერში! — მუშტი ამოისვა ცრემლით გალუმპულ თვალში.

ბიჭოს, ეს ახალი სიტყვებია! ჯიბიდან ბლოკნოტი ვიშიშვლე.

— წამიყვანე რა, ძია მამასთან!

— იცი გზა?

— ვიცი.

ფრთხილად გავაპარე თვალი მოასფალტებული ეზოსკენ, ბავშვი ხელში ავიყვანე და გავშრი. მისმა წინგაშვერილმა თითმა ჯერ რუსთაველის პროსპექტზე გამიყვანა, მერე კი რესტორან „ინტურისტის“ კარებზე მიმანიშნა.

— აქ! — მიბრძანა ბავშვმა. თანაც გაქანდა და მძიმე კარს მიაწვა. მე გავუღე.

— რა არის აქ? იშახი? თუ... — ვკითხე გულისფანცქალით.



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

**— როგორ! შექსპირს არ იცნობ? ის ხომ კლასიკოსია!**
**— რა ვქნა, პატივცემულო, კლასიკოსებს არ შევხვედრივარ. მე თავისუფალ სტილში ვჭიდაობ!**

— იშახს აქ რა უნდა. ეს ინაროტსერია!

ბიჭუნა გაიქცა და კარგ მოქეიფესავით მაგიდა დაიკავა, რომ სხვებს არ დაესწროთ. მერე აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

— აქ ვიყოთ და მამა მალე მოვა!

დავჯექი, მაგრამ ნეტავ არ დავმჯდარიყავი, საღამომდე მაინც გამყოლოდა კანდიდატობის ხარისხზე ოცნება. ქუჩისკენ გავიხედე და რესტორნის დიდ სარკმელზე ამოვიკითხე უკუღმა განლაგებული ასოები — „ინაროტსერ“.

— ადექი! — წავილუღლუღე იმედგაცრუებულმა და ოდნავ თავშიც წავუთაქე, — მამაშენი სხვა ინაროტსერში იქნება.

— შეიძლება! — დიდი კაცივით თქვა მან, — სხვაგანაც დავყავარ... ან უკვე დათვრა და ახლა ავაყს სვამს.

— რას?!

— ავაყს!

— მე შენ მოგცემ ავაყს! წამოეთრიე სახლში, დალიე იაჩი და დაიძინე!

— რა დავლიო?

— იაჩი!

— პირველად მესმის, — თქვა მან, — ეგ არსად არ წერია!

ატირებული მივიყვანე სახლამდე. უეცრად დამისხლტა და ეზოში ბანცალ-ბანცალით მიმავალ, წვერმოშვებულ და თმაგაწეწილ კაცს დაეწია. ის, ალბათ, ინაროტსერიდან ან ეფაკიდან დაბრუნებული მამამისი იყო.

**ომეგა ალფაიძე**

◎ ბონდიანა

# ჯეიმს ბონდი საწოლში მართლაც სუპერია

## გულახდილობს მსახიობი სიენა მილერი

**ვისაც უნახავს ჯეიმს ბონდზე, ამ უნიკალურ ავანტიურისტზე გადაღებული ფილმები, მას არასოდეს დაავიწყდება სუპერაგენტის პარტნიორი ქალები. ყველა მათგანი ხომ ულამაზესი და მსოფლიოში აღიარებული მსახიობები არიან. ზოგიერთი „ბონდიანამდე“ იყვნენ ცნობილნი, ზოგიერთი ბონდის შემდგომ გახდა აღიარებული. ახალ „ბონდიანაში“ აგენტის როლის შემსრულებელ დენიელ კრეგს პარტნიორობას უწევს მისივე რჩეული ულამაზესი სიენა მილერი.**

სიენამ მონაწილეობა მიიღო ფილმში „ლამაზი ალფი“, სწორედ მაშინ გაიცნო ჯუდ ლო და დაქორწინდნენ კიდეც. თაფლობისთვე გასულიც არ იყო, რომ მილერმა ქმარს საწოლში წაუსწრო თავისი შვილების (პირველი ქორწინებიდანძ ძიძასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ლომ საჯაროდ მოიხადა ბოდიში, სიენამ მაინც არ აპატია ქმარს ღალატი და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. კინოსამყაროში კი ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ სიენა პოპულარული სწორედ ლომ გახადა, ამ ფაქტს არც თავად მალავს, მაგრამ ხშირად ყოყლოჩინობს, რომ იგი პაპარაცების ყურადღების არეში ამ ფილმში მონაწილეობამდე მოექცა და თაყვანისმცემლებიც არ აკლდა.



სიენა მილერი

ქმართან განქორწინების შემდეგ სიენამ ვნებები ახალ გულისწორთან დაიოკა. არა უბრალო მსახიობს ჩაუგორდა საწოლში, არამედ თვით დენიელ კრეგს. ადრე ისინი ერთად მონაწილეობდნენ განგქსტერულ ფილმში „ფენოვანი ღვეზელი“. შესანიშნავად გამოუვიდათ „საწოლის სცენებიც“, მაგრამ მაშინ არავინ იცოდა, რომ დენიელი მომავალი ჯეიმს ბონდი იქნებოდა, ხოლო სიენა მისი პარტნიორი.

მოკლედ, ახალ ჯეიმის ბონდს ახალი საყვარელი ჰყავს.

ახლა კი „ბონდიანას“ ულამაზესი ქალბატონები გავიხსენოთ, რომლებიც პარტნიორობას უწევდნენ სუპერაგენტს მოყოლებული 1962 წლიდან დღემდე.



1962 წელი. „დოქტორი ნო“. შვეიცარიელი გერმანელი ურსულა ანდრესი – ჯეიმს ბონდის პირველი და სანიმუშო გოგონა.



1963 წელი. „სიყვარულით რუსეთიდან“. დანიელა ბიანჩი ტატიანა რომანოვას როლში.



1997 წელი. „ხვალინდელი დღე არასოდეს კვდება“. ჩინელი მიშელ იეო. იგი ერთადერთი იყო ბონდის პარტნიორებს შორის, რომელიც ყველა ტრიუკს თავად ასრულებდა.



1999 წელი. „მთელი სამყაროც კი ცოტაა“. სოფი მარსოს „ფრანგული სიყვარული“ არასოდეს დაავიწყდება სუპერაგენტს.



2002 წელი. „მოკვდი, ოღონდ ახლა არა“. ხალი ბერი – მუქკანიანი და სპორტული აღნაგობის მომხიბვლელი პარტნიორი.


# შეტყობინება

*სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარებისთვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2006 წლის 24 თებერვალი.*

*კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:*

*– ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2006 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.*

*აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაზე თავისი მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან – „ეროვნული რეესტრი“ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74, მე-9 სართული, ტელ: 29-20-03, 29-91-30.*

# განცხადება

2006 წლის 1 მარტს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

**1. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში**

**2. დირექტორის ანგარიში**

**3. სს „ოპიზარის“ რეორგანიზაცია (ნატურით გაყოფაძ**

**4. სხვადასხვა**

**სს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2006 წლის 16 იანვარი.**

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად აქციონერებს შეუძლიათ ინფორმაციის მიღება სს „ოპიზარის“ დირექტორატში.

# განცხადება

სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკი“ 2006 წლის 22 თებერვალს 17 საათზე იწვევს თავის აქციონერებს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის №127-ში სს „ინტელექტბანკის“ სათაო ოფისის იურიდიულ მისამართზე. კრების სააღრიცხვო თარიღად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილია 2006 წლის 27 იანვარი.

საერთო კრების დღის წესრიგია:

**1. საწესდებო ფონდის გაზრდის შესახებ;**

**2. სხვადასხვა.**

მორიგი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის აქციონერები (ჩვეულებრივი აქციების მფლობელებიძ, რომლებიც რეგისტრირებული არიან აქციათა რეესტრში 2006 წლის 27 იანვრის მდგომარეობით, საერთო კრებაზე წარმოადგენენ აქციათა რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციათა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

აქციონერებს მორიგი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლების შემოწმება კრების ჩატარებამდე შეუძლიათ სს „ინტელექტბანკის“ აქციათა რეგისტრატორ შპს „კაპიტალრეგისტრთან“ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის 80. აქციონერებს მორიგი საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის 127-ში, სს „ინტელექტბანკის“ სათაო ოფისში, ტელ: 94-18-14, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დასმული დირექტორატის წინაშე კრების მოწვევის თარიღამდე.

**დირექტორატი**


◎ შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

## დედიშობილანი ლონდონის ქუჩებში

**ლონდონის თეატრ Natural Theatre Company-ის მსახიობებმა გადაწყვიტეს, ცოტათი გაემ-**



**ხიარულებინათ თავიანთი თანამოქალაქეები და დედიშობილანი გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში.**

ლონდონელთათვის უცხო არ არის ზემოთ ხსენებული თეატრის მსახიობთა ამგვარი ახირებები. ისინი ხან ადამი და ევას „სამოსით“ მოევლინებიან ჯენტლმენებით განთქმულ ქალაქს, ხან მხოლოდ ქვედა საცვლებით, ხანაც ნუდისტებივით. მათ უამრავი გაოცებული ადამიანი დასდევს უკან, მაგრამ ამჯერად, როგორც იტყვიან, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“ – არც ერთმა ლონდონელმა და ქალაქის სტუმარმა მათ ყურადღება არ მიაქცია.

## ვიქტორიასთან ერთად საპირფარეშოში

**ალბათ წარმოიდგენთ, რა სახეს მიიღებდა მსოფლიოში ცნობილი როკ ჯგუფის „Spice girls“-ის ყოფილი მომღერალი ვიქტორია ბეკჰემი, როდესაც თავის თავს ტუალეტის ქაღალდის რულონებზე იხილავდა.**



კანადელი ალან პარკი, ვისაც გამოგონება ეკუთვნის, ამტკიცებს, რომ: „დარწმუნებული ვარ, ვიქტორიას ცხოვრებაში უამრავი ახალი რამ ხდება, რაც ბევრ ადამიანს აღიზიანებს. როგორ იძიონ შური ამ ქალბატონზე? ალბათ ყველაზე კარგი ვარიანტი მე გამოვნახე“.

## ჩექმასროლიები

**პიატიგორსკში კიროვის სახელობის პარკში უკვე რამდენიმე წელია ტარდება სახალხო შეჯიბრი... ჩექმის სროლაში. ამ შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის უამრავი წარმომადგენელი.**

როგორც მოგეხსენებათ, ჩექმას არა აქვს ისეთი სასურველი ფორმა, რომ იგი რაც შეიძლება შორს ან სასურველი ტრაექტორიით გატყორცნო, მაგრამ ამ საქმის პროფესიონალებიც მრავლად არიან. წლეულს, მიუხედავად იმისა, რომ უხვად ბარდნიდა და ჩექმის სროლა შორ მანძილზე შეუძ-



ლებელი იყო, ჩემპიონი გახდა გენადი კაპუსტიანსკი. მან ჩექმა 42 მეტრ სიგრძეზე გაისროლა.

## თვითმფრინავქამია ძროხები

**ხერეფორდშირში ძროხების ჯოგმა შეჭამა 1946 წლის გამოშვების Auster J1-N-ის ტიპის თვითმფრინავი. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ეკიპაჟის წევრები იქვე მახლობელ ლუდის ბარში სადილობდნენ.**

თვითმფრინავის სადგომთან მისული მფრინავები გაოგნებულნი დარჩნენ – თვითმფრინავის გარსაცავი სქელი ნაჭერი მთლიანად ისე იყო შეჭმული და ანტიკვარული თვითმფრინავით ისინი შინ ვერ დაბრუნდებოდნენ. მათ თვითმფრინავს მავთულხლართები შემოავლეს, შინ წავიდნენ და მეორე დღეს დაბრუნდნენ შესაკეთებლად, მაგრამ იქვე კვლავ ძროხების ჯოგი დახვდათ, რომლებსაც თვითმფრინავის კუდიც შეეჭამათ.



**⊙ კინო**

# „ომი და მშვიდობა“ 8 სერიად

**რუსეთმა და აშშ-მა ლევ ტოლსტოის რომანის მიხედვით ტელესერიალს მოჰკიდეს ხელი.**

ბოლო წლებში მოდად იქცა კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზაცია. სულ ახლახან რუსეთელებმა ტელესერიალური ფორმით უკვდავჰყვეს დოსტოევსკი, ბულგაკოვი, ილფი და პეტროვი, პასტერნაკი, ამერიკელები კი ამ ზაფხულს ტოლსტოის მიაკითხავენ და „ომსა და მშვიდობას“ რვა სერიას მიუძღვნიან.

ეს იქნება მესამე „საკინოო“ ეპოპეა ნატაშა როსტოვაზე (დიდი ამბავი! ოსტაპ ბენდერი ამჟამად, სათვალავით, მეხუთეც კია!ძ. პირველი, აგრეთვე ამერიკული, 1956 წელს გამოჩნდა, რეჟისორს კინგ ვიდორის ძალისხმევით, მეორე 1965-ში გადაიღო რუსმა სერგეი ბონდარჩუკმა.



ამჯერად რუსეთულ-ამერიკული კომპანია, რომელიც საქმეს შეუდგა, საიდუმლოდ ინახავს რეჟისორის სახელს — მხოლოდ მიანიშნებს, მსოფლიო განზომილების ვარსკვლავიაო. მარტო სცენარისტის ვინაობას ამხელს — რონ ჰოთჩინსონი. თვით ფილმში კი ფართოდ გამოიყენებენ კომპიუტერულ გრაფიკასა და კინემატოგრაფის სუპერმიღწევებს.

გადაღებას რუსეთის ყველა კუთხესა და „მოსფილმის“ პავილიონებში აპირებენ. სამუშაოს დამთავრება კი 2007 წლის ბოლოს იგეგმება.

**⊙ ვიპ-პერსონა**

# თვითაცილება



**„სუსტი პოლიტიკოსები ანგრევდნენ იმპერიას, ანიავებდნენ ტერიტორიებს, სწირავდნენ მსხვერპლად საკუთარ ხალხს“.**

რა შეიძლება დავუმატოთ ბორის ელცინის ამ სიტყვებს, რომლებიც მან თქვა თავისი იუბილის დროს?ალბათ, მხოლოდ ის, რომ რუსეთის მცხოვრებთა 70 პროცენტმა იმავე დღეებში განაცხადა, ელცინის ეპოქამ ქვეყანას გაცილებით უფრო მეტი ცუდი მოუტანა, ვიდრე — კარგიო.




## გამოიწერეთ

### სანდო, მართალი და ცხოველხატული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40ძ, „მაცნეს“ (37.40.49ძ, „უწყებანს“ (93.64.72ძ, „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11ძ, „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73ძ, „ინფოსერვისს“ (34.09.35ძ, „ელვა-სერვისს“ (36.35.75ძ რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.



ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**


**⊙ ლარის კურსი**

**11 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1567 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8114 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1682 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0641 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9805 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4035 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5798 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3589 ლარი. |
| ირანული რიალი | 1000 | 0,1988 ლარი. |
| ისრაელის შეკელი | 1 | 0,3843 ლარი. |
| უნგრული ფორინტი | 100 | 0,8651 ლარი. |
| რუმინული ლეი | 10000 | 0,6085 ლარი. |
| პოლონური ზლოტი | 1 | 0,5673 ლარი. |

**⊙ ამინდი**



ეს გაერთიანებული ნომერი 24-გვერდიანია.

მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 14 თებერვალს.

**ხსოვნა**

## ნაზი (ციალა) მეტრეველი – თარგამაძე



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი ნაზი მეტრეველი. სიყვარულით და კდემამოსილებით დაჯილდოებული ახალისებდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას. კეთილი, ლამაზი, მოკრძალებული, მიმტევებელი, შეუდარებელი მეგობარი, მეუღლე და არაჩვეულებრივი დედა. წავიდა და დაგვიტოვა ტკივილი და სევდანარევი მოგონებები.

ნათელში იყოს მისი სული.

**თანაკურსელების სახელით ირინე არჩვაძე**



შვილი მერაბი, მეუღლე ნელი მარღანია, დეიდა კლარა ბოჭორიშვილი, დეიდაშვილები მანანა, თინათინ ფოფხაძეები, გიორგი, ლევან გოჩალეიშვილები, მარინა მარღანია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ აკაკის ძე მერაბიშვილი

პანაშვიდი 12, 13 II, 16 სთ., დაკრძალვა 14 II, 14 სთ. გრიბოედოვის ქ. № 2, IV სართული.

---

ანზორ ბაბუხადია, გიორგი გამცემლიძე, ვალერიან გეგიძე, მიხეილ ნადიბაიძე, თენგიზ ტეტუნაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ზედმიწევნით კოლორიტული პიროვნება, ღირსეული მოქალაქე

ეველინა თავაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

---

მეუღლე გივი, შვილები ნესტან, ზურაბ, დიმიტრი აბდუშელიშვილები, ძმა მერაბი, მაზლი ოთარი, რძლები თათია ჯაში, ოლია, ნუნუ ბერიძე, ცისანა ხორავა, მძახალი მედეა კეკელიძე, შვილიშვილები ნესტანიკო, ანანო, ნატა, თეზი, სალომე, გივიკო, ძმისწულები, მაზლისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დინა ზამბახიძე-აბდუშელიშვილი

პანაშვიდი 12, 13 II, 17 სთ. გამოსვენება 14 II, 14 სთ. ყიფშიძის ქ. №16, კორპუსი I, დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

---



საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ბატონ გივი აბდუშელიშვილს მეუღლის ქალბატონ

დინა ზამბახიძის

გარდაცვალების გამო.

---

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებას გამოხატავს მისი წევრის, ასოციაციის უზბეკეთის განყოფილების ხელმძღვანელის, სათნო ქალბატონისა და ღირსეული მამულიშვილის

დინა ზამბახიძე-აბდუშელიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს გივი აბდუშელიშვილს მეუღლის ქალბატონ

დინა ზამბახიძის

გარდაცვალების გამო.

---

ციალა, ნატალია, მარინა, ირაკლი, თემურ ანდრიაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დინა ზამბახიძე-აბდუშელიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ოთარ, ბიჭი, მანანა, ოთო აბდუშელიშვილები, ოთარ, ეკა თარგამაძეები იუწყებიან, რომ გივი აბდუშელიშვილს გარდაეცვალა

მეუღლე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის თბილისის 29-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პედაგოგი

ვახტანგ (ბიჭი) კალაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ალექსანდრე ჩხეიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი, საავტომობილო ტრანსპორტის ვეტერანი, უკეთილშობილესი ადამიანი

ანზორ ჭოლოკავა

და სამძიმარს უცხადებს მიცვალებულის ოჯახს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.